



International
Labour
Organization

შრომის ინსპექტირება მშენებლობაზე

გზამკვლევი შრომის ინსპექტორებისთვის



შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია

შრომის ინსპექტირება მშენებლობაზე

გზამკვლევი შრომის ინსპექტირებისთვის

შრომის საერთაშორისო ოფისის პუბლიკაციები საავტორო უფლებებით სარგებლობს საავტორო უფლების შესახებ საყოველთაო კონვენციის II ოქმის საფუძველზე. მიუხედავად ამისა, მათგან მოკლე ამონარიდების გამოქვეყნება შესაძლებელია ნებართვის გარეშე, წყაროზე მითითების პირობით. რეპროდუცირების ან თარგმნის შეთხვევაში განცხადებით უნდა მიმართონ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას: ILO Publications (Rights and Permissions), International Labour Office, CH-1211 Geneva 22, Switzerland, or by email: pubdroit@ilo.org. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია სიამოვნებით მიიღებს ასეთ განცხადებებს www.iffro.org

ბიბლიოთეკებს, ინსტიტუტებსა და სხვა მომხმარებლებს, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან რეპროდუცირების უფლების მქონე ორგანიზაციებად, ასლების გაცემა შეუძლიათ მათთვის ამ მიზნით გაცემული ლიცენზიების შესაბამისად. თქვენს ქვეყანაში რეპროდუცირების უფლების ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია იხ. ვებგვერდზე

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ტექნიკური მხარდაჭერის გუნდი და აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის ქვეყნების რეგიონალური ოფისი; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ტერინინგ ცენტრი.

შრომის ინსპექტირება მშენებლობაზე; გამაკვლვეი შრომის ინსპექტორებისთვის

ISBN: 978-922-830805-1 (print)
978-922-830806-8 (web pdf)

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პუბლიკაციებში გამოყენებული ნიშნები, რომლებიც შესაბამისობაშია გავრცელებულ პრაქტიკასთან, და მასალის გადმოცემის ფორმები, არ წარმოადგენს შრომის საერთაშორისო ოფისის მხრიდან რაიმე მოსაზრების გამოხატვას რომელიმე ქვეყნის სამართლებრივი სისტემის, ტერიტორიის ან მისი ხელისუფლების შესახებ, ან მისი საზღვრების დელიმიტაციის შესახებ.

კონკრეტულ სტატიებში, კვლევებსა და სხვა მასალაში გამოხატული მოსაზრებების მიმართ პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ მის ავტორს, ხოლო მისი გამოქვეყნება არ ნიშნავს მასში გამოხატული მოსაზრების მოწონებას ან დადასტურებას შრომის საერთაშორისო ოფისის მხრიდან. ფირმის სახელწოდებაზე და კომერციულ პროდუქტსა და პირიქით, თუკი რომელიმე ფირმა, კომერციული პროდუქტი ან პროდუქტი მოხსენიებული არ არის, ეს არ ნიშნავს მათ მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პუბლიკაციების და ელექტრონული პროდუქტების მიღება შეიძლება წიგნის გაგრეცელების ქსელში ან შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ოფისებში, ან პირდაპირ „ILO Publications“-ის ოფისში, შემდეგ მისამართზე: International Labour Office, CH-1211 Geneva 22, Switzerland. კატალოგი ან ახალ გამოცემათა ჩამონათვალი უფასოდ არის ხელმისაწვდომი შემთავსებით მისამართზე, ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: ilo@turpin-distribution.com. ენციკლოპედიაზე ვებგვერდს www.ilo.org/publns

გამოცემულია საქართველოში

ეს პროექტი დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების შრომის დეპარტამენტის მიერ. ეს მასალა არ ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების შრომის დეპარტამენტის შეხედულებებს ან პოლიტიკას, ხოლო მასში ასახული სავაჭრო სახელწოდებები, კომერციული პროდუქტები, ან ორგანიზაციები არ მოიაზრებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მხარდაჭერას.

Funding for this project was provided by the United States Department of Labor.

This material does not necessarily reflect the views or policies of the United States Department of Labor, nor does the mention of trade names, commercial products, or organizations imply endorsement by the United States Government.

წინასიტყვაობა

სამშენებლო სექტორი როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში დიდი რაოდენობით ადამიანს ასაქმებს. მისი დამახასიათებელი თვისებებია: მშენებლობის ადგილებზე მუდმივად ცვალებადი ოპერაციები; ძალიან გრძელი საკონტრაქტო ჯაჭვი, სადაც ხშირად რთული დასადგენია ურთი-ერთობა კონტრაქტორებს, ქვე-კონტრაქტორებსა და თვითდასაქმებულ პირებს შორის; სხვადასხვა ფირმა ერთდროულად აკეთებს განსხვავებულ საქმეს; მიგრანტი მუშების შრომის ფართო გამოყენება; შრომითი უფლებების აშკარა დაღვევა; უმეტესი ოპერაციებისთვის დამახასიათებელი რისკის მაღალი დონე.

შესაბამისად, მსოფლიოს მასშტაბით ეს სექტორი შრომის ინსპექტორებისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს.

შრომითი ურთიერთობები (სამართლებრივი კავშირი დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის) სამშენებლო ინდუსტრიაში ხშირად გარკვეული არაა, რაც რეგულარულად იწვევს იმას, რომ დასაქმებულებს ხელი არ მიუწვდებათ რიგ უფლებებსა და ბენეფიტებზე. ამასთან ერთად დასაქმებულები ხშირად საფრთხის წინაშე არიან, რაც რისკის კონტროლის სათანადო ზომების არარსებობითაა გამოწვეული¹. შესაბამისად, სამუშაო პირობები ბევრ სამშენებლო ობიექტზე არ შეიძლება ჩაითვალოს ადეკვატურად, რადგანაც იქ დასაქმებულებს არ აქვთ გარანტირებული სამართლიანი, თანაბარი, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შრომის ინსპექციის 1947 წ. 81-ე კონვენციის მესამე მუხლის მიხედვით², შრომის ინსპექტორებს აქვთ საკვანძო როლი ღირსეული სამუშაო პირობების უზრუნველყოფაში ყველა სექტორში დასაქმებული პირებისთვის, მათ შორის სამშენებლო ინდუსტრიაში დასაქმებულებისთვისაც. ამას შრომის ინსპექტორები შემდეგი ზომების გატარებით უზრუნველყოფენ:

¹ 'საფრთხისთვის' დამახასიათებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის პოტენციურად ზიანის მიყენება.
² იხ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1947 წ. შრომის ინსპექციის კვენცია # 81, ხელმისაწვდომია: http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C081

- სამუშაო პირობებისა და სამუშაო ადგილზე დასაქმებულების დაცვის შესახებ არსებული კანონდებლობის აღსრულებით;
- სამართლებრივი მოთხოვნების ყველაზე ეფექტურად შესრულების მიზნით დამსაქმებლებისა და დასაქმებულებისთვის ტექნიკური ინფორმაციის მიწოდებით;
- ისეთი ჩავარდნების ან დარღვევების აღმოჩენით, რომლებიც არ არის არსებული კანონდებლობით გათვალისწინებული.

ამის მიღწევა შესაძლებელია სამშენებლო ობიექტების რეგულარული ინსპექტირებით, ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმოებით დასაქმებულებისა და დამსაქმებლების ორგანიზაციებთან ერთად, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

წინამდებარე გამკვლევის მიზანია, შრომის ინსპექტორებს მიაწოდოს პრაქტიკული ინფორმაცია მოსახერხებელ ფორმატში, იმ მეთოდოლოგიის შესახებ, რომელიც უნდა ჩაატარდეს ინსპექტირება სამშენებლო ობიექტებზე. მეთოდოლოგია მოიცავს როგორც ინსპექტირების დაგეგმვის ფაზას, ასევე გამოვლენილი საკითხების შესახებ ანგარიშის მომზადებას, ასევე იმ ტექნიკურ ინფორმაციას, რომელიც შრომის ინსპექტორებმა უნდა გადასცენ დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს 'ღირსეული სამუშაოს' პრინციპების გათვალისწინებით.

გამკვლევე საუბრობს მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც ინსპექტორებს შეხვდებათ თავიანთი საქმიანობის შესრულებისას, კერძოდ: შრომითი ურთიერთობები, ხელფასები და ანაზღაურება, სამუშაო საათები და დასვენების დღეები, ახალგაზრდებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმება, იმ საფრთხეების შესახებ ინფორმაცია, რომლის წინაშეც დასაქმებულები შეიძლება აღმოჩნდნენ. ასევე ის შეიცავს ინფორმაციას უსაფრთხოების იმ ზომების შესახებ, რომლებიც შესრულების შემთხვევაში, შეამცირებენ სამუშაო ადგილზე სანარმოო ტრავმებისა და დაავადებების რაოდენობას.

მჯერა, რომ წინამდებარე გამკვლევე იქნება ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო შრომის ინსპექტორებისა და სხვა პირებისათვის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სამშენებლო ობიექტებზე ღირსეული სამუშაო პირობების შექმნაზე.

ნენსი ლეპინჯი

განყოფილების უფროსი
 შრომის ადმინისტრაციის, შრომის ინსპექციისა და სანარმოო უსაფრთხოებისა
 და ჯანმრთელობის სამმართველო (LABADMIN/OSH),
 მმართველობისა და ტრიპარტიზმის განყოფილება (GOVERNANCE)

სარჩევნი

წინასიტყვაობა	iii
დიაგრამები	vii
სამადლობელი	ix
აბრევიატურები	xi
1. შესავალი	1
2. შრომის ინსპექტორებისთვის საჭირო ცოდნა და უნარები	3
2.1 სამშენებლო ციკლი	5
3. ინსპექტირების პროცესი	6
3.1 ინსპექტირების მომზადება/დაგეგმვა	7
3.1.1 ინსპექტირებისას გასარკვევი საკითხების იდენტიფიცირება	7
3.1.2 იმ ნაგებობების დადგენა, რომელთა ინსპექტირებაც უნდა მოხდეს და ინსპექტირების დროის განსაზღვრა	7
3.1.3 განსახორციელებელი ვიზიტის ტიპის დადგენა	8
3.1.4 ინსპექტირების ვიზიტის მომზადება	10
3.2 ინსპექტირების ჩატარება	13
3.2.1 ობიექტზე მისვლა	13
3.3 საკითხები, რომლებიც უნდა იქნას განხილული საწარმოო უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ასპექტების ინსპექტირებისას	16
3.3.1 სამშენებლო ობიექტზე რისკების კონტროლი	18
3.3.2 ობიექტის ტერიტორიის ინსპექტირება	19
3.3.3 ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობა	24
3.3.4 შენებლობაზე მიმდინარე ძირითადი სამუშაოები, შესაძლო საფრთხეები და მათი კონტროლის მექანიზმები	25
3.3.4.1 სიმაღლეზე მუშაობა	25
3.3.4.2 ავტომობილებთან მუშაობა	39
3.3.4.3 გრუნტის მოსამზადებელი სამუშაოები	43

3.3.4.4	მასალების/საქონლის უსაფრთხო გადაადგილება	45
3.3.4.5	ელექტრო-მექანიკური სამუშაოები.....	50
3.3.4.6	სხვა ხელსაწყოებთან/მექანიზმებთან დაკავშირებული საფრთხეები	53
3.3.4.8	ჯანმრთელობის საფრთხეები და მასთან დაკავშირებული რისკები	57
3.4	საკითხები, რომლებზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება სამუშაო პირობების ინსპექტირებისას	62
3.4.1	დამსაქმებლის ან დამსაქმებლების იდენტიფიცირება	64
3.4.2	შრომითი ურთიერთობები	64
3.4.3	შრომითი ხელშეკრულების ტიპი და შინაარსი	66
3.4.4	დასაქმებულების წარმომადგენლობითი უფლებები	67
3.4.5	ანაზღაურება (ხელფასები და ჯამაგირი)	68
3.4.7	სამუშაო საათები, დასვენების პერიოდები და ზეგანაკვეთური საათები	70
3.4.8	ახალგაზრდების ან ბავშვების დასაქმება	70
3.4.9	მიგრაცია და უცხოელთა დასაქმება.....	72
3.4.10	სოციალური დაცვა	73
3.4.11	კვალიფიკაცია და ტრენინგი	74
3.4.12	თანაბარი შესაძლებლობები და მოპყრობა (დისკრიმინაციის აღმოფხვრა)	75
3.5	ინსპექტირების დასრულება	77
3.5.1	საჭირო ზომების განსაზღვრა	78
3.6	ინსპექციის შესახებ ანგარიშის მომზადება	79
დანართი 1: მშენებლობაზე უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის საკონტროლო კითხვარი		83
დანართი 2: სამუშაოს სხვა პირობების საკონტროლო კითხვარი		92

დიაგრამები

დიაგრამა აღწერა

გვერდი

1	უსაფრთხოების დაფა, რომელიც ითხოვს ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობის ტარებას	13
2	შემოღობილი სამშენებლო ობიექტი	19
3	მოსასვენებელი სივრცე ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობის შესანახი ადგილით	21
4	ტერიტორიის მონესრიგების კარგი მაგალითი, ნარჩენების მეგროვებისთვის სპეციალურად გამოყოფილი ტერიტორიით	22
5	არმირების დაუცველი საყრდენები, რომლებიც საფრთხის შემცველია	22
6	არმირების საყრდენების დამცველი, რომელზე დაცემის შედეგად გამოწვეული ტრავმის ალბათობა შემცირებულია	22
7	სამშენებლო ნარჩენები შეიძლება გადმოცვივდეს და დაეცეს ქვევით მყოფ მუშებს და მოუნესრიგებელი სამშენებლო ობიექტი ასევე ქმნის სირთულეს გადაადგილებისთვის	23
8 + 9	მუშები სიმაღლეზე, საიდანაც ჩამოვარდნის შემთხვევაში მიიღებენ დაზიანებას	25
10	ნაპირების დაცვის ტიპური მოთხოვნები	28
11	დამოუკიდებლად მგდომი ხარაჩო ნაპირების სრული დაცვით, შემოსაზღვრით, საყრდენებით და სამაგრებით	29
12	პლატფორმასთან მისასვლელთან სწორად დამაგრებული კიბე	29
13	ხარაჩოებთან მისასვლელი თვით-ჩამკეტი კარი	29
14	დახრილ სახურავზე მუშაობისას ნაპირის ტიპური დაცვა	30
15	სწორად აწყობილი მობილური ხარაჩო	31
16	სწორად აწყობილი მობილური ხარაჩოს გამოყენება	32
17	მობილური ამალღებელი სამუშაო პლატფორმის მაგალითები (ყურადღება მიაქციეთ პლატფორმის ნაპირების დაცვას და მუშაობისას დამცავი თოკის გამოყენებას)	32
18	მობილური ამალღებელი პლატფორმა გამოიყენება ოფისში განათების შესაცვლელად	33
19	დაკიდებული ხარაჩოები ნაპირების სათანადო დაცვით, სადაც მუშა ატარებს ყველა საჭირო დაცვის აღჭურვილობას	33
20	მოკლე თოკი, რომელიც ხელს უშლის მუშას მიუახლოვდეს დაუცველ ნაპირს	34
21	მოკლე თოკი, რომელიც ხელს უშლის მუშას მიუახლოვდეს დაუცველ ნაპირს	35
22	უსაფრთხოების ბადეები	36
23	ვარდნის შეჩერების სისტემის უსაფრთხო გაშლაზე მოქმედი ფაქტორები, რომელსაც შეუძლია მუშების მიწაზე დაცემის თავიდან არიდება	36
24 + 25	კიბეზე მუშაობის არასწორი და სწორი პოზიციები	37
26	კიბის სწორი განლაგებასიმაღლის ერთ მეოთხედზე	38
27	კიბე სწორადაა დაფიქსირებული (სწორად სამუშაოდ და არა ასასვლელად) ზედა საფეხურებთან კოსიურითა და ძირზე.	38

28	მუშა ინარჩუნებს კონტაქტის სამ წერტილს კიბეზე მუშაობისას	39
29	მუშები სწორად დგანან გასაშლელ კიბეზე	39
30	კარგად დაგეგმლი საფეხმავლო და საავტომობილო გადასასვლელი	40
31	ბარიერი, რომელიც ხელს შეუშლის თვითმცლელს თხრილში გადავარდნაში	41
32	კარგად მორგებული ხედვის მონყობილობები, როგორიცაა გვერდითა ხედვის სარკეები და ვიდუო კამერა, მძღოლს უადვილებს ხედვას	42
33	მუშები გათხრებზე	43
34	თხრილების დამცავი ყალიბისადგილეზე განთავსება მუშების მონაწილეობის გარეშე	44
35	თხრილის ყალიბი, რომელიც თხრილზე მაღალია დამცავი ჯებირით	44
36	თხრილი, რომელიც გამყარებულია ყალიბითდა ჯებირით	45
37 + 38	ვაკუუმის აძნე ბორდიურის ქვებისთვის	46
39	ჩამოსაკიდი გორგოლაჭი	46
40	სასაქონლო ჯალამბარი	47
41	მობილური აძნე, რომელიც ეყრდნობა აუტრიგერს	49
42	სიმძიმის ცენტრი უნდა იყოს ჩამოსაკიდი კაუჭის ქვეშ	49
43	მიწაზე დასამონტაჟებელი ბარიერი მიწისზედა ელექტრო სადენების არსებობის პირობებში	50
44	ბარიერებისა და გადასასვლელების მაგალითები	51
45	ცემენტის მოსაზელი მექანიზმის დაუცველი ამძრავი მექანიზმი	53
46	დაუცველი ცირკულარული ხერხი	54
47	სათანადოდ დაცული ცირკულარული ხერხი	54
48	უყურადღებოდ მითოვებული ხელის საჭრელი	54
49	სათანადოდ დაცული ხელის საჭრელი	55
50	ურიკა ცუდად მოვლილი ბორბლის საკისარით	55
51 + 52	ყურების ხმაურისაგან დამცავი გახეული და დამიანებული სარქველებით ...	60

სამადლობელი

წინამდებარე გამკველვეი მომზადდა მმართველობისა და ტრიპარტიზმის დეპარტამენტის (GOVERNANCE) შრომის ადმინისტრაციის, შრომის ინსპექციისა და საწარმოო უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სამმართველოს (LABADMIN/OSH) მიერ, შემდეგი სპეციალისტების ტექნიკური ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობით: ბ-ნი ხოაკიმ ნუნესი, შრომის ინსპექტირების, საწარმოო უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უფროსი სპეციალისტი; ბ-ნი ენდრიუ ქრისტინი, შრომის ადმინისტრაციისა და შრომის ინსპექტირების ოფიცერი; ბ-ნი ხავიერ ბარბერო, შრომის ადმინისტრაციის, შრომის ინსპექციისა და საწარმოო უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უფროსი სპეციალისტი.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ გამკველვეი შეიცავს საჯარო სექტორის ინფორმაციას, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა Health and Safety Executive-ის მიერ, რომელიც არის ბრიტანული საჯარო ორგანიზაცია, რომლის სალიცენზიო ნომერი დიდი ბრიტანეთის ღია მმართველობის ლიცენზიით არის v1.0.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ასევე აღნიშნავს, რომ ზოგიერთი სურათი მოპოვებულ იქნა პუბლიკაციიდან დიდ სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების ქცევის კოდექსიდან (მეორე გამოცემა, 2013, სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საბჭო, სინგაპური).

წინამდებარე გამკველვეის შემუშავება მოხდა ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, 'შრომის ინსპექციის საშუალებით სამუშაო ადგილზე სამუშაო სტანდარტების უზრუნველყოფა' პროექტის ფარგლებში.

³ <http://www.nationalarchives.gov.uk/doc/open-government-licence/version/3/>

აბრევიატურები

FOPS	ნივთების გადმოვარდნის თვიდან ასაცილებელი დამცავი სტრუქტურა
ILO	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
LEGOSH	საწარმოო უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის კანონმდებლობის შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გლობალური მონაცემთა ბაზა
MEWPs	მობილური სამუშაო პლატფორმები
MCWPs	დერძზე მოძრავი სამუშაო პლატფორმები
OSH	საწარმოო უსაფრთხოება და ჯანმრთელობა
PPE	ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობა
RCS	სილიკონი
ROPS	გადმოტრიალებისგან მძღოლის დამცავი სტრუქტურა

1. შესავალი

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1988 წლის №167 კონვენცია სამშენებლო სექტორში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შესახებ⁴ 3-5 მუხლში ამბობს, რომ: 'ყოველმა წევრმა უნდა უზრუნველყოს სათანადო ინსპექტირების სერვისი, რათა მოხდეს კონვენციით გათვალისწინებული ზომების გატარება და მიაწოდოს ეს სერვისები საჭირო რესურსებთან ერთად მათი მოვალეობის შესასრულებლად და უზრუნველყოს ასეთი ინსპექტირების განხორციელება.

წინამდებარე გამკველვის მიზანია, შრომის ინსპექტორებს მიაწოდოს სათანადო ცოდნა სამშენებლო ობიექტებზე ვეფექტური ინსპექტირების განსახორციელებლად. შრომის ინსპექცია მოიცავს მრავალ სფეროს ადგილობრივი კანონმდებლობიდან და გარემოებებიდან გამომდინარე. თუმცა ხშირ შემთხვევაში ის მოიცავს საწარმოო ურთიერთობებსა და გავრთიანების თავისუფლებას, ბავშვთა შრომას, იძულებით შრომას, ხელფასებსა და ზოგად სამუშაო პირობებს, საწარმოო უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას, დასაქმებასთან და სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს.

გამკველვი ასევე შეიცავს ინფორმაციას ინსპექტირების განხორციელებისთვის საჭირო მეთოდოლოგიის შესახებ - დაგეგმვის ეტაპიდან ინსპექტირების შესახებ ანგარიშის მომზადების ეტაპამდე. მისი მიზანია, დაეხმაროს შრომის ინსპექტორებს პროაქტიული ინსპექტირების დაგეგმვაში, რის შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი. შრომის ინსპექტორები, რომლებიც დაკავებულნი არიან რეაქტიული ინსპექტირებით, რათა დაადგინონ უბედური შემთხვევის გამომწვევი მიზეზები, უნდა გაეცნონ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 2015 წლის პუბლიკაციას სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევებისა და დაავადებების გამოძიება - პრაქტიკული სახელმძღვანელო შრომის ინსპექტორებისთვის.⁵

სამუშაო ადგილზე მომხდარი ყოველი 6 ფატალური შემთხვევიდან - ერთი ხდება სამშენებლო სექტორში, რაც წელიწადში 60 000-მდე აღწევს. სამუშაოს თავის-თავად სარისკო ხასიათი - ქვეკონტრაქტორები და სერვისის გარე მომწოდებლების არსებობა, სამშენებლო ობიექტების სიმრავლე, ცვალებადი სამუშაო პირობები და თანამშრომლების გადინების მაღალი მაჩვენებელი - სამშენებლო სექტორს საშიშ სფეროდ აქცევს. სამშენებლო ობიექტების მრავალფეროვნება, განსხვავებული საქმიანობა, ტექნოლოგიები, მეთოდები და მასალები ართულებს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მართვას. თუმცა უბედური შემთხვევებისა და ჯანმრთელობის პრობლემები შეიძლება თავიდან იქნას აცილებული, რაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ შრომის ინსპექტორები და მათ მიერ ჩატარებული ინსპექტირება.

იმის გათვალისწინებით, რომ ყველა დასაქმებულს აქვს უფლება, ჰქონდეს 'უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო'⁶ და სამუშაო ადგილის უსაფრთხოებასთან მიმართებით 'ყველა სათანადო ზომა უნდა იქნას მიღებული, რათა

⁴ ხელმისაწვდომია: http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C167

⁵ ხელმისაწვდომია: http://www.ilo.org/labadmin/info/pubs/WCMS_346714/lang-en/index.htm

⁶ იხ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 2006 წლის საწარმოო უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის პაროლ კონვენცია # 187, მუხლი 3 (2), ხელმისაწვდომია: http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C187

უმრუნველყოფილ იქნას სამუშაო ადგილის უსაფრთხოება დასაქმებულის ჯანმრთელობის რისკის და დაზიანების თავიდან ასაცილებლად⁷ გამკვლევი იძლევა ინფორმაციას ყველაზე გავრცელებული საფრთხეების შესახებ, რომლებიც გვხვდება სამშენებლო ობიექტებზე, ასევე იმ ზომების შესახებაც, რომელთა გატარების შემთხვევაში. შემცირდება დასაქმებულთა მიმართ რისკი,⁸ რომლებზეც შეიძლება გავლენა იქონიოს წარმოებულმა სამუშაოებმა.

არსებული შრომის კანონმდებლობისადმი დაუმორჩილებლობა ხშირია ისეთ სექტორში, რომელსაც ახასიათებს კონტრაქტების გრძელი ჯაჭვი, სამუშაო ობიექტების დროებითი ხასიათი, სამუშაო ძალის მრავალფეროვნება და მობილობა და სამშენებლო ობიექტებზე წარმოებული სამუშაოების ცვალებადი ხასიათი. დარღვევებს შორის გვხვდება შრომითი კონტრაქტების არარსებობა, მინიმალური ანაზღაურებისა და სხვა ბენეფიტების გადაუხდელობა, დასაქმებულთათვის სოციალური დაცვის სამსახურებში დაურეგისტრირებლობა, სამუშაო საათების უპატივცემულობა. გვხვდება ასევე ფუნდამენტური უფლებების დარღვევის შემთხვევებიც, როგორცაა დასაქმებისთვის დაშვებული მინიმალური ასაკი, იძულებითი და მონური შრომა.

⁷ იხ. კონვენცია # 167, მუხლი 13

⁸ რისკი არის შემთხვევითობა, მაღალი ან დაბალი, რომ ვინმე შეიძლება დაზარალდეს საფრთხის განხორციელების შედეგად, მარალის სერიოზულობის მინიშნებით.



2. შრომის ინსპექტორებისთვის საჭირო ცოდნა და უნარები

შრომის ინსპექტორები უფლებამოსილნი არიან უზრუნველყონ ეროვნული კანონმდებლობის აღსრულება. ამიტომ უმნიშვნელოვანესია, რომ ისინი კარგად ერკვეოდნენ არსებულ კანონმდებლობაში და საკუთარ უფლებამოსილებაში.⁹ შრომის კანონმდებლობის მრავალფეროვნების გამო საერთაშორისო დონეზე, წინამდებარე გზამკვლევაში შესაძლებელია მხოლოდ საილუსტრაციო მაგალითების მოყვანა.

შრომის ინსპექტორების უფლებამოსილება შეიძლება მოიცავდეს შემდეგ უფლებებს: შენობაში შესვლა წინასწარი გაფრთხილების გარეშე; კანონის მოთხოვნების შესრულების დასადგენად მოკვლევის წარმოება; მონშემების დაკითხვა; დოკუმენტური ინფორმაციის მოპოვება და გამოკვლევა; კვლევებისთვის მასალების მოძიება; აღსრულების ქმედებების განხორციელება (შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისთვის სათანადო ღონისძიებების გატარების მოთხოვნა, მათ შორის ისეთი ღონისძიებებისა, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ დასაქმებულთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე, სანქციების დანესება).

შრომის ინსპექტორები, რომლებიც ახორციელებენ ინსპექტირებას ინფორმირებულნი უნდა იყვნენ ინსპექტორატის პროცედურებისა და პრაქტიკის შესახებ (სამუშაოს სისტემა). ეს შეიძლება განსხვავდებოდეს, მაგრამ მოიცავდეს შემდეგ საკითხებს: ინსპექტირების ჯგუფების შემადგენლობა (მაგ: კონკრეტული ცოდნის მქონე ინსპექტორები, ისეთი როგორც არიან ინჟინრები); სხვა სააგენტოებთან თანამშრომლობა; ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობის (PPE) ფლობა და გამოყენება; ინსპექტირების დროს დასაქმებულთა და დამსაქმებელთა ორანიზაციების წარმომადგენელთა ჩართულობის უზრუნველყოფა; შრომის ინსპექტორატის ეთიკის კოდექსის არსებობა;¹⁰ აღსრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო პრინციპები¹¹ (სანქციები), როგორებიცაა კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევებზე რეაგირება; ინსპექტორებზე საჩივარის შედგენის მექანიზმი; მოპოვებული ინფორმაციის შეტყობინება.

შრომის ინსპექტორებს ძალიან დაეხმარება სამშენებლო ინდუსტრიაში მოქმედი აქტორების შესახებ ცოდნა, რითაც შეძლებენ ღირსეული სამუშაოსა და უბედური შემთხვევების პრევენციის კულტურის დამკვიდრებას, ამისთვის საჭიროა იმის ცოდნაც, თუ როგორ ახდენენ ეს აქტორები ღირსეული სამუშაო პირობების ხელშეწყობას; სასარგებლო იქნება ასევე იმის ცოდნაც, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ სამუშაო პირობების, მათ შორის საწარმოო უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის მიმართ (OSH).

⁹ შრომის ინსპექტორების უფლებამოსილება განსაზღვრულია შრომის ინსპექციის შესახებ 1947 წლის კონვენციით (# 81), ხელმისაწვდომია:

http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C081

¹⁰ შრომის ინსპექციის საერთაშორისო ასოციაცია: შრომის ინსპექციის ქცევის გლობალური კოდექსი, ხელმისაწვდომია: <http://www.ialia-aiit.org/resources/code-of-integrity.pdf>

¹¹ აღსრულების მართვის მოდელი არის ჩარჩო, რომელიც ეხმარება ინსპექტორებს, მიიღონ სააღსრულებო გადაწყვეტილება, რომელიც შეესაბამება Health and Safety Executive-ის აღსრულების შესახებ პოლიტიკის დოკუმენტს, ხელმისაწვდომია: www.hse.gov.uk/enforce/emm.pdf

სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორებიც არიან კლიენტები, ძირითადი კონტრაქტორები, ქვეკონტრაქტორები და მუშები; სექტორში არსებული ადგილობრივი და საერთაშორისოდ აღიარებული შრომის უსაფრთხოების პრინციპები.

სამშენებლო ობიექტებზე ინსპექტირების ეფექტურად წარმართვისთვის შრომის ინსპექტორებს ასევე დასჭირდებათ შემდეგი უნარები:

- 'სოფტ სკილები' - დასაქმებულებთან, დამსაქმებლებთან და მათ წარმომადგენლებთან, ასევე სხვა ინსპექტორებთან ეფექტური კომუნიკაცია, ინსპექტირების შედეგების ადამიანებისა და ორგანიზაციების ფართო სპექტრთან გაზიარების უნარი;
- ინტერვიუს ჩატარების უნარები - ინფორმაციის შეგროვება შეკითხვების დასმის გზით;
- საფრთხის აღმოჩენა - უნარი, შენიშნოს საფრთხის შემცველი სამუშაო პირობები და უზრუნველყოს ისეთი ქმედებების გატარება, რომლებიც დასაქმებულებისა და ასევე შრომის ინსპექტორების უსაფრთხოებას შესაძლებელს გახდიან;
- ტექნიკური კომპეტენციები - უსაფრთხო სამუშაო პროცედურების შესახებ ცოდნა, განსაკუთრებით იმ საკითხებთან მიმართებით, რომელთა ინსპექტირებაც მიმდინარეობს;
- საორგანიზაციო უნარები - ინსპექტირების დაგეგმვის, მიღებული ინფორმაციის ჩანერისა და ორგანიზების უნარი;
- ანალიტიკური უნარები - უნარი, შეაფასოს თუ როგორაა ორგანიზებული სამშენებლო ობიექტზე სამუშაოები, საკონტრაქტო ჯაჭვი, როგორაა გადანიშნული სამუშაო ძალა, ასევე უნარი გაარკვიოს ვინ არის დამსაქმებელი და როგორ არის კონტრაქტორებსა და ქვეკონტრაქტორებს შორის ის საკონტრაქტო ვალდებულებები განანიშნებული, რომლებიც გავლენას ახდენენ ობიექტის მართვასა და კოორდინირებაზე;
- სამართლებრივი კომპეტენციები - პროფესიული ურთიერთობების რეგულირების, საწარმოო უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სფეროში არსებული კანონმდებლობის ცოდნა, ასევე შრომის ინსპექტორატის კომპეტენციაში შემავალი სხვა სფეროს შესახებ არსებული კანონმდებლობის ცოდნა.

ეს უნარები ინსპექტორებს დაეხმარება, აღმოაჩინონ ეროვნული კანონმდებლობის დაცვის (ან დარღვევის) ფაქტები და, სადაც საჭიროა, კოლექტიური მოლაპარაკებების ელემენტები და მიიღონ გადაწყვეტილება გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ.

2.1 სამშენებლო ციკლი

შრომის ინსპექტორებმა, რომლებიც მუშაობენ სამშენებლო სექტორში, უნდა იცოდნენ სამშენებლო ციკლის შესახებ, რადგანაც ეროვნული კანონმდებლობა შეიძლება განსხვავებულ პასუხისმგებლობას აკისრებდეს სხვადასხვა აქტორს მშენებლობის განსხვავებულ ეტაპებზე ანდა მშენებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში. მაგალითად, დამგეგმარებლებმა უნდა გაითვალისწინონ დაშორება სამრეწველო და საცხოვრებელ შენობებს შორის, არქიტექტორებმა უნდა გაითვალისწინონ თუ როგორ მოხდება შენობის ფასადის განმშენადა, ან დაპროექტონ უსაფრთხო ასასვლელი სახურავზე და ა.შ.

სამშენებლო ციკლი შემდეგი ხუთი ნაბიჯისაგან შედგება:

1 ეტაპი: დაგეგმვა - მოიცავს იმის დადგენას თუ რამდენად ნებადართულია და რეალისტურია კლიენტის შეკვეთის შესრულება;

2 ეტაპი: დიზაინი¹² - მოიცავს პროექტის ნახაზის შედგენას, პროექტის დეტალებისა და მოსალოდნელი ხარჯების დადგენას;

3 ეტაპი: სატენდერო პროცესი - მოიცავს მშენებლობის დეტალების გაცნობას კომპანიებისათვის და მათგან შემოთავაზებების მიღებას, რის შედეგადაც მოხდება მთავარი კონტრაქტორის შერჩევა;

4 ეტაპი: მშენებლობის პროცესი. ის მოიცავს:

- I ფაზა: სამშენებლო ტერიტორიის მომზადება
- II ფაზა: საძირკველი
- III ფაზა: სტრუქტურის (კარკასის) მშენებლობა
- IV ფაზა: ფასადი
- V ფაზა: ტიხრების მშენებლობა
- VI ფაზა: ექსპლუატაციაში მიღება
- VII ფაზა: შეფასება, გაუმჯობესება, ლანდშაფტი

5 ეტაპი: მშენებლობის ჩაბარება და შეფასება. შენობა გადაეცემა კლიენტს, რომელმაც უნდა შეაფასოს მშენებლობისა და მიწოდებული სერვისის ხარისხი.

¹² 1 და 2 სტადია აუცილებელია სამშენებლო მოედანზე უსაფრთხო სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად. როგორც კონვენცია # 167 მუხლი 9 ამბობს: 'მათ, ვინც პასუხისმგებლები არიან სამშენებლო სამუშაოების პროექტის დაგეგმვაზე მხედველობაში უნდა მიიღონ მშენებლობაზე დასაქმებული მუშების უსაფრთხოება და ჯანმრთელობა ეროვნული კანონმდებლობის, რეგულაციებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით.' მრავალი უბედური შემთხვევა იმიტომ ხდება, რომ დაგეგმვის ეტაპზე არ იქნა გათვალისწინებული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ნორმები. ამის გამო, შრომის ინსპექტორები თავიანთ ვიზიტს იწყებენ მშენებლობის მფლობელებთან და მთავარ კონტრაქტორებთან შეხვედრით, რათა შეაფასონ დაგეგმილი ოპერაციების აღქვატურობა უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის თვალსაზრისით და რათა განსაზღვრონ თუ რა მოვები იქნა გატარებული ამ ეტაპამდე. დაგეგმვის ეტაპის მნიშვნელობა ასევე განმარტებულია ევროკავშირის დირექტივა 92/57/EEC პრეამბულაში 'არადამაკმაყოფილებელი არქიტექტურული ანდა ორგანიზაციული გადაწყვეტილებები ან პროექტის მომზადების ეტაპზე არასწორმა დაგეგმვამ ითამაშა როლი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მომხდარი საწარმოო უბედური შემთხვევების ნახევარზე მეტში.'

როდესაც ინსპექტორები დაინწყებენ ინსპექტირების დაგეგმვას, მათ უნდა იცოდნენ თუ მშენებლობის ციკლის რომელ ეტაპზე იმყოფება ინსპექტირების ობიექტი. მაგალითად, თუკი ინსპექტორებს სურთ შეამოწმონ სამალღებე მიმდინარე სამუშაოები, მაშინ უმჯობესი იქნება თუკი ისინი მშენებლობის III და IV ფაზაზე მოახდინონ ინსპექტირებას, ხოლო თუ სურთ მობილური წარმოების (პროცესის) შემოწმება, მაშინ ინსპექტირება მშენებლობის I და II ფაზაში უნდა მოხდეს; თუკი შრომის ინსპექტორების მიზანია დარწმუნდნენ, რომ არ ხდება ბავშვთა შრომის გამოყენება და მშენებლობაზე დასაქმებული ყველა პირი იღებს დაპირებულ ანაზღაურებას, უმჯობესია თუ სამშენებლო ობიექტზე V ან VII ფაზაში მივლენ, რადგანაც ამ დროს ყველაზე მეტი ადამიანია დასაქმებული მშენებლობაზე.

სასურველია, რომ ყველა ობიექტის შემოწმება ადრეულ ეტაპზე მოხდეს, რათა ინსპექტორებს ჰქონდეთ ინფორმაცია იმის შესახებ თუ ვინ შეასრულებს სამუშაოს, რამდენი ადამიანი იქნება დასაქმებული, რა გზით იქნება დასაქმებულების უსაფრთხოება და ჯანმრთელობა დაცული. ამის შემდეგ ვიზიტები უნდა განხორციელდეს მშენებლობის კრიტიკულ მომენტებში, როდესაც პროცესში ჩართული იქნება დიდი რაოდენობით სანარმოები და მუშები.

3. ინსპექტირების პროცესი

ქვემოთ მოყვანილია ინსპექტირების განხორციელების ოთხი ძირითადი სტადია:

- 1. ინსპექტირების დაგეგმვა/მომზადება
- 2. ინსპექტირების განხორციელება
- 3. გადასადგმელი ნაბიჯების განსაზღვრა
- 4. ინსპექტირების შესახებ ანგარიშის მომზადება

3.1 ინსპექტირების მომზადება/დაგეგმვა

ინსპექტირებისთვის აუცილებელია მომზადება. თუკი არ მოხდება დეტალური დაგეგმვა, შეიძლება, ინსპექტირება არ იყოს ეფექტური და უარყოფით შედეგებითაც დასრულდეს. შრომის ინსპექტორები ვალდებული არიან უზრუნველყონ კანონის დაცვა. ადეკვატური მომზადება კი უზრუნველყოფს ყველა მნიშვნელოვანი საკითხის მოცვას, რაც განაპირობებს კანონმდებლობის დაცვას და, შესაბამისად, სამუშაო პირობების გაუმჯობესებას. მომზადება შეიძლება მოიცავდეს აქტორების იდენტიფიცირებას. შესაძლო აქტორები შეიძლება იყვნენ: კლიენტი, მთავარი კონტრაქტორი, ქვეკონტრაქტორები, პროექტის ხელმძღვანელები, ნებართვის გამცემი უწყებები, მომწოდებლები, სერვისის მომწოდებლები (მაგ: უსაფრთხოება, კვება), დასაქმებულები.

ინსპექტირების დაგეგმვისას ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას, თუ რამდენადაა საჭირო სხვა უწყებების ჩართვა. ეს უწყებები შეიძლება იყოს: საგადასახადო სამსახური, პოლიცია, სხვა ინსპექტორატები, როგორცაა შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური დაცვის ინსპექტორატები, გარემოს დაცვის ინსპექტორატი და სამშენებლო კონტროლის ინსპექტორები. ამ საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია თუ რა მიზანს ისახავს მოცემული ინსპექტირება და ასევე რა ინფორმაცია იქნა შეგროვილი წინა ინსპექტირების დროს. როდესაც იგეგმება ერთობლივი ინსპექტირება, აუცილებელია, რომ ყველა მხარე ჩართული იყოს დაგეგმვის პროცესში, ზუსტად იცოდნენ ვიზიტის მიზნები, საკუთარი როლი, რა მეთოდოლოგია გამოიყენება, მთავარი პასუხისმგებელი პირი ან ორგანიზაცია, ინსპექტირების შედეგად მიღებული ინფორმაციის გაზიარებისა და ანგარიშგების გზა.

დაგეგმვის პროცესი შეიძლება რამდენიმე ეტაპად დაიყოს.

3.1.1 ინსპექტირებისას გასარკვევი საკითხების იდენტიფიცირება

ეს საკითხები შეიძლება იყოს ბავშვთა შრომა, სამუშაო საათები, ხელფასების გადახდა, არადეკლარირებული სამუშაო, სანარმოო უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ინსპექტორატის ამოცანები, რომლებიც ამ გეგმაში იქნება განვრდილი, როგორც წესი მოიცავენ იმ საკითხებს, რომლებიც გვხვდება ყველა ინსპექტირებისას, კონკრეტული საკითხები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნას სექტორული ინსპექტირებისას და რა ტიპის პროაქტიული ინსპექტირება უნდა ჩატარდეს.

ამ ამოცანების განსაზღვრა დაეხმარება ინსპექტორებს იმის დადგენაში, თუ როდის უნდა ჩატარდეს მომდევნო ინსპექტირება. მაგალითად, თუკი ინსპექტირების მიზანია არადეკლარირებული სამუშაოს იდენტიფიცირება, მაშინ ლოკიკური იქნება, თუკი ინსპექტირება ისეთ დროს მოხდება, როდესაც სამშენებლო ობიექტზე ყველაზე დიდი რაოდენობით მუშები იქნებიან დასაქმებული, ან მაშინ როდესაც ქვეკონტრაქტებით გათვალისწინებული სამუშაოები პიკს აღწევს. სამშენებლო ობიექტზე ასეთი პერიოდი დგება საძირკველის გათხრის დასრულების შემდეგ და პოტენციურად ასევე სტრუქტურული სამუშაოების დასრულების შემდეგ. თუმცა თუკი ინსპექტირება მიზნად ისახავს უბედური შემთხვევების შემცირებას სამშენებლო ობიექტზე გათხრების დროს, მაშინ ინსპექტირება ისეთ დროს უნდა განხორციელდეს, როდესაც ასეთი სამუშაოები მიმდინარეობს.

3.1.2 იმ ნაგებობების დადგენა, რომელთა ინსპექტირებას უნდა მოხდეს და ინსპექტირების დროის განსაზღვრა

სანარმოების შერჩევა დამოკიდებული იქნება იმაზე, არის თუ - არა შენობები დარეგისტრირებული და შესაბამისად, ცნობილი შესაბამისი უწყებებისთვის. იმის გადასაწყვეტად თუ რომელი ნაგებობის შემოწმება უნდა მოხდეს, ინსპექტორატმა შეიძლება გაითვალისწინოს იქ დასაქმებულთა რაოდენობა, ფირმაში არსებული სამუშაო პირობები, მისი მდებარეობა, ინსპექტორების ხელთ არსებულ ინფორმაცია არარეგისტრირებული ნაგებობების შესახებ.

იმ ინსპექტორატების სირთულე, რომლებიც სამშენებლო ობიექტების ინსპექტირებას ახდენენ, მდგომარეობს იმაში, რომ ხშირად არ არიან ინფორმირებულნი მიმდინარე მშენებლობის შესახებ. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა მშენებლობის მფლობელს/კლიენტს ავალდებულებს¹³ შესაბამის სამსახურებს წერილობით შეატყობინონ (კონკრეტული ინფორმაციის მითითებით)¹⁴ მშენებლობის დაწყების შესახებ. ეს ვალდებულება განსაკუთრებით საჭიროა ინსპექტორატებისთვის, ის მხოლოდ ინფორმაციას კი არ იღებს მშენებლობის შესახებ, არამედ შეუძლია ინსპექტირების ვადებიც კი დაგეგმოს. სხვა ქვეყნებში კი შრომის ინსპექტორატი მოვლევას ატარებს მშენებლობების იდენტიფიცირების მიზნით, რათა დაგეგმონ ინსპექტირება. ასეთ შემთხვევაში ინსპექტირება უპირველეს ყოვლისა დაიგეგმება იმ ობიექტებზე, რომლებიც ინსპექტორებმა აღმოაჩინეს, რადგანაც კანონდარღვევები უფრო ხშირი სწორედ ასეთ ობიექტებზეა და არა იმ ობიექტებზე, რომელთა შესახებ მათ წინასწარ ჰქონდათ ინფორმაცია.

3.1.3 განსახორციელებელი ვიზიტის ტიპის დადგენა

შრომის ინსპექტორების ვიზიტები ან პროაქტიულია (ინსპექცია) ან რეაქტიული (გამოძიება). ორივე შემთხვევაში ვიზიტების შესახებ შეიძლება წინასწარ ინფორმაციის გავრცელება, როდესაც შესაძომნებელი ობიექტის მესვეურები წინასწარ არიან გაფრთხილებულნი ვიზიტის შესახებ, ან მოულოდნელი, როდესაც ვიზიტის შესახებ ინფორმაცია წინასწარ არ გავრცელებულა.¹⁵

ვიზიტის შესახებ ინფორმაციის წინასწარ გავრცელება იმპრინგა კარგი, რომ შესაძომნებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებს აქვთ საკმარისი დრო შესაბამისი საბუთების მოსამზადებლად და ასეთი ვიზიტების დროს ზედა მმართველი რგოლის წარმომადგენლებიც ადგილზე იქნებიან. მეორე მხრივ, ასეთი ვიზიტებისას ორგანიზაციას აქვს საკმარისი დრო დარღვევების გამოსასწორებლად, არასასურველი დოკუმენტების ან დასაქმებულების მოსაშორებლად, რადგან ინსპექტორებმა არ მიიღონ უარყოფითი ინფორმაცია და ასევე მმართველი რგოლის თანამშრომლები შეიძლება 'მოულოდნელად' სხვა საქმით იყვნენ დაკავებულნი. დასაქმებულები შეიძლება თვლიდნენ, რომ დამსაქმებულებისთვის ინსპექტირების შესახებ ინფორმაციის წინასწარ მიწოდება არ აძლევდეს ინსპექტორებს იმის საშუალებას, რომ იხილონ ჩვეულებრივი სამუშაო გარემო და პირობები ან ინსპექტორები არ იყვნენ მიუკერძოებელნი. მოულოდნელი ვიზიტების მთავარი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ინსპექტორებს საშუალება აქვთ რეალური სამუშაო პირობების ნახვისა, მათ შორის დასაქმებულთა რეალური რაოდენობის გარკვევის, ასევე იმათიც, ვინც არ არის აღრიცხული. ინსპექტირების ამოცანებიდან გამომდინარე, სწარმოს წინასწარ ინფორმირება შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი.

¹³ ევროკავშირი: 1992 წლის 24 ივნისის საბჭოს დირექტივა 92/57/EEC დროებით ან მობილურ სამშენებლო ობიექტებზე მინიმალური უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის სტანდარტების განხორციელების შესახებ. გაერთიანებულ სამეფოში არსებული სამშენებლო პროექტის შესახებ შეტყობინების ფორმის მაგალითი იხილეთ აქ: <https://www.hse.gov.uk/forms/notification/f10.htm>;

¹⁴ მაგალითი ესპანეთიდან <http://www.madrid.org/ICMdownload/MDCJYDL.pdf>

¹⁵ 'შრომის ინსპექტორებს ... უნდა ჰქონდეთ უფლება... თავისუფლად შევიდნენ წინასწარ გაფრთხილების გარეშე დღე-ღამის ნებისმიერ დროს ნებისმიერ დასაქმების ადგილას, რომელიც ექვემდებარება ინსპექტირებას', მუხლი 12 (1), კონვენცია # 81

მიუხედავად ამისა, წინასწარ შეთანხმებული და მოულოდნელი პროაქტიული და რეაქტიული ვიზიტების მხარდასაჭერად არგუმენტები არსებობს, მაგრამ დიდწილად ეს განპირობებულია იმსაკითხებით, რომელთა გარკვევასაც მიზნად ისახავს ინსპექტირება.

პროაქტიული ვიზიტი, როგორც წესი, შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

- i) რეგულარული ვიზიტები (დაგეგმილი, რეგულარული, სტანდარტული, პრევენციული) შეიძლება წარმოადგენდნენ შრომის ინსპექტორების მიერ წინასწარ განსაზღვრული გეგმის ნაწილს, რათა დამსაქმებლებისა და დასაქმებულების მხრიდან კანონის დაცვა იქნას უზრუნველყოფილი. ინსპექტორები ასევე იძლევიან რჩევას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს კანონის დაცვა. იმის გათვალისწინებით, რომ შრომის ინსპექტორებს უნევთ მრავალ სფეროში მუშაობა, ასევე ინსპექტირების ობიექტების სიდიდე ან სხვა რესურსების შეზღუდულობა, ინსპექტორები შეიძლება ვერ ახერხებდნენ ინსპექტირების ყველა ასპექტის დაფარვას, ან მთლიანი ობიექტის დათვალიერებას. თუმცა ეს არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც დარღვევებზე თვალის დახუჭვა და ეს კარგად უნდა იქნას განმარტებული ინსპექტირებისას შესაბამისი პირობისთვის.
- ii) განმეორებითი ვიზიტები როგორც წესი ეწყობა რეგულარული ვიზიტების შემდეგ, რათა შემოწმდეს ინსპექტირებისას აღმოჩენილი ხარვეზების გაუმჯობესება. ასეთი ვიზიტების განსახორციელებლად არ არის წინასწარ განსაზღვრული ვადები. ინსპექტორების მიერ მოთხოვნილი ღონისძიებების გატარება განსაზღვრავს იმ ვადებს, თუ როდის უნდა მოხდეს განმეორებითი ვიზიტი.
- iii) სპეციალური ვიზიტები შეიძლება წარმოადგენდნენ ეროვნული ან რეგიონული/ადგილობრივი პროგრამის ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული აქტივობების განხორციელებას, როგორცაა მინიმალური ანაზღაურების შემოწმება, იძულებითი ან ბავშვთა შრომის აღმოფხვრა, სამუშაო ადგილზე ტრანსპორტის გამართული მუშაობა.
- iv) ბლიც ვიზიტები, როგორც წესი ხდება მაშინ, როდესაც შრომის ინსპექტორები ფოკუსირდებიან ან კონკრეტულ რეგიონზე, ან კონკრეტულ საკითხზე მოცემული დროის პერიოდში. ასეთი ვიზიტების მიზანია მაქსიმალური ეფექტის მოხდენა და ხშირად გამოიყენება არადეკლარირებული შრომის იდენტიფიცირებისთვის, ან სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის კამპანიის ფარგლებში. ხშირად ბლიც-ვიზიტები სხვა უწყებებთან ერთად ხორციელდება. ინსპექტორები ასეთი ვიზიტების შესახებ ინფორმაციას ავრცელებენ, რათა მოახდინონ კამპანიის ეფექტის მაქსიმიზაცია.

რეაქტიული ვიზიტები შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

საგამოძიებო ვიზიტები. ეს შეიძლება იყოს გამოძიება საწარმოო უბედური შემთხვევების ან დაავადებების, ან დასაქმებულების მხრიდან არსებული სამუშაო პირობების ირგვლივ მიღებული საჩივრების შესახებ.

3.1.4 ინსპექტირების ვიზიტის მომზადება

მას შემდეგ, რაც ინსპექტორატები/შრომის ინსპექტორები გაარკვევენ იმ საკითხებს, რომელთა შემოწმებაც უნდა მოხდეს ვიზიტისას, დროა დაიწყოს უშუალოდ ინსპექტირების ვიზიტის მომზადება.

მომზადების დონე იმაზეა დამოკიდებული, თუ რა საკითხები და ობიექტები უნდა შემოწმდეს, თუმცა შრომის ინსპექტორებმა უნდა მოიპოვონ/განიხილონ შემდეგი:

- ინსპექტორატის მონაცემები იმ საწარმოს/ნაგებობის შესახებ, რომლის შემოწმებაც ხდება, რადგანაც ეს დაეხმარებათ სწორი გადანყვეტილების მიღებაში. მაგალითად, თუკი დამსაქმებელს მიეცა რჩევა კონკრეტული საკითხის შესახებ და მის მიერ ან არ მომხდარა ამ საკითხზე რეაგირება, ან მხოლოდ მცირე პროგრესია, მაშინ შრომის ინსპექტორის მხრიდან უპრიანი იქნება აღსრულების ღონისძიებების გატარება. ასეთი წინასწარი მონაცემები ინსპექტორს ასევე მიაწვდის ინფორმაციას დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ, შესამოწმებელი ობიექტის ზომის შესახებ, წარმოებული სამუშაოების შესახებ, ინსპექტორატის, შრომის ინსპექტორების და კანონმდებლობის შესრულების მიმართ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა დამოკიდებულებების შესახებ.
- სათანადო საკანონმდებლო აქტების ასლები, რომლებიც მოიცავენ შესამოწმებელ საკითხებს. თუკი შრომის ინსპექტორი არ იქნება დარწმუნებული კონკრეტული საკითხის რეგულირების შესახებ, მას ყოველთვის შეეძლება შესაბამის კანონში ჩახედვა. სასურველია ასევე არსებული კოლექტიური შეთანხმების ასლის ქონაც, რომელიც ეხება შესამოწმებელ ობიექტზე დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს.
- თუკი არსებობს, შესამოწმებელი ნაგებობის გეგმა. ეს გამოადგება შრომის ინსპექტორებს იმ შემთხვევაში, თუკი სამშენებლო ობიექტს ამოწმებენ, რათა დაადგინონ, როგორ მოძრაობს ავტოტრანსპორტი ობიექტის ტერიტორიაზე, ასევე მიწისქვეშა და მიწისზედა კომუნიკაციები (ბუნებრივი აირი, ელექტრო გაყვანილობა და წყალმომარაგება).
- სამშენებლო სამუშაოების გრაფიკი. იმ ქვეყნებში, სადაც უსაფრთხოების გეგმები სავალდებულოა, შრომის ინსპექტორები უნდა გაეცნონ ამ დოკუმენტებს, რადგანაც მათში არის ყველა საჭირო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყვნენ კონტრაქტორები მომზადებული სამუშაოების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
- ნებისმიერი საინფორმაციო მასალა გამოსაკვლევი საკითხის შესახებ. ეს მასალა არა მხოლოდ ეხმარება ინსპექტორებს, არამედ მათი დატოვება შეიძლება დამსაქმებლებისა და დასაქმებულებისთვის, რათა მათ შეძლონ არსებული პირობების გაუმჯობესება ინსპექტირების შემდეგ.
- ნებისმიერი დოკუმენტაცია, რომელსაც ითხოვს ინსპექტორატის წესები და პროცედურები. ეს შეიძლება იყოს ის დოკუმენტები, რომლებიც უნდა შეავსონ შრომის ინსპექტორებმა (ვიზიტის შესახებ ანგარიშები) ან ინფორმაცია, რომელიც მიაწოდეს დასაქმებულებსა და დამსაქმებულებს.



ეს შეიძლება ასევე იყოს ზოგადი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას უნდა ელოდო ინსპექტორისაგან ან მათ უფლება-მოვალეობის შესახებ ინფორმაცია. ამ ტიპის ლიფლეტი¹⁶ სასარგებლო იქნება ყველა მხარისთვის. იმ შემთხვევაში, თუკი შრომის ინსპექტორებს გაუჭრდებათ ობიექტზე შესვლა, მათ შეეძლება გამოიყენონ ლიფლეტი, რომელშიც იქნება ოფიციალური ინფორმაცია მათი ობიექტზე შესვლის უფლების შესახებ.

- ინსპექტორატის მიერ მომზადებული ნებისმიერი მითითება, რომელიც ინსპექტორების საკითხს ეხება. ეს შეიძლება იყოს საკონტროლო კითხვარი, რომელშიც ასევე იქნება დამატებითი ინფორმაცია შრომის ინსპექტორებისთვის იმის შესახებ, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგან მსგავს სიტუაციებში. მაგალითად, ბრიტანული Health and Safety Executive (HSE) ინსპექტორებს აძლევს ცალკეული საკითხის ინსპექტირების კრებულს, რომელიც აღწერს ინსპექტირების საკითხს, და ეხმარება შრომის ინსპექტორს. ეს კრებული ასევე ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვისაც. ესპანეთის შრომისა და სოციალური დაცვის ინსპექტორატის¹⁷ მიერ გამოყენებული პროტოკოლები და გამკვლევეები მსგავსი მასალის კიდევ ერთ მაგალითია, რომლებიც ხელმისაწვდომია ამ ინსტიტუციის ვებგვერდზე.¹⁸

აღნიშნული ინფორმაციის მოპოვების გარდა, შრომის ინსპექტორებს შეიძლება დაეხმაროს ინსპექტირების გეგმის შედგენაც (ეს ინფორმაცია არ არის ამომწურავი).

ცხრილი 3.1 სამშენებლო ობიექტის ინსპექტირების გეგმის მაგალითი

ინსპექტირების გეგმა	
შესამონწმებელი სამშენებლო ობიექტი/ ადგილმდებარეობა	
ინსპექტირების თარიღი	
საჭირო რესურსები (ადამიანების რაოდენობა და საჭირო კვალიფიკაცია)	
ხდება სხვა სააგენტოებთან ერთობლივი ინსპექტირება? თუ კი, მაშინ რომელ სააგენტოებთან და ვინ წარმოადგენს მათ?	
ობიექტამდე მგზავრობა ტრანსპორტის რა საშუალებით ხდება?	

¹⁶ რას უნდა ველოდოთ, როდესაც ვანმრთელობისა და უსაფრთხოების ინსპექტორი დარეკავს: მოკლე გამკვლევი ბიზნისის, დასაქმებულებისა და მათ წარმომადგენლებისთვის (HSE, გაერთიანებული სამეფო), ხელმისაწვდომია: <http://www.hse.gov.uk/pubns/hsc14.pdf>

¹⁷ ინსპექტირება სხვადასხვა საკითხების ირგვლივ (ინგლისურენოვანი) (HSE, გაერთიანებული სამეფო), ხელმისაწვდომია: <http://www.hse.gov.uk/foi/internalops/fod/inspect/index.htm>

¹⁸ http://www.empleo.gob.es/itss/web/Atencion_al_Ciudadano/Normativa/RIESGOS_LABORAL/index.html

ინსპექტირების გეგმა	
ინსპექტორატის მონაცემები ობიექტზე არსებული პასუხისმგებელი პირების შესახებ შეიცავს ეს მონაცემები ინფორმაციას იმ ვალდებულებების შესახებ, რომლებიც პასუხისმგებელ პირებს უნდა შეესრულებინათ წინა ინსპექტირების შემდეგ? თუ კი, მაშინ მონიშნეთ ის საკითხები, რომლებიც უნდა შემოწმდეს ხელახლა.	
გასარკვევი საკითხები (მაგალითი): 1) სანარმოო უსაფრთხოება და ჯანმრთელობა და სამუშაო პირობები 2) სანარმოო უსაფრთხოება და ჯანმრთელობის ყველა ასპექტი ან კონკრეტული საკითხები (სიმაღლეზე მუშაობა, ტრანსპორტი, გრუნტზე მუშაობა და ა.შ.) 3) სამუშაო პირობების სრული სპექტრი ან კონკრეტული საკითხები (კონტრაქტები, ხელფასები, სამუშაო საათები და ა.შ.).	
ინსპექტირების ტიპი. მაგალითად: სამუშაოების დაწყებამდე ინსპექტირება იმის გასარკვევად, თუ როგორ იმუშავებენ კლიენტები ობიექტზე; ობიექტის ინსპექტირება მიმდინარე სამუშაოების შესამოწმებლად.	
განსახილველი საკითხების ირგვლივ არსებული ეროვნული კანონმდებლობა და ამ საკითხებზე შეგროვებული ინფორმაცია.	
განსახილველი საკითხების შესახებ მოიპოვეთ შესაბამისი ინსპექტორატის წესები და პროცედურები ან სხვა სახელმძღვანელო მასალა შრომის ინსპექტორებისთვის.	
განსახილველ საკითხებთან მიმართებით გაარკვიეთ რა ტიპის დოკუმენტების შესწავლა დაგჭირდებათ ობიექტზე: შრომითი ხელშეკრულებები, ხელფასების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, სამუშაოზე ყოფნის ტაბელი, უსაფრთხოების გეგმა, უბედური შემთხვევების შესახებ ინფორმაცია და ა.შ.	

გემოთხსენებული დოკუმენტების გარდა, შრომის ინსპექტორებს ასევე თან უნდა ჰქონდეთ შემდეგი:

- ოფიციალური საიდენტიფიკაციო ბარათები;
- ბლოკნოტები და საწერი მასალები ინფორმაციის ჩასაწერად;
- ფოტო/ვიდეო აპარატი, რათა დააფიქსირონ სამუშაო პირობები და ასლი გადაუღონ მოპოვებულ დოკუმენტებს (თან უნდა ჰქონდეთ მეხსიერების დამატებითი ბარათები);
- იდენტიფიკაციური დამცავი აღჭურვილობა, როგორცაა მყარი თავსაბურავი, დამცავი ფეხსაცმელი ფოლადის ცხვირით და ლანჩით, ადვილად გასარჩევი ტანსაცმელი, ამინდის შესაბამისი ტანსაცმელი, თვალების დასაცავი ნიღაბი, ყურებისა და ხელების დამცავი;
- აუცილებელი სამართლებრივი საბუთები. სრული სია დამოკიდებული იქნება ეროვნულ კანონმდებლობაზე, მაგრამ შეიძლება მოიცავდეს შემაკავებელ ორდერს, გაუმჯობესების შესახებ მითითებას, განცხადების ფორმებს, დასაქმებულების საიდენტიფიკაციო ფორმებს, კითხვარებს საწარმოო ურთიერთობის დასადგენად, მოპოვებული მასალების აღრიცხვისა და დახარისხების საშუალებებს;
- მობილური ტელეფონი საჭიროების შემთხვევაში შრომის სხვა ინსპექტორებთან, ინსპექტორატთან ან პოლიციასთან დასაკავშირებლად როგორც შრომის ინსპექტორის პირადი უსაფრთხოების დასაცავად, ასევე ობიექტზე შეღწევის უზრუნველყოფის მიზნით. ტელეფონი ასევე საჭირო იქნება დამატებით ინფორმაციის მოსაძიებლად საწარმოში დასაქმებული პირების შესახებ, იმ შემთხვევაში თუკი ეს ინფორმაცია ობიექტზე არ მოიპოვება; ასევე კოლეგებისგან რჩევის მისაღებად;
- ასაბომი და სანათი მონყობილობა.

3.2 ინსპექტირების ჩატარება

3.2.1 ობიექტზე მისვლა



როდესაც შრომის ინსპექტორები მივლენ ობიექტის შესამოწმებლად, აუცილებელია, რომ ჯერ მის ტერიტორიაზე შესვლამდე შეამოწმონ გარე პერიმეტრი, ობიექტის მდგომარეობა და მიმდინარე სამუშაოები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც მოწმდება საწარმოო უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რადგანაც სამუშაოების სისტემა შეიძლება შეიცვალაოს, როდესაც დამსაქმებლები და დასაქმებულები წინასწარ არიან ინფორმირებული ინსპექტირების შესახებ და დაურეგისტრირებელი მუშები შეიძლება არ იყვნენ ობიექტზე ინსპექტორების მისვლის დროისთვის. სასურველია შრომის ინსპექ-

ტორებმა სამუშაოების ის ნაწილი, რომელიც გარედან ჩანს ფოტო ან ვიდეო აპარატით გადაიღონ, რადგანაც შეიძლება ეს ინფორმაცია ინსპექტირებისას განხილულ იქნას, ან გახდეს დამატებით ქმედების საბაზი.

ობიექტის შესწავლისას შრომის ინსპექტორებმა ასევე შეიძლება შეამოწმონ უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია, რომელიც ინდივიდუალური უსაფრთხოების აღჭურვილობის ტარებას ითხოვს.

დიაგრამა 1. უსაფრთხოების დაფა, რომელიც ითხოვს ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობის ტარებას

ასეთი ნიშნების შესწავლის შედეგად შრომის ინსპექტორები დაადგენენ თუ ობიექტზე დასაქმებულ პირებს რა ტიპის პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობა უნდა ჰქონდეთ. იმ შემთხვევაშიც თუკი ობიექტზე არ არის მსგავსი ნიშნები, შრომის ინსპექტორები მაინც უნდა ატარებდნენ დამცავ აღჭურვილობას. ასეთი აღჭურვილობა შეიცავს მყარ ქუდს, დამცავ ფეხსაცმელს და ადვილად გასარჩევ ქურთუკს და ინსპექტორებს უფასოდ უნდა ურიგდებოდეს ინსპექტორატის მხრიდან.¹⁹ ნებისმიერი ადამიანი, რომელიც თან ახლავს შრომის ინსპექტორს (მაგ: სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები) ასევე უნდა ატარებდნენ დამცავ აღჭურვილობას.

პირველადი დათვალიერების დროს შრომის ინსპექტორები ასევე ადგენენ თუ სად ხდება ვიზიტორების მიღება და ასევე სად უნდა წავიდნენ თვითონ. იმის მიუხედავად, რომ შრომის ინსპექტორები შესაბამისი დამცავი აღჭურვილობით იქნებიან, მათ მაინც არ უნდა იხეტიდნენ ობიექტზე თანმხლები პირის გარეშე, რადგანაც არ ეცოდინებათ დაგეგმილი სამუშაოების შესახებ და ამით საკუთარ თავს საფრთხეში ჩააგდებენ.

შრომის ინსპექტორებს ასევე შეუძლიათ, შეაფასონ რამდენად სავალდებულოა ობიექტის ტერიტორიაზე დამცავი აღჭურვილობის ტარება. თუკი ობიექტის მეპატრონეებს აქვთ უსაფრთხოების შესაბამისი ნიშნები გამოფენილი, ეს ნიშნავს, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან უსაფრთხოების ნორმების შესახებ, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ უსაფრთხოების ნორმების აღსრულება მართლაც ხდება. ეს მხოლოდ მიუთითებს იმაზე, რომ მენეჯმენტი სერიოზულად აღიქვამს საწარმოო უსაფრთხოებას და ჯანმრთელობას.

როდესაც სამუშაოების სისტემის აღრიცხვა ხდება, როგორც ვიზიტამდე, ასევე ვიზიტისას, შრომის ინსპექტორებმა, როგორც ეს შესაძლებელია, უნდა მოახდინონ უსაფრთხო და საფრთხის შემცველი პრაქტიკის დოკუმენტირება (ფოტოთი ან სხვა დოკუმენტით). სამშენებლო ობიექტებზე რამდენიმე კონტრაქტორია, რომელთაგანც ყველა შეიძლება არ იცავდეს უსაფრთხოების ნორმებს. სამუშაო სისტემის დოკუმენტირების შედეგად შრომის ინსპექტორებს შეუძლიათ კითხვები დაუსვან ობიექტის მმართველი რგოლის წარმომადგენლებს თუ რატომ ხდება უსაფრთხოების განსხვავებული პრაქტიკის გამოყენება სამშენებლო ობიექტზე.

¹⁹ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საწარმოო უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის 1982 წლის კონვენცია (#155), მუხლი 16 (3), ხელმისაწვდომია: http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C155

პირველადი დაკვირვებების შემდეგ შრომის ინსპექტორები უკვე მზად არიან ობიექტის ტერიტორიაზე შესასვლელად. ზოგიერთ ობიექტზე შეიძლება იყოს უსაფრთხოების სამსახური, რომელსაც უნდა წარუდგინონ საკუთარი პირადობის დამადასტურებელი საბუთები და მოსთხოვონ ობიექტზე პასუხისმგებელი პირის ნახვა, ეს შეიძლება იყოს მთავარი კონტრაქტორი, მშენებლობის მფლობელი და ა.შ. ზოგიერთ შემთხვევაში ობიექტის უსაფრთხოების სამსახურმა შეიძლება შრომის ინსპექტორებს ხელი შეუშალოს ობიექტზე შესვლაში. ამიტომ შრომის ინსპექტორებმა უნდა აუხსნან, რომ მათ აქვთ ობიექტზე შესვლის უფლება წინასწარი გაფრთხილების გარეშე.²⁰ შრომის ინსპექტორისთვის ობიექტზე შესვლისთვის უარის თქმა განიხილება, როგორც მისი საქმიანობისთვის ხელის შეშლა და უნდა დაისაჯოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.²¹ თუკი კანონმდებლობა ამის საშუალებას იძლევა, მაშინ შრომის ინსპექტორებს შეუძლიათ პოლიციას მიმართონ დახმარებისთვის. ობიექტის ტერიტორიაზე შესვლის შემდეგ, შესაბამისი პასუხისმგებელი პირები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი შრომის ინსპექტორებისთვის ხელის შეშლის მცდელობის შესახებ და ასევე იმ ზომების შესახებ, რომელიც ამის შედეგად გატარდება (ზოგიერთ ქვეყანაში მოვალეობის შესრულებისთვის ხელის შეშლა არის სისხლის სამართლის დანაშაული). პოლიციის დახმარება ასევე შეიძლება საჭირო გახდეს ინსპექტორების უსაფრთხოების დასაცავად.

სამშენებლო ობიექტზე შესვლის შემდეგ, როგორც წესი, შრომის ინსპექტორები ატარებენ გაცნობით შეხვედრას ობიექტის მმართველ რგოლთან, დამსაქმებლებთან ან მათ წარმომადგენლებთან, რათა გაარკვიონ ვიზიტის მიზნები, გააცნოთ მათ ის საკითხები, რომელთა გარკვევაც სურთ და აუხსნან, თუ როგორ წარმართავენ თავიანთ საქმიანობას. შეხვედრის მონაწილეებმა უნდა იცოდნენ ასევე მთლიანი ობიექტის ტერიტორიის თუ მხოლოდ ნაწილის ინსპექტირება მოხდება. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ნაწილები, რომელთა შემოწმებაც არ მოხდება, არ უნდა ემორჩილებოდეს არსებული ეროვნულ კანონმდებლობას. კლიენტები, დამსაქმებლები, კონტრაქტორები და ქვეკონტრაქტორები ყველანი ვალდებული არიან არსებულ კანონმდებლობას დაემორჩილნონ და თუკი უსაფრთხოების ზომები განერილია კანონმდებლობით, მაშინ ისინიც უნდა ესწრაფებოდნენ ამ შეხვედრას.

შრომის ინსპექტორებმა დამსწრეებს ასევე შეიძლება უთხრან, რომ მათ დაჭირდებათ დასაქმებულებთან ან მათ წარმომადგენლებთან დალაპარაკება დამსწრეების გარეშე. შრომის ინსპექტორები უფლებამოსილნი არიან განსაზღვრონ, თუ როგორ წარმართება ინსპექტირება და, შესაბამისად, არსებული წესების მიხედვით წარმართონ იგი.

შრომის ინსპექტორებმა ვიზიტი შეიძლება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმის ანალიზით დაიწყო, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კოორდინატორებთან ან ამ საკითხზე პასუხისმგებელ პირთან ერთად, რათა გაერკვნენ თუ როგორ ხდება რისკების მართვა ამ კონკრეტულ ობიექტზე, სანამ უშუალოდ შეუდგებოდნენ ინსპექტირებას, რათა დაადასტურონ საკუთარი მიგნებები.

²⁰ კონვენცია # 81, მუხლი 12

²¹ იქვე, მუხლი 18

შრომის ინსპექტორებმა შეიძლება მოითხოვონ ასევე ინფორმაცია კონტრაქტორებისა და ქვეკონტრაქტორების შესახებ, მათ შორის არსებული საკონტრაქტო ურთიერთობების შესახებ და ობიექტზე არსებული მუშების შესახებ. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ამოწმებენ დასაქმებისა და სოციალური უზრუნველყოფის კანონმდებლობასთან შესაბამისობას, მათ შეუძლიათ მოითხოვონ ყველა დასაქმებულის სია, რომლებიც ინსპექტირების მომენტში ობიექტზე იმყოფებიან, მათი პიროვნების დამადასტურებელი ინფორმაციით, კონტრაქტის ტიპისა და პროფესიული კატეგორიის მითითებით, ასევე სამუშაოს დაწყების თარიღი, სამუშაო საათებითა და ანაზღაურებით. ეს ინფორმაცია შემდეგ შემონმდება დასაქმებულებთან გასაუბრების შედეგად, ასევე შრომით ხელშეკრულებებში, სოციალური დაცვის რეგისტრაციითა და სახელფასო გადახდების დამადასტურებელ დოკუმენტებში არსებული ინფორმაციით.

3.3 საკითხები, რომლებიც უნდა იქნას განხილული საწარმოო უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ასპექტების ინსპექტირებისას

ამ ნაწილში საუბარია იმ საკითხებზე, რომელთა გარკვევა შეიძლება შრომის ინსპექტორებს მოუწიოთ ობიექტზე საწარმოო უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ინსპექტირებისას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქ განხილული საკითხები არ წარმოადგენს იმ საქმიანობის ამომწურავ სიას, რომელიც შეიძლება შრომის ინსპექტორების მიერ იქნას განხორციელებული, არც შესაძლო რისკებისა და სამუშაოების უსაფრთხო სისტემების ამომწურავი სიაა მოცემული.

ეროვნული კანონმდებლობა შეიძლება ავალდებულებდეს სამშენებლო ობიექტების მმართველ პირებს, ან დამსაქმებლებს, რომ აწარმოონ და რეგულარულად განახლონ კონკრეტული დოკუმენტაცია (საწარმოო უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის საკითხებთან მიმართებით). შეუძლებელია დოკუმენტების სრული სიის აქ მოყვანა, თუმცა ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტების უმეტესობა, ყველა თუ არა, მაინც სავალდებულოა:

- დოკუმენტირებული უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის პოლიტიკა; მშენებლობის პროექტის შესახებ შესაბამისი უწყებებისთვის შეტყობინება;
- ტერიტორიის გეგმა, სადაც მშენებლობა უნდა წარიმართოს; სამუშაო საათები მშენებლობაზე;
- უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის გეგმები;
- დასაქმებულების სამუშაო მონაცემები: კონტრაქტები, საკონტრაქტო დეტალები, სამუშაო საათები, სატრენინგო კურსები; მეთოდოლოგიური ინფორმაცია, სამუშაოების შესახებ; რისკების შეფასება;
- უბედური შემთხვევებისა და საწარმოო დაავადებების შესახებ ინფორმაცია;
- ხარაჩოების აღმართვის და ინსპექტირების შესახებ ინფორმაცია; მენეჯმენტის მიერ მომზადებული სამშენებლო ობიექტის

- უსაფრთხოების ინსპექტირების შესახებ ანგარიშები; სამშენებლო ობიექტის უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის კომიტეტის შეხვედრების ოქმები;
- სამშენებლო ობიექტის დაგეგმვის შეხვედრების ოქმები;
- არსებული დანადგარების ინსტრუქციები, შემონმების და შეკეთების შესახებ ინფორმაცია;
- სახიფათო ქიმიური ნივთიერებების გამოყენების უსაფრთხოების ნორმები;
- სოციალური და ჯანმრთელობის დაზღვევის, მათ შორის სამუშაოზე მიღებული ტრავმების დაზღვევა;
- დასაქმებულების სამედიცინო შემონმების შესახებ დასკვნები.

შრომის ინსპექტორებმა შეიძლება ასევე შემდეგი დოკუმენტები შეამოწმონ, რათა დარწმუნდნენ, რომ:

1. ის მეთოდები, რომლებიც დეკლარირებულია სამუშაოების შესრულების შესახებ მონაცემებში, მართლაც სრულდება;
2. კონტროლის მექანიზმები, რომლებიც იდენტიფიცირებულ იქნა რისკების შეფასებისას, მართლაც მოქმედებს;
3. სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევებისა და დაავადებების შესახებ ანგარიშები, გამოძიების შედეგები გამოიყენება რისკების იდენტიფიცირებისა და თავიდან აცილებისთვის;
4. დასაქმებულებმა გაიარეს შესაბამისი ტრენინგი სამუშაოსთან დაკავშირებული საფრთხეებისა და მათი თავიდან აცილების შესახებ;
5. საკმარისი ყურადღება დაეთმო სამუშაოების კოორდინირებას და ასევე საწარმოო უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მართვას სხვადასხვა კონტრაქტორებს შორის.²² მაგალითად, დადგინდა თუ - არა ვინ არის საწარმოო უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, ვინ განსაზღვრავს უსაფრთხოების წესებს, მაგალითად დამზებული სიჩქარის მაქსიმუმს, ინდივიდუალური უსაფრთხოების აღჭურვილობას, სამშენებლო ობიექტზე საწარმოო დანადგარების შეტანისთვის აუცილებელი დოკუმენტების სიას?

თუკი მემოტხსენებული საკითხები არ არის გადაჭრილი, მაშინ ეს მიუთითებს, რომ საწარმოო უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მართვის სისტემა არ ფუნქციონირებს და საჭიროა ამისთვის ზომების გატარება. შრომის ინსპექტორების მიერ გატარებული ღონისძიებები ამ საკითხების მოსაგვარებლად იქნება ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების პროპორციული, ასევე არსებული რისკის დონის და შესაბამისი შრომის ინსპექტორატის პოლიტიკისა.

ვიზიტისას ინსპექტორებმა უნდა შეაფასონ ის სამუშაო პრაქტიკა, რომელსაც მისდევნენ სამშენებლო ობიექტზე. ეს შეიძლება მოხდეს როგორც კანონმდებლობით მოთხოვნილი დოკუმენტაციის შეფასებამდე ასევე მის შემდეგაც. მაგრამ თუკი ინსპექტორებმა უკვე შენიშნეს ისეთი ხარვეზი, რომელსაც შეიძლება უარყოფითი გავლენა ჰქონდეს დასაქმებულების ჯანმრთელობაზე, არ

²² კონვენცია # 167, მუხლი 8

იქნებოდა სწორი ჯერ დოკუმენტების შემოწმების დაწყება. ასეთი ხარვეზის აღმოჩენისას, შრომის ინსპექტორებმა უნდა გადადგან შესაბამისი ნაბიჯები დასაქმებულების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად²³ და მხოლოდ შემდეგ დაიწყონ დოკუმენტების შემოწმება.

3.3.1 სამუშაოზე ობიექტზე რისკების კონტროლი

ყველა დამსაქმებელმა კონტრაქტორების ჯაჭვში უნდა უზრუნველყოს სანარმოო უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის კოორდინირებული მართვის სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი დამსაქმებელი ვალდებულია გამოიყენოს შესაბამისი სანარმოო უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის რისკების კონტროლის მექანიზმები მასზე დამოკიდებული დასაქმებულების მიმართ, უპირველესი პასუხისმგებლობა მაინც ეკისრება მთლიანი მშენებლობის მმართველ პირებს, რათა მშენებლობის პროცესში ჩართული ყველა მხარე თანმიმდევრულად მისდევდეს არსებულ წესებს და ხდებოდეს მათ შორისა და ასევე სამშენებლო ობიექტზე თვითდასაქმებულ პირებს შორის კოორდინირება.²⁴

ბევრ ქვეყანაში დამსაქმებლები და დასაქმებულები აღნიშნავენ სამუშაოების წარმოების უსაფრთხო სისტემებს, როდესაც ახდენენ რისკების შეფასებას²⁵. ეს შეფასებები ახდენენ დასაქმებულების მიმართ შესაძლო საფრთხეების იდენტიფიცირებას, ასევე იმ დასაქმებულთა ჯგუფის იდენტიფიცირებას, რომლებიც ყველაზე მეტად ხვდებიან რისკის ჯგუფში; ხდება ასევე რისკის არსებული დონის გამოვლენა და დადგენა, თუ რამდენად არის ეს მისაღები. თუკი რისკის დონე მაღალია, მაშინ ხდება რისკების კონტროლის დამატებითი მექანიზმების შემუშავება, რათა შემცირდეს რისკის დონე. როდესაც რისკების მართვის ახალი მოდელი იქმნება, მისმა ავტორებმა უნდა გაითვალისწინონ რისკის კონტროლის მექანიზმების შემდეგი იერარქია:

1. აღმოფხვრა: საფრთხის წყაროს მოშორება, მაგ: სიმაღლეზე მუშაობის საჭიროების აღმოფხვრა;
2. ჩანაცვლება: მასალების ან პროცესების ნაკლებად სახიფათო მასალებით ან პროცესებით ჩანაცვლება;
3. საინჟინრო კონტროლის განხორციელება: საფრთხის წყაროსთან წვდომის თავიდან აცილება;
4. ადმინისტრაციული კონტროლი: პროცედურებისა და ინსტრუქციების შექმნა შრომის უსაფრთხოებისათვის და ზედამხედველობის მექანიზმების შემუშავება;
5. ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობა: მას შემდეგ, რაც ყველა ზემოხსენებული აღმოჩნდება არაეფექტური.

²³ შრომის ინსპექტირების 1947 წლის კონვენცია (#81), მუხლი 13

²⁴ რჩევა დამსაქმებულების მოვალეობებისა და პრაქტიკული სახელმძღვანელო სამართლებრივ, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და საგანმანათლებლო საკითხებზე უსაფრთხოებასა და ჯანდაცვასთან მიმართებით სამშენებლო სექტორში, შეიძლება მოიპოვოთ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პრაქტიკის კოდექსში სახელწოდებით: უსაფრთხოება და ჯანდაცვა მშენებლობაში, ხელმისაწვდომია: http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_protect/---protrav/---safework/documents/normativeinstrument/wcms_107826.pdf

²⁵ დამატებითი ინფორმაცია რისკების შეფასების შესახებ მოცემულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პუბლიკაციაში: სატრენინგო მასალები სამუშაო ადგილზე რისკების შეფასებისა და მართვისთვის მცირე და საშუალო ბიზნესისათვის, ხელმისაწვდომია: http://www.ilo.org/safework/info/instr/WCMS_215344/lang-en/index.htm;

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ლიფლეტი:5 ნაბიჯიანი სახელმძღვანელო დამსაქმებულებისთვის, დასაქმებულებისა და მათი წარმომადგენლებისთვის სამუშაო ადგილზე რისკების შეფასების შესახებ, ხელმისაწვდომია: http://www.ilo.org/safework/info/publications/WCMS_232886/lang-en/index.htm



არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობა სამშენებლო ობიექტზე ამცირებს რისკებს და არის კონტროლის მნიშვნელოვანი მექანიზმი (იხ. 3.3.3. ნაწილი). თუმცა ის არ უნდა იყოს ერთ-ერთი ვარიანტი, ხსენებული ოთხი მექანიზმის - აღმოფხვრა, ჩანაცვლება, კონტროლის განხორციელება, ადმინისტრაციული კონტროლი - განხილვამდე. სახელიდან გამომდინარე, ის არის ინდივიდუალური დამცავი მექანიზმი და მხოლოდ იცავს იმ ადამიანს, რომელიც მას ფლობს. კონტროლის სხვა მექანიზმები წარმოადგენენ დაცვის კოლექტიურ მექანიზმებს და იცავს ყველა დასაქმებულს. ამიტომ ისინი უფრო ეფექტურია.

რისკების კონტროლის იერარქიის პრაქტიკული მაგალითი წარმოდგენილია 3.3.4.1 ნაწილში - სიმალეზე მუშაობა.

3.3.2 ობიექტის ტერიტორიის ინსპექტირება

ობიექტის ტერიტორიის შემოწმებისას უნდა დადგინდეს თუ არის გამოყენებული სამუშაო პრაქტიკარეალურად უსაფრთხო. ვიზიტისას შრომის ინსპექტორები არა მხოლოდ შეამოწმებენ, თუ რამდენად არის დაცული ეროვნული კანონმდებლობა, არამედ ასევე მისცემენ რჩევებს, როგორ შეიძლება კანონის მოთხოვნების დაცვა. ქვემოთ განხილული პრევენციული/რისკების კონტროლის მექანიზმები საერთაშორისოდ აღიარებულია. ისინი ამცირებენ საფრთხეს და როდესაც ხდება მათი გამოყენება, ნაკლებია იმის ალბათობა, რომ დასაქმებულები გახდებიან უბედური შემთხვევის მსხვერპლი, ან ზიანი მიაღებება მათ ჯანმრთელობას.

3.3.2.1 საშენებლო ობიექტის საფრთხე

მშენებლობის წარმოებისას საფრთხე არა მხოლოდ იქ დასაქმებულებს ადგებათ, საფრთხეშია ასევე საზოგადოების წევრები, მათ შორის ბავშვებიც. შრომის ინსპექტორებმა უნდა დაადგინონ, რომ მშენებლობაზე პასუხისმგებელ პირებს ეს საკითხი სათანადოდ აქვთ გათვალისწინებული მშენებლობის ორგანიზებისას.

იმის გათვალისწინებით, რომ მშენებლობაზე ბევრი საფრთხეა, მშენებლობის ტერიტორიაზე უნებრათვო შესვლა უნდა კონტროლდებოდეს. კონტროლის დონე უნდა იყოს დამოკიდებული არსებული საფრთხეების დონეზე. მაგალითად, თუკი მშენებლობა სკოლის წინ მიმდინარეობს, დიდი შანსია, რომ სკოლის მოსწავლეებს მოუწოდეთ მისი ნახვა, ასეთი შემთხვევებისთვის კარგი იქნება მშენებლობის შემოღობვა, როგორც ეს დიაგრამა 2-ზე არის ნაჩვენები.



დიაგრამა 2. შპმოღობილი საშენებლო ობიექტი

ზოგიერთი მშენებლობა ხორციელდება საფეხმავლო ბილიკებთან, ტროტუარებთან ან ხარაჩოებთან ქუჩების ზემოდან. მშენებლობაზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საზოგადოების წევრები არ დადგნენ სამუშაოებით გამოწვეული რისკის წინაშე. ამისთვის შეიძლება საჭირო გახდეს ფეხთმოსიარულეებისთვის შემოღობილი გასავლელის გაკეთება, რათა თავი აარიდონ მშენებლობის ტერიტორიას, ან მშენებლობაზე დამცავი ბადეების დამონტაჟება, რათა სხვადასხვა სამშენებლო მასალის გადმოვარდნისგან დაიცვას გამვლელები. განსაკუთრებით სახიფათოა ნგრევის სამუშაოები და მშენებლობაზე პასუხისმგებელმა პირებმა ყველა ზომა უნდა გაატარონ, რომ ამ დროს ტერიტორიაზე არავინ შევიდეს.

თუკი ობიექტის შემოღობვა არ არის შესაძლებელი, მაშინ საფრთხის თავიდან ასაცილებლად სხვა ზომების გატარებაა საჭირო. იმ შემთხვევებში, როდესაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მშენებარე ობიექტის ტერიტორიაზე შესვლა, არსებობს მათი დასახიჩრების საფრთხე, ამიტომ მშენებლობაზე პასუხისმგებელმა პირებმა ყველა ზომა უნდა გაატარონ, რომ გარეშე პირები არ შევიდნენ ტერიტორიაზე და არ დასახიჩრდნენ.

შრომის ინსპექტორებმა ასევე სამუშაო დღის ბოლომდე უნდა დაადგინონ უსაფრთხოების რა ზომებია ობიექტზე, რათა იმ პირების მიმართ საფრთხე შემცირდეს, რომლებიც შედიან მშენებლობაზე, მათ შორის ბავშვებისთვის.

ეს გამოიწვევს შესაბამისი ზომების გატარებას, ანდა შესაბამისი პირები მიიღებენ ინფორმაციას, რომ ეს კონკრეტული შემთხვევა არ შედის შრომის ინსპექტორატის კომპეტენციაში. ასეთ შემთხვევაში შემდეგი ზომების გატარებაა შესაძლებელი:

- თხრილების შემოზღუდვა ან დაფარვა;
- ტრანსპორტის და აგრეგატის იზოლირება ან იმობილიზაცია, თუ შესაძლებელია ერთ ტერიტორიაზე მათი ჩაკეტვა;
- სამშენებლო მასალების (მიწები, ჭის თავსახურები, ცემენტის ტომრები და სხვ.) შენახვა ისე, რომ ისინი არ დაგორდეს ან ჩამოვარდეს;
- ზედმეტი კიბეების მოშორება თხრილებიდან და ხარაჩოებიდან;
- სახიფათო ნივთიერებების დაცულ ადგილას ჩაკეტვა.

3.3.2.2 კეთილმოწყობა

მშენებლობაზე დასაქმებული მუშები სრული სამუშაო დღე მუშაობენ და მათი საქმიანობა მოითხოვს მნიშვნელოვან ფიზიკურ დატვირთვას; ისინი ასევე ისეთ სამუშაოს ასრულებენ, რომლის შედეგადაც ესვრებათ ხელები და მკლავები.

ამიტომ უნდა არსებობდეს მოსასვენებელი სივრცე მათი საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკების შესამცირებლად. ასეთი სივრცე უნდა მოიცავდეს: ადგილს დასვენებისთვის და კვებისთვის; ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობის შენახვის ადგილს; ტუალეტს და დასაბან სივრცეს (რაც ასევე შეიძლება მოიცავდეს საშხაპებს); ზოგჯერ ასევე საძინებელსაც.




როდესაც ხელმისაწვდომია საძინებელი სივრცე, ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს საშხაპეებიც. ეს საცხოვრებელი უნდა იყოს სუფთად შენახული და ყველასთვის უნდა არსებობდეს საკმარისი სივრცე. იგი უნდა მდებარეობდეს მშენებლობისგან მოშორებით, რათა მუშებმა შეძლონ დასვენება ისე, რომ არ შეწუხდნენ მშენებლობაზე მიმდინარე საქმიანობით.

როდესაც მუშებს შეეძლება თუალეცისა და დასაბანი საშუალებების გამოყენება, ასევე სუფთა ადგილას დასვენება და კვება, ისინი უფრო ეფექტურად აღიდგენენ ძალებს. დაღლილი და დაუძლურებული მუშები უფრო მეტად კარგავენ კონცენტრაციას და იზრდება უბედური შემთხვევების რისკიც.

მოსასვენებელ სივრცეში გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილობრივი კლიმატური პირობები; ზოგიერთ შემთხვევაში კონდენცირება და გათბობა იქნება საჭირო. სასმელი წყლის საკმარისი რაოდენობა უნდა იყოს ყველასთვის და ასევე უნდა ინახებოდეს სუფთად, დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.

თუკი მოსასვენებელი სივრცე ითვალისწინებს ადგილს ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობის შესანახად, მუშებს შეეძლება მათი დატოვება ობიექტზე და, შესაბამისად, ყოველთვის ხელმისაწვდომი იქნება საჭიროების შემთხვევაში.



ლიბერია 3. მოსასვენებელი სივრცე ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობის შესანახი ადგილით

3.3.2.3 სამუშაო საქმიანობა

მშენებლობაზე პასუხისმგებელმა პირებმა ასევე უნდა იზრუნონ ტერიტორიის მოვლაზე. ზოგადად, სამშენებლო ობიექტზე მრავალი მასალა იყრის თავს, რაც ბუნებრივად წარმოქმნის ნაგავს. ობიექტს უნდა ჰქონდეს სტრუქტურების მიღებისთვის შესაბამისი ტერიტორია, კარგად დაგეგმილი საცავები. ეს კი საშუალებას იძლევა, რომ კარგად იმართოს საჭირო მასალების დისტრიბუცია და თავიდან იქნას აცილებული მასალების ზედმეტი გადაადგილება მშენებლობის ტერიტორიაზე. თუკი საჭირო ხდება მასალების ხელით გადატანა მშენებლობის

ტერიტორიაზე, ეს ზრდის მუშებისთვის მიყენებული დაზიანების რისკს. თუკი მასალების გადატანა სატრანსპორტო საშუალებებით ხდება, მაშინ იზრდება იმის შანსი, რომ ასეთი სატრანსპორტო საშუალება შეიძლება დაეცახოს მშენებლობის ტერიტორიაზე მყოფ მუშას, თუკი არ არსებობს კონტროლის შესაბამისი მექანიზმები.

ნარჩენებისთვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილის არსებობა, განსაკუთრებით აალებადი ნარჩენებისთვის, უზრუნველყოფს სამშენებლო ტერიტორიაზე უსაფრთხოების რისკების შემცირებას, მათ შორის ხანძრის, რადგან საწვავი მასალები ერთ ადგილას იქნება შენახული, შორს აალების გამონვევი წყაროებიდან.



მოუწესრიგებელი სამშენებლო ტერიტორია მრავალი საფრთხის შემცველია. მუშებს შეიძლება ფეხი დაუცდეთ ან შეეჭახონ ნივთებს, რომლებიც²³ უყურადღებოდ არის დატოვებული, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მათი სიმალლიდან გადმოვარდნა. მუშები შეიძლება სიმალლიდან გადმოვარდნის შედეგად დაეცნენ ბასრ ნივთებზე, მაგალითად არმატურაზე. ამიტომ კარგი იქნება თუ არმატურა დაცული იქნება (დიაგრამა 6).

დიაგრამა 4. ტერიტორიის მოწესრიგების კარგი მაგალითი, ნარჩენების შვებროვებისთვის სპეციალურად გამოყოფილი ტერიტორიით



დიაგრამა 5. არმატურის დასაცვლი საყრდენები, რომლებიც საფრთხის შემცველია. დიაგრამა 6. არმატურის დასაცვლი, რომელზე დაეყრდნობა გამოწვეული ტრავმის ალბათობა შემცირებულია

ასევე, მასალები, რომლებიც არ არის სათანადოდ დალაგებული და მოწესრიგებული, შეიძლება გადმოცვივდეს და ქვევით მყოფ ადამიანებს დაეცეს.



²³ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ: ნაწილი 3.3.4.7.



ლიბრაგა 7. საშენებლო ნარჩენები შეიძლება გადმოცვივდეს და დაეცეს მკვირთ მყოფ მუშებს და მოუწესრიგებელი საშენებლო ობიექტი ასევე მძის გადაადგილების სირთულას

3.3.2.4 საგანგებო სიტუაციების მართვა

მშენებლობაზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა უზრუნველყონ გადაუდებელი სიტუაციების მართვისთვის შესაბამისი პროცედურების არსებობა. მშენებლობაზე ყველაზე ხშირად ხდება უბედური შემთხვევები და ხანძარი. თუმცა მშენებლობაზე პასუხისმგებელი პირები მზად უნდა იყვნენ ყველა ტიპის საგანგებო შემთხვევისთვის (საგანგებო სიტუაციის ტიპი დამოკიდებულია მშენებლობის ტიპზე და მის მდებარეობაზე). ეს საკითხები მანამდე უნდა მოგვარდეს, ვიდრე მშენებლობა დაიწყება.

იმაში დასარწმუნებლად, რომ ეს საკითხები მართლაც მოგვარებულია, შრომის ინსპექტორებმა შემდეგი კითხვები უნდა დაუსვან მშენებლობაზე პასუხისმგებელ პირებს:

- როგორ იგებენ მუშები გადაუდებელი სიტუაციის შესახებ? მაგალითად, თუკი მშენებლობაზე ხანძარია, როგორ იგებენ ამის შესახებ? სად მოხდება მათი ევაკუაცია? როგორ მიიღეს მათ ეს ინფორმაცია? როგორ გაიგებს მმართველი რგოლი მოხდა თუარა ყველა დასაქმებულის ევაკუაცია? ამოიკითხავენ თუ არა ყველა დასაქმებულის სიას? რა ხდება უბედური შემთხვევის დროს?
- როგორ ხდება სამაშველო სამსახურისთვის გადაუდებელი სიტუაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება? ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი?
- ჩატარდა თუარა სახანძრო ევაკუაციის წვრთვნები?
- როგორ უზრუნველყო მმართველმა რგოლმა ქვეკონტრაქტორების ინფორმირება აღნიშნული პროცედურების შესახებ?

მმართველი რგოლის პასუხები ამ და სხვა კითხვებზე უნდა შემოწმდეს სამშენებლო ობიექტზე დასაქმებულ მუშებთან.

3.3.3 ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობა

ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობის გამოყენება სამშენებლო ობიექტებზე საფრთხის შემცირების გავრცელებული მეთოდია და შრომის ინსპექტორები მოელიან შემდეგის ნახვას:

ა) მყარი ჩაფხუტები - მუშების თავის დასაცავად, მაგალითად:

- ცალკეული ნივთებისაგან, რომლებიც შეიძლება ჩავარდეს გათხრების ადგილას;
- ნივთებისაგან, რომლებიც ცვივა ხარაჩოებიდან;
- ნივთებისაგან, რომლებიც შეიძლება გადმოცვივდეს ტვირთიდან, რომელსაც აშენე წევს, ან ნივთები, რომლებიც შეიძლება გადმოვარდეს თვითმცლელებიდან;
- ხარაჩოების აწყობის ან დაშლის დროს ჩამოვარდნილი სამაგრებისაგან.

ბ) წყალგაუმტარი ფეხსაცმელები ფოლადის ან მყარი ცხვირით და ფოლადის ან მყარი ლანჩით, რათა დაიცვას მუშების ტერფები, მაგალითად:

- ჩამოვარდნილი მასალებისგან;
- ლურსმნებისაგან ან სხვა ბასრი ნივთებისაგან, რომელიც შეიძლება ფეხსაცმლის ლანჩს შეერჭოს;
- კანზე ცემენტის ნაწილაკებისგან, როდესაც ხდება ბეტონის დასხმა.

გ) დამცავი სათვალეები მუშების თვალების დასაცავად:

- მფრინავი ნივთებისაგან, მაგალითად როდესაც გამოიყენება ლურსმნების პნევმატური ჩაქური (სათვალეები უნდა ისხლეთდეს ნამსხვრევებს და მისი სპეციფიკაცია უნდა შემოწმდეს მწარმოებელთან);
- ნაპერწკლებისგან, მაგალითად, როდესაც ხდება სხვადასხვა მასალების ჭრა;
- შედელებისას წარმოქმნილი ულტრაიისფერი გამოსხივება (ამ დროს საჭიროა სპეციალური დამცავი სათვალეები);
- ქიმიური ნივთიერებებისგან - მოგვარე შეიძლება საჭირო იყოს მთელი სახის დაცვა ქიმიური ნივთიერებების სახეზე შესხმისგან.

დ) კარგად გასარჩევი ტანისამოსი, რათა ადვილად შეიძლებოდეს მუშების დანახვა და ამით იქნას თავიდან აცილებული მათი დაზიანება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ შემთხვევებში, სადაც:

- მათ შეიძლება დაეჭახოს ავტომობილი, მაგალითად ავტომობილის მძღოლებისთვის სიგნალის მიცემისას ან საგზაო სამუშაოების წარმოებისას.
- საჭიროა, რომ მათ სხვები ხედავდნენ, მაგალითად აშენების ოპერატორებისთვის სიგნალის მიწოდება.



ე) ხელთათმანები საჭიროა, რათა მუშები დაცულ იქნან დერმატიტისგან, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ცემენტის მტვერით, სველ ცემენტთან ან სხვა გამ-სხნელებთან შეხებით, ასევე ჭრილობებისგან, წყლულებისაგან, როდესაც მუშაობენ აგურებთან, ფოლადთან და ხესთან. შრომის ინსპექტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ მუშებს აქვთ სათანადო ხელთათმანები (მაგალითად ქსო-ვილის ხელთათმანები არ იქნება შესაფერისი თუკი მუშები სითხეებთან მუშა-ობენ, თხელი წყალგაუმტარი ხელთათმანი არ დაიცავს მუშას ჭრილობისაგან თუკი მას დაეცემა აგური ან ქვა).

ვ) გარეთ ჩასაცმელი ტანსაცმელი, რათა მუშები დაცული იქნან სხვადასხვა ამინდის პირობებში (ქარი, წვიმა, მზე).

შრომის ინსპექტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობა დამსაქმებელმა მუშებს ნამდვილად გადასცა, ის კარგად მოვ-ლილია, გამოყენების ვადა არ არის გასული და მუშები მას ეფექტურად იყენე-ბენ. ამავე დროს, ხსენებული აღჭურვილობის საფასური მუშებმა არ უნდა გადაიხადონ.²⁷

3.3.4 მშენებლობაზე მიმდინარე ძირითადი საფრთხეები, შესაძლო საფრთხეები და მათი კონტროლის მექანიზმები

3.3.4.1 სიმაღლეზე მუშაობა

სიმაღლეზე მუშაობა ნიშნავს, რომ მუშა ჩამოვარდნის შემთხვევაში დიდი ალბათობით მიიღებს დაზიანებას. სიმაღლეზე მუშაობა გულისხმობს შემდეგს: სახურავზე მუშაობა, მშენებარე შენობის სართულებზე მუშაობა, მშენებარე შენობის პირველ სართულზე მუშაობა, საიდანაც მუშა შეიძლება ჩავარდეს თხრილში და კიბეზე მუშაობა.



ლიბრამა 8 და 9. მუშები სიმაღლეზე, საიდანაც ჩამოვარდნის შემთხვევაში მიიღებენ დაზიანებას

²⁷ კონვენცია # 155, მუხლები 16 და 21.

მუშა მეცხრე დიაგრამაზე უფრო დაბალი სიმალიდან შეიძლება გადმოვარდეს, ვიდრე მუშა მერვე დიაგრამიდან, მაგრამ ის შეიძლება დაეცეს ხარაჩოს საყრდენს.

სამშენებლო სექტორში სიმალიდან ჩამოვარდნა უბედური შემთხვევების დიდ ნაწილს წარმოადგენს, მათი ბუნებიდან გამომდინარე ისინი ან მძიმე დასახიჩრებით ან ფატალურად მთავრდება. ამიტომ ყველა მუშამ და მათმა ზედამხედველმა უნდა მიიღოს ინფორმაცია და გაიაროს ტრენინგი სიმალიზე უსაფრთხოდ მუშაობის შესახებ. შრომის ინსპექტორებმა უნდა გაარკვიონ თუ გამოიყენება სიმალიზე მუშაობის უსაფრთხო სისტემები.

სიმალიზე მუშაობის კონტროლის მექანიზმებს შორის არსებობს იერარქია, რომელიც ქვემოთ დეტალურადაა განხილული პრაქტიკულ მაგალითებთან ერთად.

სიმალიზე მუშაობისას გასაბარებელი საკონტროლო ზომების იერარქია

თავიდან აცილებთ სიმალიზე მუშაობა თუკი ეს აუცილებელი არ არის (მაგალითად: მეტალის ღობე ააწყვეთ მიწაზე და შემდეგ ასწიეთ სასურველ სიმალიზე; ფანჯრები განმინდეთ გრძელი ჭოხის გამოყენებით, რათა თავიდან ააცილოთ კიბიდან მუშაობა; ბადე დაამაგრეთ გრძელი ღერძების გამოყენებით).

სიმალიდან გადმოვარდნის **პრევენცია** შეიძლება თუკი გამოიყენებთ მუშაობისთვის უსაფრთხო სივრცეს ან დამატებით გამოიყენებთ ისეთ მოწყობილობებს, რომელიც მუშაობის პროცესს კიდევ უფრო უსაფრთხოს გახდის (მაგალითად: ბრტყელ ჭერს, რომელსაც ნაპირები ექნება დაცული).

გადმოვარდნის თავიდან აცილება შეიძლება ისეთი მოწყობილობების გამოყენებით, რომელიც დაცავს ყველას, ვინც რისკის ქვეშაა (მაგალითად: სიმალიზე მუშაობისთვის ისეთი მოწყობილობა, რომელიც მოაჭირებთა და - ცული; კოშკისებრი ხარაჩოები; მობილური სამუშაო პლატფორმები (MEWPs) და ღერძზე მოძრავი სამუშაო პლატფორმები).

გადმოვარდნის **თავიდან ასაცილებლად** გამოიყენეთ ისეთი მოწყობილობა, რომელიც იცავს ცალკეულ დასაქმებულს (მაგალითად, გამოიყენეთ მოკლე თოკები, რაც შეუძლებელს გახდის მუშისთვის იმ ტერიტორიასთან მიახლოებას, საიდანაც გადმოვარდნა შესაძლებელი (ამას ეწოდება სამუშაოს შეზღუდვა) ან გამოიყენეთ პოდიუმი).

შეამციროთ გადმოვარდნის შესაძლებლობა ისეთი მოწყობილობების გამოყენებით, რომლებიც შეამცირებენ გადმოვარდნის სიმალივს და შედეგებს და ამით დაიცავთ ყველას, ვისაც მსგავსი რისკი ემუქრება (მაგალითად, გამოიყენეთ ბადეები, სამუშაო ტერიტორიის ქვეშ დაამაგრეთ რბილი საფარი, რაც შეამცირებს გადმოვარდნისას ტრავმების შესაძლებლობას).

შეამციროთ გადმოვარდნის შესაძლებლობა ისეთი მოწყობილობების გამოყენებით, რომლებიც შეამცირებენ გადმოვარდნის სიმალივს და შედეგებს და ამით დაიცავთ ცალკეულ დასაქმებულს (მაგალითად, ჩამოვარდნის შემლუდვის ინდივიდუალური სისტემა, რომელიც დაამაგრებული იქნება თავის სიმალიზე, ან სათანადო თოკით).



შეამცირეთ გადმოვარდნის შესაძლებლობა ისეთი მოწყობილობის გამოყენებით, რომელიც შეამცირებს გადმოვარდნის უარყოფით შედეგებს (მაგალითად, ბალები, რომელიც დამაგრებელი იქნება დაბალ სიმაღლეზე, ანდა ტრავმებისგან დამცავი გასაბერი ბალიში).


შეამცირეთ გადმოვარდნის შესაძლებლობა ტრენინგების, დამატებითი ინსტრუქციების ან სხვა ზომების გამოყენებით (მაგალითად, კიბეები რეგულარულად უნდა მოწმდებოდეს და მას იყენებდნენ კომპეტენტური პირები; უნდა მოხდეს ტერიტორიის მარკირება გამაფრთხილებელი ნიშნებით; ადგილზე უნდა იყოს აღდექვადური განათება; მოუარეთ სამშენებლო ტერიტორიას, დაურიგეთ მუშებს შესაბამისი ფეხსაცმელი და ა.შ.).

კონტროლის მექანიზმების განხილვისას ჩანს, რომ გასატარებელი ზომები იცვლება 'თავიდან აცილებიდან' გადმოვარდნის უარყოფითი შედეგების 'შემცირების' მიმართულებით. თუკი სამშენებლო ობიექტზე მოხდება გადმოვარდნის შესაძლებლობის თვიდან აცილება, მაშინ არც არავინ დასახიჩრდება სიმაღლიდან გადმოვარდნის გამო. თუკი სამშენებლო ობიექტზე მოხდება გადმოვარდნის საფრთხის შემცირება, ეს ნიშნავს, რომ მუშა მაინც გადმოვარდა სიმაღლიდან და მიიღო დაზიანება, მაგრამ ასეთი დაზიანება შეიძლება არ იყოს მძიმე.

შრომის ინსპექტორებს მოუწევთ სიმაღლეზე მიმდინარე სამუშაოების შემოწმება და უნდა დარწმუნდნენ, რომ უსაფრთხოების ყველა ზომა დაცულია. ღია ნაპირები, საიდანაც ადამიანი შეიძლება გადმოვარდეს, უნდა იყოს დაცული. ეროვნული კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს დაცვის სპეციალური ზომების გატარებას (დამცავი ჯებირების რაოდენობას, საყრდენებს შორის დაშორებას და მათ სიმყარეს, ნივთების ჩამოვარდნის თავიდან ასაცილებელ ზომებს), შრომის ინსპექტორები ასევე უნდა დარწმუნდნენ, რომ მშენებლობაზე ეს წესები დაცულია.

თანაბარ მანძილზე ორი დამცავი ღერძის დამაგრება შეამცირებს მუშების გადმოვარდნის შესაძლებლობას დაუცველი ნაპირებიდან, სახურავიდან, ხარაჩოებიდან, მობილური სამუშაო პლატფორმებიდან, დაკიდებული სამუშაო პლატფორმიდან და ა.შ. (იხ. დიაგრამა 10). ჰორიზონტალური ძირის შემკრავე შეამცირებს სიმაღლიდან ნივთების გადმოვარდნის შესაძლებლობას ქვევით მყოფ მუშებზე. იქ, სადაც მასალები უნდა იყოს შეგროვებული სამუშაო ტერიტორიაზე, ჰორიზონტალური ძირის შემკრავე ან მსგავსი ბარიერები როგორც მინიმუმ იმავე სიმაღლის უნდა იყოს, რა სიმაღლისაც არის შეგროვილი მასალები, რადგან ისინი არ გადაცვივდნენ სამუშაო პლატფორმიდან.


დამცავი ღერძები ან სხვა ბარიერები სათანადოდ მყარი უნდა იყოს, რომ საშუალება არ მისცეს მუშას, გადმოვარდეს თუკი მას მიეყრდნობიან ან გადაიხრებიან ბარიერზე. თოკები ან ჭაჭვები ამავე კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებენ, რადგანაც ისინი არ ქმნიან მყარ ბარიერს. ნაპირების არასტაბილური დაცვა მუშებს უსაფრთხოების მცდარ გრძნობას უქმნის.



ბეგრ მშენებლობაზე უსაფრთხო სამუშაო პლატფორმის შესაქმნელად გამოიყენება ხარაჩოები, ასეთ პლატფორმებზე ნაპირების დაცვის სტანდარტი ისეთივე უნდა იყოს, როგორც მე-10 დიაგრამაზეა გამოსახული. ამავე დროს, სამუშაო პლატფორმა სრულად უნდა იყოს შემოსაზღვრული, 600 მილიმეტრის სიგანის და სამუშაო სივრცემდე უსაფრთხო და სათანადო მისადგომს ქმნიდეს. პლატფორმის იატაკი კარგ მდგომარეობაში უნდა იყოს და საყრდენებს არ უნდა ცდებოდეს თავისი სისქის ოთხჯერ მეტზე. თუკი საყრდენზე უფრო მეტადაა გადმოცილებული იატაკის ფიცრები, მაშინ მასზე ფეხის დადგმის შემთხვევაში, ფიცრები ან მასზე არსებული ნივთები შეიძლება გადაცვივდნენ.

ხარაჩოები დამონტაჟებული უნდა იყოს მყარ საფუძველზე, რომელსაც შეუძლია ხარაჩოების სიმძიმეს და მასზე დაწყობილ ტვირთს გაუძლოს. ხარაჩოები შემოსაზღვრული და დამაგრებული უნდა იყოს მყარ სტრუქტურაზე ან სხვა გზით უნდა იყოს სტაბილური (დიაგრამა 11). ხარაჩოებამდე მისასვლელი უნდა იყოს უსაფრთხო. კიბე, რომელიც გამოიყენება ხარაჩოებზე ასასვლელად მყარად უნდა იყოს დამაგრებული ორივე მხრიდან, რათა არ გაცურდეს და კიბის ბაქნიდან როგორც მინიმუმ ერთი მეტრით მაღლა გრძელდებოდეს, მყარი ხელმოსაკიდი რომ უზრუნველყოს (დიაგრამა 12). კიბესთან მისასვლელი ადგილი და თვით-ჩამკეტი კარების არსებობაც რეკომენდებულია (დიაგრამები 12 და 13).

დიაგრამა 11. დამოუკიდებლად მდგომი ხარბო ნაპირების სრული დაცვით, შემოსავლურით, საყრდენებით დასაბრებით.



დიაგრამა 12. კლატფორმასთან მისასვლელთან სწორად დამაგრებული კიბე




დიაგრამა 13. ხარბოებთან მისასვლელი თვით-ჩამკვები კარი



ბევრი მუშა დაკავებულია სახურავზე სამუშაოებით - ან მშენებლობის საწყის ეტაპზე სპეციალიზებული სამუშაოებით ან ზოგადი სარემონტო სამუშაოებით - ამიტომ ფატალური ან მძიმე უბედური შემთხვევები ხშირად ხდება, რადგან არ არსებობს სათანადო ზომები გადმოვარდნის თავიდან ასაცილებლად. საკონტროლო მექანიზმები, როგორცაა მობილური სამუშაო პლატფორმები ან ხარაჩოები (დიაგრამა 14) ნაპირების შესაბამისი დაცვით უნდა იქნას გამოყენებული, რათა ადამიანები არ გადმოვარდნენ, როდესაც ისინი მუშაობენ დახრილ სახურავებზე.

დიაგრამა 14. დახრილ სახურავზე მუშაობისას ნაპირის ტიპური დაცვა



ხარაჩოების დადგმის და დაშლისას მუშები უნდა დარწმუნდნენ, რომ ყველა ზომა არსებობს გადმოვარდნის თავიდან ასაცილებლად, ასეთები შეიძლება იყოს დამცავი ღერძები ან სხვა დამცავი აღჭურვილობა გადმოვარდნის თავიდან ასაცილებელი საშუალებებით. ამ სამუშაოების წარმოება არ შეიძლება თუკი მის ქვეშ იმყოფებიან მუშები ან გამგლელები, ასევე ამ დროს არ შეიძლება ტერიტორიაზე უცხო პირების ყოფნა, ამიტომაც უნდა მოხდეს ამ ტერიტორიის შემოღობვა ან მის ირგვლივ კორდონის გაკეთება.


სამუშაო პლატფორმების, ხარაჩოების, მობილური სამუშაო პლატფორმების, კომპისები ხარაჩოების, დაკიდული სამუშაო პლატფორმების და ა.შ. აწყობის შემდეგ თუკი მოხდა ისეთი რამ, რასაც შეეძლო მათი სტაბილურობის შერყევა (მაგალითად ძლიერი ქარი), მშენებლობაზე პასუხისმგებელმა პირმა აუცილებლად უნდა შეამოწმოს ისინი და დარწმუნდეს, რომ ისინი უსაფრთხოა და სწორადაა დამონტაჟებული. კომპეტენტური პირის მიერ სამუშაო პლატფორმის შემოწმება ამის უზრუნველყოფის ერთი გზაა. კომპეტენტურია პირი, თუკი ის ფლობს შესაბამის კვალიფიკაციას, როგორცაა ტრენინგები და საკმაო ცოდნა, გამოცდილება და უნარები კონკრეტული სამუშაოს უსაფრთხოდ წარმართვისთვის. ზოგიერთ ქვეყანაში კომპეტენტური ორგანოები განსაზღვრავენ შესაბამის კრიტერიუმებს ასეთი ადამიანებისთვის და ასევე შეიძლება განსაზღვრონ მათი კონკრეტული მოვალეობებიც. ზოგიერთ ქვეყანაში ხარაჩოების აღმართვის შემდეგ საჭიროა მათი გამართულობისა და უსაფრთხოების დოკუმენტურად დადასტურება.



მობილური (კოშკისებრი) ხარაჩოები ფართოდ გამოიყენება მშენებლობაზე, როგორც ახალი შენობების აგებისას, ასევე ძველების რეაბილიტაციისას და მათ ასაგებად გამოიყენება წინასწარ (უმეტესად ალუმინისგან) დამზადებული ნაწილები. თუკი სწორად მოხდება მათი აგება და გამოყენება, ისინი წარმოადგენენ უსაფრთხო სამუშაო ფლატფორმებს (ნაწილების გამოტოვება მათ სიმყარეს ამცირებს). მუშები, ვინც ამ ტიპის ხარაჩოებს აგებენ, შესაბამის გამოცდილებას უნდა ფლობდნენ. კოშკის აგების შემდეგ საჭიროა მისი მდგრადობის შემოწმება, რათა დარწმუნებული ვიყოთ მათ უსაფრთხოებაში. მობილური ხარაჩოები უნდა იდგას მყარ ზედაპირზე და მისი ბორბლები უნდა იყოს ჩაკეტილი, ნებისმიერი საბაზო საყრდენი კარგად უნდა იყოს დამაგრებული, ასევე მის ზემოთ არ უნდა გადიოდეს კაბელები ან ელექტროსადენები. ხარაჩოების მასტაბილიზებელი ხელსაწყოები ინსტრუქციის შესაბამისად უნდა იყოს დამაგრებული, სამუშაო პლატფორმა ან სათავსოები უნდა იყოს ნაპირების შესაბამისი დამკავებით აღჭურვილი (დამკავი ღერძები და პორიზონტალური ძირის შემკრავი). სამუშაო პლატფორმასთან მისასვლელი უსაფრთხო უნდა იყოს, მაგალითად შიდა კიბის საშუალებით.

მობილურ ხარაჩოებზე მუშაობისას მუშებმა არ უნდა გამოიყენონ სამუშაო პლატფორმა კიბეების დასამაგრებლად, ეს ხარაჩოების სტაბილურობაზე გავლენას მოახდენს. პლატფორმის სიმყარეზე გავლენას მოახდენს მასზე დამკავი ფირფიტების მიმაგრება, პლატფორმის გამოყენება ზედაპირების წყლის ან ქვიშის ჭავლით დასამუშავებლად, სხვადასხვა მასალის გადასაზიდად. ხარაჩოების გადაადგილებისას უნდა დარწმუნდეთ, რომ გადაადგილების ტრაექტორიაზე არ არის ელექტრო სადენები ან სხვა წინაღობა, რომ ზედაპირი რომელზეც ხარაჩო უნდა გადაადგილდეს მყარია. ხარაჩოს მაქსიმალური სიმაღლე გადაადგილებისას არ უნდა აღემატებოდეს ოთხ მეტრს და ამ დროს მასზე არ უნდა იყვნენ მუშები.

ლიაბრამა 15. სწორად აწყობილი მობილური ხარაჩო






დიაგრამა 16. სწორად აწყობილი მობილური ხარახოს გამოყენება

მობილური ამბლღებული სამუშაო პლატფორმა გამოიყენება მშენებლობაზე სხვადასხვა სიტუაციებში სამუშაო ადგილისადმი უსაფრთხო მისაღვომის შესაქმნელად. შრომის ინსპექტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ ოპერატორებს შესაბამისი ტრენინგი აქვთ გავლილი მსგავსი ტექნიკის გამოყენებაზე. შემონების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე: მონყობილობა არ გამოიყენება სხვადასხვა კაბელის ან ელექტროსადენის ქვეშ; ზედაპირი სპეციალურად მომზადდა პლატფორმის გადასადგილებლად, ის სათანადოდ გასწორდა და დაიტკეპა; მანქანას საავარიო მუხრუჭი აქვს და მისი მართვა შესაძლებელია ბაზიდან; გამოთვლილია ქარის მაქსიმალური სიჩქარე, რომლის დროსაც შეიძლება მანქანის მართვა; მუშები დამაგრებული არიან დამცავი თოკით, რომელიც ზღუდავს მათ გადაადგილებას პლატფორმაზე, თოკი მიმაგრებულია სათანადო ადგილას, ისე რომ მუშა ვერ გადმოვარდება პლატფორმიდან (თუკი მანქანა არ გადაყირავდა).


დიაგრამა 17. მობილური ამბლღებული სამუშაო პლატფორმის მაგალითები (ყურადღებაამიქცით პლატფორმის ნაკირების დასვას და მუშაობისას დასვაკი თოკის გამოყენებას)





დიაგრამა 18. მობილური ამალე-
ბული პლატფორმა გამოიყენება
ოფისში განათების შესაცვლელად

დაკიდებული ხარაჩოები ხშირად გამოიყენება მშენებლობაზე და ამიტომ უნდა დამონტაჟდეს კომპეტენტური პირების მიერ და შემოწმდეს გამოყენებამდე. მათ 360 გრადუსიანი ნაპირების დამცავი უნდა ჰქონდეთ, იმავე სტანდარტით, როგორც სხვა ტიპის ხარაჩოებს. ამავდროულად, მუშები სრულად უნდა იყვნენ აღჭურვილი დამცავი თოკით და გადმოვარდნისგან დამცავი ინდივიდუალური თოკით, რომელიც გერტიკულურად მდებარე სამაგრზე იქნება დამაგრებული და არ იქნება ხარაჩოზე მიმაგრებული. მუშები უნდა დარწმუნდნენ, რომ ხარაჩოებზე არ არის ზედმეტი ტვირთი და უნდა იცოდნენ მისი უსაფრთხო მუშაობის წესები. ეს მოიცავს ხარაჩოების შემოწმებას პირველად გამოყენებამდე, რაც ველისხმობს ხარაჩოს ანეგას დაბალ სიმაღლეზე, რათა მუშები დარწმუნდნენ, რომ ყველა სამაგრი სწორადაა დამაგრებული და ხარაჩო თავისუფლად მოძრაობს. შემოწმების მეთოდები ამით არ ამოიწურება.





დიაგრამა 19. დაკიდებული ხარაჩოები ნაკრების სათანადო დაცვით, სადაც მუშა ატარებს დაცვის ყველა საჭირო აღჭურვილობას

ეროვნული კანონმდებლობა შეიძლება ითხოვდეს მობილური სამუშაო პლატფორმების დაკიდებული ხარაჩოების ან სხვა ამნევი მონწყობილობების, პერიოდულ შემოწმებას. ამიტომ, შრომის ინსპექტორებმა უნდა მოითხოვონ მათი შემოწმება, რათა დარწმუნდნენ, რომ კანონმდებლობის მოთხოვნები შესრულდა. ასევე შრომის ინსპექტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ წინა შემოწმებების შედეგად მოთხოვნილი შეკეთება ნამდვილად განხორციელდა და სათანადოდ იქნა დოკუმენტირებული მითითებულ ვადებში.

გარდა ზემოთხსენებული კოლექტიური დაცვის ზომებისა, როგორცაა ნაპირების დაცვა (როდესაც სამუშაო პლატფორმაზე მყოფი ყველა ადამიანი დაცულია), არსებობს ასევე გადმოვარდნისგან დაცვის ინდივიდუალური საშუალებები (ასეთ შემთხვევაში დაცულია მხოლოდ ერთი ადამიანი). გადაადგილების შემზღვეველი სისტემა ასეთი დაცვის საშუალების ერთ-ერთ სახეობაა და შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც დამოუკიდებლად (დიაგრამა 20), ასევე დაცვის სხვა სისტემებთან კომბინაციაში (დიაგრამა 21). ეს სისტემა მოიცავს თოკს, რომელიც მიმაგრებულია სამაშველო ღერძზე, გააჩნია კონკრეტული სიგრძე და მიმაგრებულია შესაბამის სამაგრზე. ასეთი მექანიზმი მუშას არ აძლევს საშუალებას სამუშაო პლატფორმას ისეთ მანძილზე მიუახლოვდეს, რომ გადმოვარდეს. იმის გამო, რომ დაცვის ეს სისტემა მხოლოდ იმ ადამიანს იცავს, რომელიც მას ატარებს, ის მხოლოდ მას შემდეგ უნდა იქნას გამოყენებული, როდესაც დაცვის ყველა სხვა სისტემა მოისინჯა და რისკების შეფასების ჩატარების შემდეგ არ აღმოჩნდა მათი განხორციელება რეალისტური.

დიაგრამა 20. მოკლე თოკი, რომელიც ხელს უშლის გუზას მიუახლოვდეს დაუსველ ნაპირს





გარდა ზემოთხსენებული საშუალებებისა, რომლებიც თავიდან აგვაცილებს მეშების გადმოვარდნას, არსებობს სხვა ზომებიც, რომლებიც ამცირებენ უარყოფით შედეგებს გადმოვარდნის შემთხვევაში. მათ შორისაა უსაფრთხოების ბადეები, რბილი დაშვების სისტემები და გადმოვარდნის შეზღუდვის ინდივიდუალური სისტემები. ისინი არ ცვლიან გადმოვარდნისგან დამცავ ზომებს და გამოიყენებიან მხოლოდ მათთან ერთად იმ შემთხვევისთვის, როდესაც გადმოვარდნის რისკის თავიდან აცილება სხვაანირად არ შეიძლება.


უსაფრთხოების ბადეების დამონტაჟება რთული პროცესია და მხოლოდ კომპეტენტურმა პირებმა უნდა გააკეთონ. ბადეები სიმძლავრე არ უნდა დამონტაჟდეს, რითაც ავარიდებთ რისკს იმ ადამიანებს, რომლებიც მის დამონტაჟებაზე მუშაობენ, მაგალითად, ბადე ჯერ შეიძლება დამაგრდეს ფოლადის ღერძებზე და მხოლოდ შემდეგ აინიოს სათანადო სიმძლავრეზე. ნებისმიერ შემთხვევაში, ბადეები უნდა დამაგრდეს სამუშაო ადგილთან რაც შეიძლება ახლოს. დამონტაჟების შემდეგ კომპეტენტურმა პირმა ბადეები უნდა შეამოწმოს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი უსაფრთხოა, შეიძლება გაიცეს კიდევ შემონმების სერტიფიკატი. თუკი გამოიყენება ბადეები, მაშინ შრომის ინსპექტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ არსებობს იმ მეშების გადარჩენის საშუალება, რომლებიც ბადეებში ჩავარდებიან. მეშები, რომლებიც ჩავარდებიან ბადეში, შეიძლება სხვადასხვა ნივთებს დაეცნენ და ამიტომ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განევა გახდეს საჭირო, როდესაც ისინი ჯერ კიდევ ბადეში იმყოფებიან. შრომის ინსპექტორებმა ასევე უნდა გაარკვიონ, თუ როგორ დარწმუნდნენ მშენებლობაზე პასუხისმგებელი პირები, რომ გამოყენებული ბადეები სათანადო ხარისხისაა და როგორ ხდება მათი ხარისხის შემოწმება. სათანადო ხარისხის მენარჩუნებას ასევე ხელს შეუწყობს მათი ყოველკვირეული შემოწმება.

ღიაგრამა 22. უსაფრთხოების ბადეები



როგორც აღინიშნა, გადმოვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური სისტემები არ ახდენს გადმოვარდნის პრევენციას, მაგრამ როდესაც ისინი სწორად არის დამონტაჟებული და შესაბამისად გამოიყენება, მათ შეუძლიათ შეამცირონ გადმოვარდნის სიმაღლე. ეს სისტემა მოიცავს დასამაგრებელ წერტილს, სხეულის დასამაგრებელს, ენერჯის მშთანთქმელებს და თოკებს (რომლებიც აკავშირებს სხეულის დასამაგრებელს დასამაგრებელ წერტილთან). მუშებმა, რომლებიც ატარებენ გადმოვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალურ სისტემებს, უნდა იცოდნენ მათი სწორი გამოყენება, მუშაობისას სისტემის სწორად მორგება და ასევე სწორ დასამაგრებელ წერტილებზე დამაგრება. მუშებმა უნდა შეამოწმონ, რომ სისტემის გამართულად ფუნქციონირებისთვის არის საკმარისი სივრცე, რათა ის დროზე გაიშალოს და შეაჩეროს ვარდნა, სანამ მუშა მიწაზე დაეცემა.

ღიაგრამა 23. ვარდნის შეჩერების სისტემის უსაფრთხო გაშლაზე მოქმედი ფაქტორები, რომელსაც შემუშავებულია მუშების მიწაზე დაცემის თავიდან არიდება



როდესაც შესაძლებელია, დამაგრების წერტილები მუშის თავის ზემოთ უნდა იყოს განლაგებული, რადგანაც ეს ამცირებს ვარდნის სიმაღლეს და ვარდნისგან გამოწვეულ 'ქანქარი-სებრ' მოძრაობას. თუკი ასეთ სიმაღლეზე დამაგრება შეუძლებელია, მაშინ მწარმოებლის ინსტრუქციაში უნდა ვეძებოთ ალტერნატივა, რადგანაც დაბალ სიმაღლეზე დასამაგრებელ წერტილებზე ზედმეტი ძალა ზემოქმედებს.

მუშები უნდა დარწმუნდნენ, რომ ვარდნის შეჩერების სისტემა გამართულია მისი ყოველი გამოყენების წინ, ასევე პერიოდულად უნდა ხდებოდეს დეტალური ინსპექტირება.

იქ, სადაც გამოიყენება ვარდნის შეჩერების ინდივიდუალური სისტემები, შრომის ინსპექტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ ყოველდღიურად ხდება მათი შემოწმება და ასევე უნდა დარწმუნდნენ, რომ პირები, რომლებიც მას იყენებენ, სათანადოდ არიან განათრევილი. შრომის ინსპექტორები ასევე უნდა დარწმუნდნენ, რომ ზემოთ აღწერილი უსაფრთხო მუშაობის სისტემები მართლაც გამოიყენება სამშენებლო ობიექტზე.

კიბეებისა და გასასვლელიკიბეების გამოყენება

კიბის არასწორი გამოყენება ხშირად განაპირობებს უბედურ შემთხვევებს. მშენებლობაზე პასუხისმგებელი პირები უნდა დარწმუნდნენ, რომ სანამ კიბეებს გამოიყენებენ, მანამდე განიხილოს ყველა სხვა საშუალება, მათ შორის შობილური სამუშაო პლატფორმები. შობილური სამუშაო პლატფორმა უფრო სტაბილური და უსაფრთხოა და ასევე უფრო ეფექტურიც. როდესაც გამოიყენება კიბეები, მუშები უნდა დარწმუნდნენ, რომ კიბე კარგ მდგომარეობაშია, ასევე საფეხურები არ არის დაზიანებული და კარგადაა დამაგრებული.


ვინც იყენებს კიბეებს, ასევე უნდა დარწმუნდნენ, რომ კიბეზე არ არის ზედმეტი ტვირთი (კიბეებს აქვთ განსაზღვრული ტვირთაწონა და მუშებმა თავიანთი სამუშაო ინსტრუმენტებით შეიძლება გადააჭარბონ მას). მუშები კიბიდან არ უნდა გადაიხარონ, რადგანაც ამან შეიძლება გამოიწვიოს კიბის გასრიალება და ჩამოვარდნა. მუშები უნდა შეეცადონ, რომ საფეხურებს შორის მოექცეს საქამრე, ასევე კიბეზე უნდა იყოს კონცენტრირებული შეხების სამი წერტილი (ორივე ფეხი და ერთი ხელი, ორივე ხელი და ერთი ფეხი) (დიაგრამა 25).

კიბეებისა და გასასვლელიკიბეების გამოყენება




კუთხე კიბესა და საყრდენ ზედაპირს შორის უნდა შეადგენდეს კიბის სიმაღლის ერთ მეოთხედს (დიაგრამა 26) და დამაგრებელი უნდა იყოს ორივე კოსოურით (დიაგრამა 27). თუკი ეს შეუძლებელია, მაშინ კიბის დაფიქსირების სხვა მეთოდები უნდა იქნას გამოყენებული, რათა კიბე არ გასრიალდეს. ეს შეიძლება იყოს კიბის დასამაგრებელი თოკები ან გასრიალების საწინააღმდეგო სხვა საშუალებები.

დიაგრამა 26. კიბის სწორი განლაგება, სიმაღლის ერთ მეოთხედზე დიაგრამა 27. კიბე სწორადაა დაფიქსირებული (სწორად სამუშაოდ და არა ასასვლელად) გედა საფეხურებთან კოსოურითდა ძირგა.



როდესაც მუშები იყენებენ გასაშლელ კიბეს, უნდა დარწმუნდნენ, რომ: კიბის ოთხივე ფეხი სტაბილურია და რომ საფეხურები უყურებენ სამუშაოს (გასაშლელი კიბე არ არის განკუთვნილი გვერდიდან მუშაობაზე, კიბეზე 90 გრადუსიანი კუთხით მუშაობა გამოიწვევს მათ გადატვირთვას და ნაქცევას); ყველა შემაგავებელი ხელსაწყო გახსნილია; ჩამკეტი მექანიზმები მუშა მდგომარეობაშია. მუშებმა უნდა შეინარჩუნონ კონტაქტის სამი წერტილი მუშაობისას, რაც ნიშნავს, რომ ორივე ფეხი და ერთ ხელი, ან თუ ორივე ხელი მოკლე დროის განმავლობაში თავისუფალი უნდა იყოს, მაშნ ორივე ფეხი ერთსა და იმავე საფეხურზე და ტანი (მუხლები და მკერდი) ეყრდნობა კიბეს (დიაგრამები 28 და 29). ასევე უნდა არსებობდეს მყარი ხელის ჩასაჭიდი.






დიაგრამა 28. მუშა ინარჩუნებს კონტაქტის სამ წერტილს კიბეზე მუშაობისას

გასაშლელი კიბის შემთხვევაში მუშებმა არ უნდა გამოიყენონ კიბის ბოლო ორი-სამი საფეხური (სადაც უკანასკნელი საფეხური კიბის ბოლოა) სიმაღლეზე ასასვლელად, რადგანაც ისინი ვერ შეინარჩუნებენ შეხების სამ წერტილს და ასეთ შემთხვევაში რთული იქნება წონასწორობის შენარჩუნება.

დიაგრამა 29. მუშები სწორად დგანან გასაშლელ კიბეზე



3.3.4.2 ავტომობილებთან მუშაობა


ავტომობილების გადაადგილება სამშენებლო ობიექტზე ხშირად იწვევს დაზიანებებს. ავტომობილების მოძრაობა, სხვათა შორის, მოიცავს მასალების დისტრიბუციას, მშენებლობისას ამოთხრილი გრუნტის გატანას, ასევე ექსკავატორების გადაადგილებას და ასევე ავტომობილებს, რომლებსაც გადაჰყავთ მუშები. დაზიანებების მიღება ხდება მაშინ, როდესაც ავტომობილი ეჯახება ობიექტზე მყოფ მუშას, მუშა ვარდება ავტომობილიდან, ან ეცემა ავტომობილიდან გადმოვარდნილი ტვირთი, ან ხვდება გადმოყირავებული ავტომობილის ქვეშ.

ინსპექტირების ჩატარებისას, შრომის ინსპექტორები უნდა გაერკვნენ თუ როგორ ხდება სამშენებლო ობიექტზე ავტომობილების გადაადგილება. ეს შეიძლება შემდეგი სამი ასპექტის გარკვევით: უსაფრთხო სამშენებლო ობიექტი, უსაფრთხო ავტომობილი და სანდომძლოლი.

უსაფრთხო სამშენებლო ობიექტი:დაგვემეს თუარა მშენებლობაზე პასუხისმგებელმა პირებმა ავტომობილების გადაადგილების სისტემა სამშენებლო ობიექტზე? სამუშაოების შესრულების გრაფიკი ასევე განსაზღვრავს იმას, თუ რამდენი ავტომობილი იქნება ობიექტზე. მაგალითად, განსაზღვრა თუარა მენეჯმენტმა რა რაოდენობის გრუნტი იქნება საჭირო პროექტის ბოლოს ლანდშაფტის მოსაწყობად? ეს მასალები შეიძლება მშენებლობის ტერიტორიაზე იყოს შენახული, რაც თავიდან აგვაცილებს ავტომობილების ზედმეტ მოძრაობას გრუნტის ჯერ გატანით და შემდეგ ისევ უკან დაბრუნებით.

სამშენებლო ობიექტზე მასალების ძალიან დიდი რაოდენობის მიტანა საჭირო. რა ზომები გაატარეს მშენებლობაზე პასუხისმგებელმა პირებმა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასალები უსაფრთხოდ მიიტანონ მშენებლობაზე? რაც შეეხება ავტომობილების გადაადგილებას, მათი მარშრუტი არის თუარა თვისუფალი ნებისმიერი წინააღობისაგან და არის თუარა გრუნტი გასწორებული? რა ზომები გატარდა ფეხითმოსიარულეთა და ავტომობილების ერთმანეთისაგან გასამიჯნავად, არის თუარა შესაფერისი ჯებირები დაყენებული? არის თუარა კარგად მონიშნული და განათებული საფეხმავლო გადასასვლელები (დიაგრამა 30), რათა მძღოლები და ფეხითმოსიარულეები ინფორმირებული იყვნენ ერთმანეთის შესახებ?

დიაგრამა 30. კარგად დაგეგმილი საფეხმავლო და საავტომობილო გადასასვლელი



მითითებულია თუარა სიქარის შეზღუდვა? არის თუარა სხვა ნიშნები, რომლებიც მძღოლებს აჩვენებს მოძრაობის მიმართულებას? სად არის მოწყობილი მასალების ჩაბარებისთვის სივრცე? უზრუნველყოფილია თუარა ცალმხრივი მოძრაობა? თუ მოძრაობა არ არის ცალმხრივი, მაშინ სად ბრუნდება ავტომობილი მას შემდეგ, რაც მიიტანს მასალებს და დაცლის? თუ არის წინასწარ განსაზღვრული ავტომობილის მობრუნების ტერიტორია, რომელზეც ფეხითმოსიარულეები ვერ ხვდებიან, რათა უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო ოპერაციები? თუ ეს შეუძლებელია, მაშინ რა ალტერნატიული გზები არსებობს? არის თუარა სამშენებლო ობიექტზე შესაბამისად განთავსებული პირები, რომლებიც მისცემენ სიგნალებს და ეცმევათ კარგად გარჩევადი ტანსაცმელი?




როგორ იღებენ ინფორმაციას მძღოლები სამშენებლო ობიექტზე არსებული წესების შესახებ? ყველა ფეხითმოსიარულე (მძლოლი ფეხითმოსიარულეა მას შემდეგ, რაც დატოვებს ავტომობილს) უნდა ატარებდეს ადვილად გარჩევად ტანსაცმელს, რათა ავტომობილის მძღოლებმა ისინი ადვილად დაინახონ.

რაც შეეხება თვითონ სამუშაოების ტერიტორიას, გასარკვევია რა ზომები იქნა მიღებული, რომ ავტომობილები, მათ შორის მუშა აგრეგატები, არ დაეჯახოს დროებით სტრუქტურებს, მომუშავე პლატფორმებს ან არ მოიძწყდიოს სხვა მუშები. ამის თავიდან ასაცილებლად თუ არის ბარიერები დადგმული. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ტერიტორიას, სადაც მუშაობენ აშენები და ექსკავატორები, როდესაც ის მოძრაობს, მუშები შეიძლება მოემწყდნენ სტრუქტურის უკან, თუკი არ არის შესაბამისი ადგილი დატოვებული.


იმ ადგილას, სადაც აგრეგატი, როგორცაა თვითმცლელეები და სატვირთო მანქანები, ყრის მასალებს თხრილებში, არის თუარა ბარიერი დამონტაჟებული, რათა თავიდან იქნას აცილებული აგრეგატის გადავარდნა.

ლიბარამა 31. ბარიერი, რომელიც ხელს შუშუსლის თვითმცლელეს თხრილში გადავარდნაში



უსაფრთხო ავტომობილი: კონტროლის რა მექანიზმებს ირჩევს მშენებლობის მენეჯმენტი, როდესაც არჩევს სატრანსპორტო საშუალებას, არა მხოლოდ საკუთარ, არამედ სხვის ტრანსპორტს? არის თუარა მოთხოვნა, რომ გამოიყენონ ტრანსპორტზე მორგებული გადმობრალეებისგან მძღოლის დამცავი სტრუქტურა და სადაც საჭიროა დამცავი სტრუქტურა ნივთების გადმობრალდნის თავიდან ასაცილებლად? თუკი კონტრაქტორები იყენებენ თავიანთ სატრანსპორტო საშუალებას, მშენებლობის მენეჯმენტი აყენებს თუარა კონკრეტულ მოთხოვნებს, როგორცაა სატრანსპორტო საშუალების ზომა, შემონახვა ან შემონახვის დამადასტურებელი დოკუმენტები, სანამ სატრანსპორტო საშუალება სამშენებლო ობიექტზე შევა? ითხოვს თუარა სამშენებლო ობიექტის მენეჯმენტი რეგულაციული მოძრაობისთვის სპეციალური მოწყობილობის არსებობას, როგორცაა კამერები ან სპეციალური სიგნალი, დამატებითი სარკეები? უსაფრთხოდ ორგანიზებული სამშენებლო ტერიტორია და ზემოთხსენებული ზომების გატარება ზრდის მძღოლის მხედველობის არეს და ამიტომ მნიშვნელოვნად ზრდის მუშების უსაფრთხოებას.

დიაგრამა 32. კარგად მორგებული ხედვის მოწყობილობები, რომორიცაა გვერდითა ხედვის სარკეები და ვიდეო კამერა, მძღოლს უადვილებს ხედვას




სამშენებლო ობიექტებზე სატრანსპორტო საშუალებები მძიმე პირობებში მუშაობენ და ამის გამო ხშირად საჭირო მათი შეკეთება. მძღოლები რეგულარულად ამონებენ ავტომობილებს და ასევე ამის დოკუმენტირებას? როგორ უზრუნველყოფენ მშენებლობაზე პასუხისმგებელი პირები აგრეგატების რეგულარულ შემოწმებას მწარმოებლის ინსტრუქციის შესაბამისად. მათ შორის საჭის, საშუბრუჭე სისტემის, მამუქების, ხედვის მოწყობილობების, ნივთების გადმოვარდნის თავიდან ასაცილებელი დამცავი სტრუქტურისა და ავტომობილის გადმორჩალებისგან მძღოლის დამცავი სტრუქტურის? ჩართულია თუ - არა ავტომობილები პრევენციული შემოწმებების (როდესაც შემოწმება წინასწარა დაგეგმილი დაზიანების თავიდან ასაცილებლად) ან დაზიანების შემთხვევაში შეკეთების პროგრამებში?

სანდო მძღოლი: ბევრი ავრია გამოწვეულია იმით, რომ სამშენებლო ობიექტზე ავტომობილის მართავს სათანადო ცოდნის არმქონე მძღოლი. შრომის ინსპექტორი უნდა დარწმუნდეს, რომ მშენებლობაზე პასუხისმგებელმა პირებმა უზრუნველყვეს, რომ ყველა მძღოლს აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება. მოეთხოვებათ მძღოლებს კონკრეტული კატეგორიის ტრანსპორტის მართვისთვის სპეციალური კატეგორიის მართვის უფლების ქონა? თუ ინახება ტრენინგების შესახებ ინფორმაცია? არსებობს თუ -არა მონაცემები იმის შესახებ თუ ვის რომელი აგრეგატის მართვა შეუძლია? კონტროლის რა მექანიზმები არსებობს იმის თავიდან ასაცილებლად, რომ არაავტორიზებულმა ადამიანმა არ მართოს სატრანსპორტო საშუალება? მაგალითად, საჭიროა გასაღების სატრანსპორტო საშუალებიდან გამოღება, როდესაც ის არ გამოიყენება? ხდება თუარა მძღოლების ქცევის შედარებითი მართვა, მაგალითად მონძლება თუარა სატრანსპორტო საშუალების სიჩქარე და ტვირთამწეობა? თუკი ასეა, მაშინ თუ ხდება ამ მონაცემების შენახვა და აღმოჩენილი დარღვევების განხილვა?

3.3.4.3 ბრუნდის მოსაგზავლებლის ამუშაოები

მშენებლობაზე დასაქმებულ მუშებს ყველაზე დიდი საფრთხე მიწის სამუშაოების დროს ემუქრებათ, როდესაც მათ შეეხება უხდებათ ელექტრო სადენებთან, ბუნებრივი აირისა და წყლის მიწებთან, ანდა ხდება გრუნტის ჩაგარდნა გათხრისას, მუშები და სატრანსპორტო საშუალებები ცვივა თხრილში, მასალები და ხელსაწყოები ეცემა მუშებს, რომლებიც გათხრებზე მუშაობენ. დახრჩობა და ასფიქსია შემომავალი წყლისა და აირებისგან, ასევე საფრთხეს უქმნიან ექსკავაციებზე მომუშავე პირებს.



ლიაბრამა 33. მუშები გათხრებზე


ამ შესაძლო საფრთხეების გათვალისწინებით, შრომის ინსპექტორებმა უნდა გაარკვიონ თუკი არის თხრილის ნაპირები სათანადოდ გამაგრებული ჩამონგრევის თავიდან ასაცილებლად (ეს დამოკიდებული იქნება გრუნტის მდგომარეობაზე და გრუნტის წყლების მდგომარეობაზე). თუკი ლიაბრამა 33-ს ავიღებთ მაგალითად, შრომის ინსპექტორმა უნდა აღნიშნოს, რომ გატარებული ზომები თხრილის კიდეების აღსანიშნავად (მავთულზე დამაგრებული პლასტმასის ნიშნები) არ შეაკავებს აღამიანებს და ნივთებს (მონიშნული ხის პალეტი) გადავარდნის შემთხვევაში.

სანამ დაიწყება გათხრა, მშენებლობაზე პასუხისმგებელმა პირებმა ყველა გონივრული ზომა უნდა გაატარონ იმის დასადგენად, არსებობს თუ - არა მშენებლობაზე რომელიმე მიწისქვეშა

სერვისი და უნდა მოხდეს მათი ადგილმდებარეობის დადგენა. მათი აღმოჩენის შემდეგ, ისინი სათანადოდ უნდა იქნან დანიშნული, რათა მუშებმა იცოდნენ მათი არსებობის შესახებ. საჭირო მასალები და აღჭურვილობა უნდა იყოს წინასწარ მომარაგებული

თხრილების გაყვანისას საჭირო უსაფრთხოების ზომების გატარება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ტიპის თხრილი კეთდება, როგორია გრუნტისა და გრუნტის წყლების მდგომარეობა. გვერდების ჩამოშლის თავიდან აცილება შეიძლება თხრილების საყრდენების გამოყენებით, რომლებიც მაშინვე უნდა დამონტაჟდეს, როგორც კი მათთვის საკმარისი ადგილი გაჩნდება. სადაც ასეთი საყრდენები გამოიყენება, იქ მუშები მხოლოდ მათი მოქმედების არეალში უნდა დარჩნენ. საყრდენები თხრილის სიმაღლეს უნდა ცდებოდეს, რადგან არ მოხდეს მასში სავადასხვა მასალების გადავარდნა და მუშების დასახიჩრება.


დიაგრამა 34. თხრილების დამცავი ყალიბისადგილზე განთავსება მუშების მონაწილეობის გარეშე




ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გაუმავრებელ თხრილში შესვლა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მისი გვერდები სათანადო კუთხით არის დახრილი ისე, რომ არ ჩამოიშლება. კუთხე განისაზღვრება გრუნტისა და გრუნტის წყლების მდგომარეობით (რამდენად სველია გრუნტი). კომპეტენტურმა პირმა უნდა განსაზღვროს კუთხის სიდიდე და სანამ ვინმე ჩავა თხრილში, საჭიროა მისი შემოწმება იმაში დასარწმუნებლად, რომ თხრილი არ ჩამოინგრევა.

გათხრებთან ახლოს ავტოტრანსპორტის მოძრაობა მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი. ეს არა მხოლოდ ამცირებს თხრილში გადავარდნის საფრთხეს, არამედ ასევე ამცირებს გრუნტის გადატვირთვის საფრთხესაც, რის შედეგადაც შეიძლება თხრილის კედლები ჩამოიშალოს. სათანადო ზომები უნდა გატარდეს, რათა მუშები არ გადავარდნენ თხრილში. შეიძლება ისეთივე ბარიერების აღმართვა, როგორიც სიმაღლეზე მუშაობის შემთხვევაში, ორი დამცავი ჯებირით. მათი დამაგრება შეიძლება თხრილის ყალიბზე (დიაგრამა 35) ან თხრილის ნაპირებზე (დიაგრამა 36).

დიაგრამა 35. თხრილის ყალიბი, რომელიც თხრილზე გაღალია დამცავი ჯებირით





დიაგრამა 36. თხრილი, რომელიც გამყარებულია ყალიბით და ჯაბირით (რომელიც მხოლოდ მარჯვნიდანაა ნაჩვენავი). ყალიბი იუფრო მაღალი და ასრულებს ჯაბირის როლს; დამაგრებელი კიბით შეიძლება თხრილი ჩასვლა, ხოლო გარეთ დარჩენილი ერვისები შესაბამისადაა დამაგრებული.

3.3.4.4 მასალების/საქონლის უსაფრთხო გადაადგილება

მშენებლობაზე დასაქმებულ მუშებს დიდი რაოდენობით მასალების/საქონლის გადაადგილება უხდებათ, როგორც ტექნიკის გამოყენებით, ასევე ხელით. ბევრი მუშა იღუპება ან იღებს სერიოზულ დაზიანებას, თუკი ეს სამუშაო არ სრულდება უსაფრთხოების წესების დაცვით. მაგალითად, შედუღური შემთხვევები შეიძლება გამოიწვიოს ამწეს ან სხვა ტექნიკის გადაყრავებამ, ლიფტიდან მასალების გადმოვარდნამ, ან არასწორად აწყობილმა მექანიზმებმა. ასევე შეიძლება ჯანმრთელობას მიაღვეს ზიანი თუკი მუშებს დიდი პერიოდის განმავლობაში უხდებათ მძიმე ნივთების აწევა და გადაადგილება, როგორცაა ტროტუარის ფილები, ბორდიურის ქვები, ცემენტით საფხე ტომრები ან სხვადასხვა მასალებით გაცხებული მძიმე ტომრები.

მშენებლობაზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მშენებლობის ტერიტორიაზე მასალების გადაადგილება სათანადოდ იყოს დაგეგმილი. დაგეგმვა იმით უნდა დაიწყოს, რომ ჯერ გაირკვეს რა მასალებია საჭირო, ოდის და რა დროდენობით, ასევე რა ფორმით შეიძლება მათი მშენებლობაზე მოტანა. როდესაც მშენებლობაზე ტვირთი პალეტებით მოდის, მისი ტრანსპორტირება ადვილად შეიძლება პალეტის აწნით. მასალების მიღება უფრო ადრე, ვიდრე საჭიროა, გამოიწვევს მათ გადაადგილებას ორჯერ, რაც არამხოლოდ არაეფექტურია, არამედ ზრდის მუშების სადმი რისკს.

სწორი დაგეგმვის პირობებში შესაძლებელი უნდა იყოს, რომ მასალების გადაადგილება ისე მოხდეს, მუშებს რომ არ უწველეთ ხელით მუშაობა. შრომის ინსპექტორებს ხშირად ეკითხებიან: 'რა არის ტვირთის უსაფრთხო მაქსიმალური წონა, რომლის აწევა შეიძლება მუშისთვის?' სამუხაროდ, ამ კითხვაზე არ არსებობს კონკრეტული პასუხი. ტვირთის იტომაც ყველა ღონე უნდა გატარდეს, რომ მუშებს არ მოუწიოთ ხელით ტვირთის მიღვა.

იმ შემთხვევებში, სადაც გარდაუვალია მასალების ხელით გადაადგილება, დასახირების რისკი შეიძლება შემცირდეს უფრო მსუბუქი მასალების გამოყენებით, ტვირთის საბოლოო დანიშნულების ადგილთან ტექნიკის საშუალებით მაქსიმალურად მიახლოებით, ასევე იმ სიმძლავრის შემცირებით, რომელზეც უნდა აინიოს ტვირთი. ასევე შეიძლება იმ საქონლის მაქსიმალური წონის შემლუღვა, რომელიც ხელით უნდა გადაადგილდეს, მაგალითად, არავინ უნდა იყოს ვალდებული 20 კილოგრამზე მეტი ტვირთი ანიოს. მუშებმა უნდა იცოდნენ ასევე როგორ ანიონ სიმძიმე ჯანმრთელობისთვის ზიანის მიუყენებლად. ამ დროს შეიძლება მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებაც, როგორცაა ვაკუუმის ამწეები ბორღორის ქვებისთვის.

ლიბრამა 37 და 38. ვაკუუმის ამწე ბორღორის ქვებისთვის



ლიბრამა 39. ჩამოსაკიდი გორგოლაჭი

ჩამოსაკიდი გორგოლაჭები(ლიბრამა 39) ასევე გამოიყენება მსუბუქი ტვირთის ხელით ასაწევად. მათი გამოყენებისას საჭიროა, რომ უსაფრთხოდ დამაგრდეს და უსაფრთხო სამუშაო პლატფორმა არსებობდეს მათი დატვირთვისა და გადმოტვირთვისთვის. გორგოლაჭზე კარგად გასარჩევად უნდა იყოს მითითებული მაქსიმალური ტვირთამწეობა, უნდა მოხდეს გამოყენებამდე მისი შემოწმება, როგორც გორგოლაჭის, ასევე თოკების.




ჯალამბარის გამოყენება საკმაოდ ხშირია მშენებლობებზე და გამოიყენება მასალებისა და მუშების სიმაღლეზე გადაადგილებისთვის. მშენებლობაზე პასუხისმგებელი პირები უნდა დარწმუნდნენ, რომ ჯალამბარი სწორადაა აწყობილი და უსაფრთხოა და დამაგრებული კომპეტენტური პირის მიერ, მწარმოებლის ინსტრუქციის შესაბამისად. ჯალამბარი უნდა იყოს შესაბამისად მარკირებული, ანუ მითითებული უნდა იყოს გამოიყენება მასალების თუ მგზავრების გადასაცვანად, ასევე უნდა აღინიშნებოდეს მაქსიმალური დასაშვები ტვირთაძნეობა. მას შემდეგ, რაც აიწყობა, ისინი კომპეტენტურმა პირმა უნდა შეამოწმოს უსაფრთხოებაზე. ადგილობრივი კანონმდებლობა შეიძლება იძლეოდეს მითითებას იმის შესახებ, უნდა არსებობდეს თუ არა შემონმების შესახებ ჩანაწერი. ასევე საჭიროა მათი რეგულარული შემონმება, კვირაში ერთხელ მაინც უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ნებისმიერი მოწყობილობა მხოლოდ სათანადო გამოცდილებისა და ცოდნის ადამიანმა უნდა მართოს. საქონლისთვის განკუთვნილი ჯალამბარი არ უნდა იქნას გამოყენებული ადამიანების გადასაცვანად.

სწორად აწყობილი ჯალამბარი მხოლოდ ერთი წერტილიდან უნდა იმართებოდეს ერთი ადამიანის მიერ და ოპერატორი უნდა ხელაგდეს ტვირთის დაკლის ყველა დონეს. ტვირთი თის დასაცვლელ პლატფორმასთან უნდა იდგას კარი, რომელიც მხოლოდ მაშინ გაიღება, როდესაც ტვირთი მოუახლოვდება და დაიკვება მაშინვე, როდესაც ტვირთი ადგილიდან დაიძრება. მანძილი ჯალამბარსა და ტვირთის გადმოსაცვლელ პლატფორმას შორის მინიმალური უნდა იყოს, რათა ღია სირცხვი არ ჩავარდეს მუშა. ჯალამბარის ძირი ლობით უნდა იყოს შემოსაზღვრული, რათა ტვირთის ქვეშ მუშები არ მოხვდნენ და თუკი სიმაღლიდან რამე გადმოვარდება, არ დაამიანოს მის ქვეშ მყოფი ადამიანები.

მუშები, რომლებიც ჯალამბარს ტვირთავენ უნდა დარწმუნდნენ, რომ არ აჭარბებენ დაშვებულ წონას, მასალები თანაბრადაა გადანაწილებული პლატფორმაზე, მასალები კარგადაა დამაგრებული და არ გადმოკვივდება მოძრაობისას. მაგალითად, ურიკა უნდა სათანადოდ დამაგრდეს პლატფორმაზე და ფხვიერი მასალებიშესაბამის კონტეინერებში უნდა იყოს მოთავსებული.

დიაგრამა 40. სასაქონლო ჯალამბარი, სადაც ოპერატორი პარგად ხელავს ტვირთის დასაცვლელ ყველა პლატფორმას, რომელიც ასევე დაცულია პარგებით. ჯალამბარის ძირი გარშემორტყმულია ლობით.



მშენებლობათა უმეტესობაზე ყოველთვის ხდება ტვირთის სიმაღლეზე აწევა, ეს შეიძლება სატვირთო მანქანაზე, რომელიც საკუთარი ტვირთის ამწევი მექანიზმით იქნება აღჭურვილი, მასალების დაწყობა იყოს, ანდა მობილური თუ ფიქსირებული ამწეებით მძივი ტვირთის გადაადგილება სამშენებლო ობიექტზე.

მშენებლობაზე პასუხისმგებელი პირი უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა დანადგარი, რომელიც ტვირთთან მუშაობს შემონახულია, გამართულად მუშაობს და მას კომპეტენტური პირი მართავს. ადგილობრივი კანონმდებლობა შეიძლება ითხოვდეს ტვირთის ამწევი დანადგარების შემონახვას განსაზღვრული დროის პერიოდებში და ამ შემონახვის დოკუმენტირებას. თუკი ეს ასეა, მაშინ შრომის ინსპექტორი ვიზიტისას უნდა დარწმუნდეს, რომ კანონის მოთხოვნები სრულდება და ტვირთის აწევის ყველა ოპერაცია უსაფრთხოდ სრულდება.

ტვირთის აწევის ნებისმიერი ოპერაცია უნდა სრულდებოდეს კომპეტენტური მუშის, შესაბამისი გამოცდილების მქონე ზედამხედველის მიერ, ხორციელდებოდეს უსაფრთხო გარემოში ამწის ოპერატორის, ზედამხედველისა და მესიგნალის მიერ. შრომის ინსპექტორი უნდა დარწმუნდეს, რომ ამ ოპერაციაში ჩართული ყველა პირი კომპეტენტურია.

დაგეგმვის დონე დამოკიდებული იქნება ტვირთის/მასალების აწევის ოპერაციის სირთულეზე და ადგილმდებარეობაზე. თუმცა არც ერთი ოპერაცია არ არის ისე უმნიშვნელო, რომ ის იღბალს მიახლოთ.


დაგეგმვა მოიცავს იმას, რომ შესაბამისი აწეე იქნას გამოყენებული საშუაოს შესასრულებლად, ანუ ის შეიძლება საჭირო რაოდენობის ტვირთის აწევას დიდ რადიუსზე (ამწის შესაძლებლობა მცირდება რაც უფრო მეტი ტვირთის აწევა საჭირო მისგან მომლორებით). აწეე სამშენებლო ობიექტზე უნდა შევიდეს და გამოვიდეს, ასევე განთავსდეს უსაფრთხოდ. როდესაც ამწის განლაგება იგეგმება, ყურადღება უნდა მიექცეს, რომ მის ოპერატორს უნდა შეეძლოს ტვირთის და მისი განლაგების ადგილის კარგად დანახვა (როცა ეს შეუძლებელია, მაშინ უნდა არსებობდეს კომპეტენტური მესიგნალე და ამწის ოპერატორს უნდა აძლევდეს სიგნალებს ან ესაუბრებოდეს რადიოგადამცემი მოწყობილობით). ამწის თავზე არ უნდა გადიოდეს ელექტრო სადენები, ის არ უნდა იყოს ახლოს თხრილებთან ან რკინიგზასთან, რასაც ხშირად ეროვნული მარეგულირებლებიც ითხოვენ. მიწის ზედაპირი უნდა იყოს სწორი და უნდა გაუძლოს დატვირთული ამწის სიმძიმეს (ამის შემონახვისას მუშები უნდა დარწმუნდნენ, რომ ამწის ქვეშ არ არის სადრენაჟო სისტემები ან სივარდიე, რათა დიდი სიმძიმის პირობებში შეიძლება ზედაპირმა ვერ გაუძლოს და აწეე გადაყრავდეს).

ეროვნული კანონმდებლობა შეიძლება ითხოვდეს, რომ აწეე აღჭურვილი იყოს ავტომატური უსაფრთხო რაოდენობის წონის ინდიკატორით. თუკი ეს ასეა, შრომის ინსპექტორებმა უნდა შეამოწმონ მისი გამართულობა, ასევე უნდა დარწმუნდნენ, რომ მუშებმა იციან რა ტიპის დამატებითი ხელსაწყოა საჭირო, რათა აწეე კაუჭი ტვირთის სიმძიმის ცენტრის შესტად ცენტრზე განთავსდეს (დიაგრამა 42).


ტვირთის აწევა არ უნდა მოხდეს ისეთ ადგილებში, სადაც ქვემოთ ადამიანები მუშაობენ, ამით თავიდან ავიცილებთ მათ დასახიჩრებას ტვირთის ან მისი ნაწილის ჩამოვარდნის შემთხვევაში.



დიაგრამა 41. მობილური აწვე მქონე ავტობრუნს, რომლებსაც მინაში ჩაფლობისაგან იცავს ფიცრის ნაჭრები. აწვე ისეა განლაგებული, რომ დაბრუნებული საკმარისი აღბილი კედელსა და საპირფარეოს შორის. ძვირთვა გარემოებებშია ღვებები და მასზე დაგებულა საპარტავი თოკი, რათა ადვილად მოხდეს მისი კონტროლი.



დიაგრამა 42. სიმძიმის ცენტრი უნდა იყოს ჩამოსაკიდი კაპუსის ქვეშ



3.3.4.5 ელექტრო-მექანიკური სამუშაოები

სამშენებლო ობიექტებზეაუცილებელია ელექტროენერჯის მიწოდება, რისთვისაც საჭიროა კონტროლის განსხვავებული მექანიზმები, რათა მუშები რისკისგან იყვნენ დაცვლები. 3.3.4.3. ქვეთავში (გრუნტის მოსამზადებელი სამუშაოები) ნახსენები იყო მიწისქვეშა ელექტრო სერვისები და მათი იდენტიფიცირების აუცილებლობა და მათ შესახებ მუშების ინფორმირება, სანამ დაიწყება გათხრა. მუშებისთვის საფრთხეს ასევე წარმოადგენს მიწისზედა ელექტრო გაყვანილობებთან კონტაქტი, რაც ხშირად დასახიჩრებას ან სიკვდილსაც იწვევს. ასევე ნებისმიერ სამუშაოს დენის წყაროსთან და ელექტრო ხელსაწყოებთან შეუძლია სერიოზული დამიანების გამოწვევა, რომელიც ზოგჯერ ფატალური შედეგით სრულდება.

მიწისზედა ელექტრო გაყვანილობებთან კონტაქტი უმეტესწილად მოყვება შემდეგ სამუშაოებს:


- აწნებისა და სხვა აწნევი მექანიზმების მუშაობას;
- თვითმცლელეების მუშაობას;
- ექსკავატორებისა და სხვა გრუნტის გამწვევიმოწყობილობების მუშაობას;
- დიდი ზომის მასალებთან მუშაობას, როგორცაა ხარაჩოების შემადგენელი ნაწილები, სახურავის დიდი ზომის შეტალის ფირფიტები, კიბეები და ა.შ.
- მობილურ სამუშაო პლატფორმებთან მუშაობას.

შრომის ინსპექტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ მშენებლობაზე პასუხისმგებელმა პირებმა გაატარეს ყველა ზომა, რომ უზრუნველყნოთ იმ ადამიანების უსაფრთხოება, რომლებიც მემოთჩამოთვლილ სამუშაოებს ასრულებენ და რომ მათ არ მოუწვეთ მიწისზედა ელექტრო სადენებთან შეხება.

სადაც შესაძლებელია, ისეთი სამუშაოები, რომელთა შესრულებისას შეიძლება მოხდეს მიწის-ზედა ელექტრო სადენებთან შეხება, უნდა შესრულდეს მათგან მოშორებით. თუკი ეს შეუძლებელია, მაშინ სადენებში არ უნდა გადიოდეს დენი. თუკი დენის გამორთვა შეუძლებელია, მაშინ უნდა მოხდეს ელექტრო კაბელების გადაადგილება.


თუკი მოსალოდნელია, რომ მუშა მიუახლოვდება ელექტრო სადენებს, მაშინ რისკის შესამკირებლად აუცილებელია მყარი ბარიერის აღმართვა. შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი გამაფრთხილებელი ნიშნების გაკვრა.

დიაგრამა 43. მიწაზე დასამონტაჟებელი ბარიერი მიწისზედა ელექტრო სადენების არსებობის პირობებში



გარდა ზემოთხსენებული უსაფრთხოების მექანიზმებისა, შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი ბარიერების აღმართვა, რომლებიც ადვილად შესაძრწვევი იქნება, ელექტრო სადენებიდან 6 მეტრის მოშორებით, რომ მას არ მიუახლოვდეს სხვა სატრანსპორტო საშუალებები. თუკი სატრანსპორტო საშუალებამ უნდა გაიაროს სადენების ქვეშ, მაშინ ამისთვის უნდა მოეწყოს სპეციალური გადასასვლელი ადგილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს სათანადო დაშორება სატრანსპორტო საშუალებასა და სადენებს შორის. აქვე მითითებული უნდა იყოს სატრანსპორტო საშუალების მაქსიმალური სიმაღლე. მშენებლობაზე პასუხისმგებელი პირები ასევე რეგულარულად უნდა ამოწმებდნენ, რომ ელექტრო სადენების ქვეშ არ ინახება სამშენებლო მასალები და მუშებს არ უნევთ ამ მასალებთან მუშაობა, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ელექტრო სადენებთან კონტაქტი.

დიაგრამა 44. ბარიერებისა და გადასასვლემების მაგალითები



მუშები შეიძლება დასახიროდნენ ან დაიღუპონ კიდევ, თუკი ისინი მუშაობენ გაუმართავ მექანიზმებთან. სამშენებლო ობიექტებზე, მათი ხასიათიდან გამომდინარე, ელექტრო ხელსაწყოები მძიმე პირობებში მუშაობს და ამიტომ ყველა ელექტრო მონწყობილობა რეგულარულად (ყოველდღიურად) უნდა შემოწმდეს. თანამედროვე ორმაგი დამცავი შრის მქონე ხელსაწყოებიც კი არ არის აბსოლუტურად უსაფრთხო და ამიტომ ისინიც რეგულარულად უნდა მოწმდებოდეს.

საფრთხის განეიტრალება ან შევიჩრება რისკების მართვის მთავარი მექანიზმია. როდესაც შესაძლებელია, უკაბელო ხელსაწყოების ან დაბალი ვოლტაჟის (110 ვოლტი) ელექტრო მონწყობილობების გამოყენება შეამციროვს რისკს.

შესაბამისად დატრენინგებული პირები უნდა ატარებდნენ მობილური ელექტრო მოწყობილობების ელექტრო სისტემების ვიზუალურ დათვალიერებას (მაგ: ცემენტის მანქანები) ასევე მექანიკური ხელსაწყოების (მაგ: ბეტონის სამტვრევი 'კოდალა' და ბურღები) დათვალიერებას, რომლის დროსაც გაუმართაობის 95%-ის იდენტიფიცირებაა შესაძლებელი, რითაც შემცირდება ამ ხელსაწყოების გამოყენებით მუშებისადმი არსებული რისკი.

ისინი, ვინც ატარებს ვიზუალურ დათვალიერებას, უნდა ამოწმებდნენ შემდეგს:

- არ უნდა ჩანდეს შიშველი სადენები;
- სადენი დაფარული უნდა იყოს და საფარი არ უნდა იყოს დაზიანებული;
- შტეფსელი უნდა იყოს კარგ მდგომარეობაში, მაგალითად, ყუთი არ უნდა იყოს გატეხილი, შტეფსელში არ უნდა იყოს სხვა მასალები შერჭობილი);
- კაბელი არ არის გადაბმული ან სხვა მხრივ დაზიანებული;
- გარე შრე არ არის დაზიანებული იმ ადგილას, სადაც ის უერთდება ხელსაწყოს ან საშტეფსელო როზეტს. შიდა სადენების ფერადი საფარი არ უნდა ჩანდეს;
- ხელსაწყოს ბუდე არ უნდა იყოს დაზიანებული და ყველა ჭანჭიკი ადგილზე უნდა იყოს;
- ხელსაწყოზე, მის სადენზე და საშტეფსელო როზეტზე არ შეინიშნება გადახურების ან დაწვის ნიშნები;
- ჩამრთველი გამართულად მუშაობს, რაც ღილაკ 'ტესტის' გასინჯვით შემოწმდება.

დაზიანებების აღმოჩენის შემთხვევაში ხელსაწყო აუცილებლად უნდა იქნას ხმარებიდან ამოღებული მანამ, სანამ არ მოხდება მისი გარემონტება.

ვიზუალური შემოწმების გარდა, ელექტრო ხელსაწყოები აუცილებლად უნდა მოწმდებოდეს პრევენციული შემოწმების პროგრამის ფარგლებში, რათა ის 5% გაუმართაობისა, რომელიც ვიზუალური დათვალიერებით ვერ შემოწმდება, გამოჩნდეს (მაგალითად: იზოლაციის დარღვევა, დამინების გაუმართაობა).

ნაკლებად საგარაუდლოა, რომ შრომის ინსპექტორები სამშენებლო ობიექტზე არსებულ ყველა ელექტრო ხელსაწყოს შეამოწმებენ. მემოთხსენებული შემოწმება შეიძლება ჩატარდეს რომელიმე ერთ ელექტრო ხელსაწყოზე. ამასთან ერთად შრომის ინსპექტორებმა დამატებითი შეკითხვებით უნდა მიმართონ მშენებლობაზე პასუხისმგებელ პირებსა და მუშებს, რათა დაადგინონ რა მომები არსებობს ელექტრო ხელსაწყოების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ეს საშუალებას მისცემს შრომის ინსპექტორებს, დაადგინონ თუ რისკების შემცირების რა სისტემა გამოიყენება მშენებლობაზე.

დამატებითი უსაფრთხოების მომები უნდა გატარდეს თუკი სამუშაოები ხორციელდება ისეთ ტერიტორიაზე, სადაც ადვილად აალებადი ნივთიერებებია. ასეთ პირობებში უნდა შეირჩეს ისეთი ელექტრო ხელსაწყოები, რომლებიც არ გამოიწვევს ამ ნივთიერებების აალებას ნაპერწკლით ან გადახურების შედეგად. შრომის ინსპექტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ ეს საკითხები გათვალისწინებულია სამშენებლო ობიექტზე.



3.3.4.6 სხვა ხელსაწყოებთან/მექანიზმებთან დაკავშირებული საფრთხეები

სამშენებლო ობიექტზე უმარავი განსხვავებული ხელსაწყო გამოიყენება და წინამდებარე გამკვლევი ყველა მათგანზე და მათთან დაკავშირებულ საფრთხეებზე, რომლებიც შრომის ინსპექტორებმა უნდა შეამოწონ, ვერ ისაუბრებს.

თუმცა შრომის ინსპექტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ მშენებლობაზე დასაქმებულ მუშებს, რომლებიც სხვადასხვა ხელსაწყოებს იყენებენ, მიღებული აქვთ შესაბამისი ტრენინგი უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის შესახებ. ეს ტრენინგი უნდა მოიცავდეს ასევე ინფორმაციას იმ მეთოდების შესახებ, რომლებიც უნდა გამოიყენონ სხვადასხვა ხელსაწყოების ოპერირებისას; მასთან დაკავშირებული რისკების შესახებ ინფორმაციას; უსაფრთხოების ზომების შესახებ ინფორმაციას. მოკლედ, მუშებმა უნდა იცოდნენ არა მხოლოდ როგორ გამოიყენონ ხელსაწყოები უსაფრთხოდ, არამედ ასევე თუ რატომ არის საჭირო ამ მოწყობილობების მოვლა და მათ უსაფრთხოებაზე ზრუნვა. წერილობითი ინსტრუქცია ყველა ხელსაწყოს გამოყენების შესახებ უნდა იყოს ხელმისაწვდომი მუშებისთვის გასაგებ ენაზე.

მშენებლობაზე პასუხისმგებელმა ყველა პირმა უნდა იცოდეს სამშენებლო ობიექტზე არსებული ხელსაწყოების უსაფრთხოების დაცვის მეთოდები; მათ ასევე უნდა იცოდნენ სამუშაოების წარმოების უსაფრთხო სისტემების შესახებ, რომლებიც უნდა გამოიყენებოდეს ხელსაწყოებთან მუშაობისას.

როდესაც შრომის ინსპექტორები აღმოაჩენენ ხელსაწყოების უსაფრთხოდ გამოყენების ხარვეზებს, ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ მაშინვე მოხდება ამ ხარვეზების გამოსწორება. მათ ასევე შეიძლება შეისწავლონ ის სატრენინგო პროგრამა, რომელიც მუშებმა გაიარეს ხელსაწყოების გამოყენების შესასწავლად და ახლა აღნიშნულ ხელსაწყოებს იყენებენ უსაფრთხოების ნორმების დარღვევით.

დიაგრამები 45-50 გვაჩვენებენ იმ ხელსაწყოებს, რომლებიც ჩვეულებრივ გვხვდება სამშენებლო ობიექტებზე. მათ შორისაა ისეთი ხელსაწყოები, რომლებიც სათანადო დაცვისა და არასათანადო მოვლის პირობებში გამოიყენება. შესაბამისად, ისინი წარმოადგენენ საფრთხის წყაროს, რომლის კონტროლიც არ ხდება.


დიაგრამა 45. ცემენტის მოსაგები მექანიზმის დაუცველი რედუქტორი

დიაგრამა 45 აჩვენებს ცემენტის მოსაგელ მექანიზმს დაუცველი რედუქტორით. დამცავი საფარის არარსებობა იმას ნიშნავს, რომ მუშების თითები, ხელები ან მკლავები შეიძლება მოყვას რედუქტორში.





დიაგრამა 46. დაუსვმელი ცირკულარული ხერხი



დიაგრამა 47. სათანადოდ დაცული ცირკულარული ხერხი

ზედა დამცავი

მბრუნავი დანა

დიაგრამა 46-ზე გამოსახულია პორტატული ცირკულარული ხერხი, რომელსაც არ გააჩნია ზედა დამცავი და მბრუნავი დანა. ზედა დამცავი და მბრუნავი დანა, რომელიც დიაგრამა 47-ზე არის გამოსახული, ყოველთვის უნდა იყოს წარმოდგენილი და ხელს უშლიან ცირკულარულ ხერხთან მიახლოებას.



დიაგრამა 48. უყურადღებოდ მიტოვებული ხელის საჭრელი

დიაგრამა 49. სათანადოდ დაცული ხელის საჭრელი



საჭრელის დამცავი დისკი, რომელიც ამცირებს მასთან შეხების შესაძლებლობას და მასალის ამოგდებას

დიაგრამა 50. ურიკა ცუდად მოვლილი ბორბლის საკისარი.



დიაგრამა 50 აჩვენებს ურიკას, რომლის რემონტი არ განხორციელებულა. ჩანს, რომ ბორბალი არ არის გასწორებული, რადგან მას არ აქვს ბორბლის საკისარი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მუშებს მოუწევთ დამატებითი ძალისხმევის გაღება ურიკით ნივთების გადაადგილებისას, რაც ზრდის ტრავმის მიღების შესაძლებლობას. ყველა ხელსაწყოს სჭირდება სათანადო მოვლა და შეკეთება, მათი გამართულად მუშაობის უზრუნველსაყოფად.

- არასწორ ზედაპირზე სიარული, განსაკუთრებით თუკი დიდი მოცულობის
- ნივთების ტარება უხდება მუშას;
- ირგვლივ დაყრილ სამშენებლო მასალებზე ან ნარჩენებზე ფეხის წამოკვრა;
- შიშველ კაბელზე ფეხის წამოღება;
- სველ ზედაპირზე ან ცუდ მდგომარეობაში მყოფ გრუნტზე სიარული;
- ზედაპირზე სიმაღლეებს შორის მცირე განსხვავება.

ინსპექტირების დროს, შრომის ინსპექტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ მშენებლობაზე პასუხისმგებელ პირებს აქვთ გატარებული სათანადო ზომები სამშენებლო ობიექტზე მუშების დაცემის თავიდან ასაცილებლად. ასეთი ზომები შეიძლება იყოს:

- სათავსოები და სამუშაო სივრცე უნდა იყოს მოწესრიგებული;
- მასალების სამშენებლო ობიექტზე მოტანის წინასწარი დაგეგმვა, რათა მათი რაოდენობა სამშენებლო მოედანზე მინიმუმამდე იყოს დაყვანილი;
- იმის უზრუნველყოფა, რომ ტროტუარები, საცალფეხო ბილიკები, კიბეები და სხვა ტერიტორია, რომელსაც ფეხითმოსიარულეები იყენებენ, ყოველთვის თავისუფალი იყოს;
- სპეციალურად გამოყოფილი ტერიტორიის ორგანიზება ფეხითმოსიარულეთათვის (გასწორებული ზედაპირით, თუკი ზედაპირი ტალახიანია, მაშინ საჭიროა მისი ქვებით ამოვსება, ხოლო თუ მოყინული - ხრემის მოყრა);
- როდესაც სიმაღლეების მცირე ცვილებს თავიდან აცილება შეუძლებელია (მაგალითად, შენობაში შესასვლელი კარები), აუცილებელია მყარი პანდუსის გაკეთება ადილობე უსაფრთხო შესასვლელის უზრუნველსაყოფად;
- სამშენებლო ნარჩენების გატანის სათანადოდ ორგანიზება, მაგალითად, ცალკე ტერიტორიის გამოყოფა ნარჩენების შესაგროვებლად; ეს ისევე მნიშვნელოვანია, როგორც შენობაში მიმდინარე სამუშაოები; შეიძლება ნაგვის ყუთების, ან ბორბლებიანი ნაგვის შესაგროვებლის მიწოდება, რომლითაც მუშები ნარჩენებს ადვილად შეაგროვებენ.
- სამშენებლო ტერიტორიის შიდა და გარე პერიმეტრის ადექვატური განათება;
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კიბეებთან მისასვლელებს და კიბის საფეხურების კარგ მდგომარეობაში შენარჩუნებას;
- იმის უზრუნველყოფა, რომ ყველას მშენებლობაზე ისეთი ფეხსაცმელი აცვია, რომელსაც ზედაპირთან კარგი მოჭიდება აქვს;
- უკაბელო ელექტრო მოწყობილობების გამოყენებისთვის უპირატესობის მინიჭება, რათაზედმეტი ელექტროსადენების არსებობა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი;
- როდესაც აუცილებელია კაბელის გამოყენება განათებისთვის ან ელექტრო ხელსაწყოებისთვის, განსაკუთრებით გრძელ დერეფნებში, მათი სიმაღლეზე დამაგრება;
- თუკი დასრულებული იატაკის დასაცავად საჭიროა დროებითი საფარის გამოყენება, მაშინ ყურადღება უნდა მიექცეს, დროებით საფარს ფეხი არავინ წამოდოს;
- მასალების გადასატანად მექანიკური მოწყობილობის გამოყენება, რათა ისინი იქ განთავსდეს, სადაც მათი გამოყენება იგეგმება; ეს შეამცირებს მასალების არასწორ ზედაპირზე ზედმეტი გადაადგილების აუცილებლობას;
- სამშენებლო ობიექტზე არსებული კაბინებისკენ მიმავალი კიბეები ხარისხიანად უნდა იყოს აგებული;
- იმის უზრუნველყოფა, რომ ყველამ იცოდეს როგორ მოეპყრას საკუთარ მასალებს, ნარჩენებს და ხელსაწყოებს, რათა სამშენებლო ობიექტი იყოს მოწესრიგებული და შემცირდეს დაცემის რისკი.



3.3.4.8 ჯანმრთელობის საფრთხეები და მასთან დაკავშირებული რისკები

საფრთხეები, რომლებიც ზრდიან უსაფრთხოების რისკებს მშენებლობაზე დასაქმებული მუშებისთვის, უკვე დიდი ხანია აღიარებულია და ბევრ ქვეყანაში დამსაქმებლები და დასაქმებულები ახდენენ ისეთი კონტროლის მექანიზმების გატარების ინიცირებას, რომლებიც შეამცირებენ სანარმოო ტრავმების რაოდენობას. თუმცა იგივეს თქმა არ შეიძლება იმ საფრთხეებზე, რომლებიც ზრდის მუშების მიერ სანარმოო დაავადებების მიღების ალბათობას. ეს შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ საფრთხე უხილავია, ან ზოგიერთ შემთხვევაში საფრთხისა და მასთან დაკავშირებული რისკების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს.

მშენებლობაზე ჯანმრთელობისადმი შემდეგი ძირითადი საფრთხეებია:

- ძვალკუნთოვანი დარღვევები: ზურგის და სხვა კუნთების ან სახსრების დაზიანება (ნაწილი 3.3.4.4. - მასალების/საქონლის უსაფრთხო გადაადგილება);
- დერმატიტი: კანზე სინითლისა და ანთების წარმოშობა, რომელიც დაკავშირებულია კანთან ისეთი საშიში ნივთიერებების შეხებასთან, როგორიცაა ცემენტი და გამსხნელები;
- რესპირატორული დაავადებები, რომლებიც დაკავშირებულია საშიში ნივთიერებების შესუნთქვასთან, როგორიცააასილიკოზი (RCS);
- ხმაურით გამოწვეული სმენის დაკარგვა: ძლიერი ხმაურის გამო დაყრუება ან ყრებში ხმაური;
- ხელის ვიბრაციის სინდრომი: თითებსა და ხელში ტკივილი ან გრძობის დაკარგვა, რომელიც გამოწვეულია ვიბრირებადი ხელსაწყოების გამოყენებით;
- სითბური დარტყმა: ზაფხულში მაღალ ტემპერატურაზე ყოფნა, განსაკუთრებით ზოგიერთ რეგიონში;
- მცირე ვადებში სამუშაოს შესრულების მიზნით დიდი ოდენობით სამუშაოსა და ზეგანაკვეთური სამუშაო საათებით გამოწვეული სტრესი.

მუშებს შეიძლება საფრთხე ემუქვებოდეთ ისეთი საშიში ნივთიერებებისგან, რომლებთან მუშაობაც მათ უშუალოდ უწევთ, როგორცაა ცემენტი და გამსხნელები; ასევე მათ საფრთხე ემუქვებათ ისეთი ნივთიერებებისაგან, რომლებიც მათი საქმიანობის მეორადი შედეგია. ამის მაგალითია ქვის მტვერი, რომელიც წარმოიშობა ქვის ჭრის ან გაპირალების შედეგად; საფრთხე შეიძლება მოდიოდეს ძველი, ტყვიის შემცველი საღებავით შეღებილი კედლის განმწმობით; ან შედეგებისას წარმოშობილი კვამლის შესუნთქვით.

შრომის ინსპექტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ დამსაქმებლებმა მოახდინეს ყველა იმ სახიფათო ნივთიერების იდენტიფიცირება, რომლებთან მუშაობაც მოუწევთ მუშებს; თუკი ასეა, მაშინ შრომის ინსპექტორებმა უნდა გაარკვიონ, კონტროლის რა მექანიზმები არსებობს ადგილზე. შრომის ინსპექტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ კონტროლის ყველა აუცილებელი მექანიზმი ადგილზეა და სრულდება და უნდა დაადასტურონ,

რომ მუშები ინფორმირებულნი არიან უსაფრთხოების ზომების აუცილებლობის შესახებ. მუშები, რომლებმაც იციან იმ რისკების შესახებ, რომელთა წინაშეც ისინი დგანან, უფრო მეტად გამოიყენებენ უსაფრთხოებისა და კონტროლის მექანიზმებს.

მუშები საშიში ნივთიერებების საფრთხის ქვეშ არიან ან მისი პირდაპირი შესუნთქვის გამო - მაგალითად, კვამლის, მტვერის ან ორთქლის; აბსორბიციის გამო - ნივთიერებასთან პირდაპირი კონტაქტის გამო, მაგალითად კანზე მოხვედრის, გაჭრის ან გაკანჯრის გამო; ან მონამულეი თუ დაინფიცირებული საკვების ან ნივთიერების გადაყლაპვის ან ჭამის გამო.

ვიზიტისას შრომის ინსპექტორებმა შეიძლება გამოავლინონ ის მუშები, რომლებიც მუშაობენ მტვერიან ან ორთქლით გაჯერებულ გარემოში. თუკი ეს ასეა, მაშინ არსებობს შანსი, რომ ისინი იმყოფებიან მათი ჯანმრთელობისთვის სარისკო გარემოში და თუკი ეს გაგრძელდება, მაშინ შეიძლება მათ ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნას. შრომის ინსპექტორებმა უნდა გაარკვიონ რა ნივთიერებასთან ხდება მუშების შეხება და ასევე კონტროლის რა მექანიზმები არსებობს.

მუშები, რომლებიც ჩართულნი არიან ისეთ სამუშაოებში, სადაც ბევრი მტვერია, სილიკოზის განვითარების საფრთხის წინაშე დგანან. სილიკოზი მშენებლობაზე დასაქმებული მუშების სასუნთქ სისტემას დიდი რისკის ქვეშ აყენებს. ის ვითარდება იმ მტვერისა და ნაწილაკების შესუნთქვით, რომლებიც რაოდენობითაა ქვებში, კლდეებში, ქვიშაში და თიხაში. შესაბამისად, მუშები, რომლებიც ჭრიან, ამტვრევენ, ხვრეტენ, აპრიალებენ ამ მასალებს, დგანან სილიკოზის საფრთხის წინაშე. თუკი კონტროლის მექანიზმები არ იქნება გამოყენებული შეიძლება განვითარდეს ისეთი დაავადებები, როგორცაა არა მხოლოდ სილიკოზი, არამედ ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება და ფილტვების კიბო.

2016 წლის ოქტომბერში ევროპული კომისიის შრომის ინსპექტორთა უმაღლესმა კომიტეტმა მიიღო დოკუმენტი სახელწოდებით: გამკვლევი ეროვნული შრომის ინსპექტორებისთვის სილიკოზის საფრთხის მართვის შესახებ მშენებლობაზე დასაქმებული მუშებისთვის.²⁹ ამ დოკუმენტის მეორე ნაწილში მოცემულია ინფორმაცია კონტროლის მექანიზმების შესახებ, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სილიკოზის რისკის შემთხვევაში.

პროლექტის შედენის შემთხვევაში მწარმოებლის მიერ მოწოდებული ინსტრუქცია უნდა შეიცავდეს ინფორმაციას დამსაქმებულებისთვის, დასაქმებულებისთვის და შრომის ინსპექტორებისთვის იმ რისკების შესახებ, რომლებიც ემუქრება მუშებს ნივთიერებების შესუნთქვისას ან მასთან პირდაპირი კონტაქტის შემთხვევაში. ასევე შეიძლება აქ ინფორმაცია იყოს კონტროლის მექანიზმების შესახებ, რომელთა გამოყენებაც შეიძლება. ქიმიური ნივთიერებების შემთხვევაში აუცილებელია, რომ კონტეინერებზე სწორი ინფორმაცია იყოს დატანილი.

სხვადასხვა ნივთიერებების მიერ გამოწვეული რისკების კონტროლის გარდა, შრომის ინსპექტორებმა ასევე უნდა დაადგინონ, რომ დამსაქმებულები იცავენ რისკების კონტროლის შემდეგ იერარქიას:

²⁹ ხელმისაწვდომია:

<https://osha.europa.eu/en/guidance-national-labour-inspectors-on-addressing-risks-from-worker-exposure-to-respirable-crystalline-silica>



- ელიმინაცია, მაგალითად: საფრთხის წყაროს გატანა ან ნივთიერებასთან შეხების შემცირება;
- ჩანაცვლება, მაგალითად: მასალების ან პროცესის შეცვლა ნაკლებად სახიფათო მასალით ან პროცესით;
- საინჟინრო კონტროლი, მაგალითად: საფრთხის წყაროსთან მიახლოების თავიდან აცილება;
- ადმინისტრაციული კონტროლი, მაგალითად: უსაფრთხო მუშაობის პროცედურების/ინსტრუქციების, შედამხედველობის აღმოჩენა;
- ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობა: გამოიყენეთ მაშინ, როდესაც შემოთხსენებული ყველა მეთოდი უშედეგო აღმოჩნდება.

შრომის ინსპექტორებმა უნდა დაადგინონ, რომ დამსაქმებლები ითვალისწინებენ არსებულ იერარქიას. თუმცა ჯერ უნდა გაარკვიონ, რამდენად იყო შესაძლებელი საფრთხის წყაროს ან მთლიანად მოცილება ან ნაკლებად სახიფათო ნივთიერებების/მასალების გამოყენება. თუკი სახიფათო ნივთიერება წარმოადგენს სხვა სამუშაოს შედეგად წარმოქმნილ საფრთხეს, მისი თავიდან აცილება უფრო რთული იქნება და საინჟინრო კონტროლის გამოყენება გახდება საჭირო რისკის შესამცირებლად. მაგალითად, შეიძლება ღირდეს მტერის მოსაშორებელი ან მტერის შემამცირებელი მოწყობილობის გამოყენება.

კონტროლის ადმინისტრაციულ მექანიზმებს არ შეუძლია საფრთხის მოხსნა, მაგრამ შეუძლიათ საფრთხისა და მისი ზემოქმედების შემცირება, რაც გამოიწვევს რისკების შემცირებას. ადმინისტრაციული კონტროლის მექანიზმები შეიძლება მოიცავდეს: იმ დროის შემცირებას, რომელსაც მუშები ატარებენ სახიფათო ნივთიერებებთან მუშაობაში; სახიფათო ტერიტორიაზე მობილური ტელეფონის გამოყენების შეზღუდვა, უსაფრთხოების შესახებ ნიშნების გამოფენა, იმ ადამიანების რაოდენობის შემცირება, რომლებიც მუშაობენ სახიფათო ნივთიერებებთან - ასეთ შემთხვევაში ის მუშები, რომლებიც არ მუშაობენ სახიფათო ნივთიერებებთან, არ უნდა იყვნენ მოცემულ ტერიტორიაზე.

ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლი ასევე კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმი შეიძლება იყოს, თუკი ეს რეგულარულად განხორციელდება დაავადებების ადრეულ ეტაპზე აღმოსაჩენად. ჯანმრთელობის კონტროლი ასევე იმისთვისაც გამოიყენება, რომ კონტროლის მექანიზმის შედეგად ეფექტურად მოხდეს დაავადებების გავრცელება მუშებს შორის; მაგრამ მისი მიზანი არ არის დაავადებების დიაგნოსტიკა. ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება ეროვნული კანონმდებლობა ითხოვდეს ჯანმრთელობის კონტროლს და ეს შეიძლება სამუშაოს დანაწევრდევ მოთხოვნაც კი იყოს. შრომის ინსპექტორები ამის შესახებ ინფორმირებულნი უნდა იყვნენ.

ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობის გამოყენება უნდა იყოს მხოლოდ უკანასკნელი მეთოდი, მაშინ როდესაც სხვა მეთოდით საფრთხის კონტროლი შეუძლებელია. კონტროლის საინჟინრო მექანიზმებს შეუძლია კოლექტიური დაცვის უზრუნველყოფა; მაგალითად, თუკი მტვერი შეგროვდება მისი წარმოშობის წყაროსთან, მუშები მისგან არ დაზიანდებიან. თუმცა ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობა მხოლოდ იმ ადამიანს დაიცავს, რომელიც მას ატარებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება დაცვის ერთადერთი მექანიზმი იყოს საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მაგალითად, წყალგაუმტარი ფეხსაცმლის ქონა მუშებისთვის, რომლებიც ბეტონს ასხამენ დაიცავს მათ ცემენტთან შეხებისაგან და თავიდან ააცილებს კაუსტიკურ დამწვრობას.


შრომის ინსპექტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობა, რომელიც სამშენებლო ობიექტზე გამოიყენება შესაბამემა იმ საფრთხეებს, რომლის წინაშეც მუშები დგანან. ასეთ შემთხვევაში მწარმოებლის ინსტრუქცია იქნება სასარგებლო. შრომის ინსპექტორებმა უნდა შეამოწმონ რესპირატორების სტანდარტი; მტერის ნიღაბი შეიძლება არ იცავდეს ორთქლისაგან და პირიქით. მათ ასევე უნდა შეამოწმონ სახის ნიღბების ფილტრები, რათა დარწმუნდნენ, რომ ისინი სათანადო სტანდარტისაა და არ გამოიყენება ვარჯისიანობის ვადის გასვლის შემდეგ. შრომის ინსპექტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობა ერგება მუშას; თუკი მუშას სახეზე წვერი აქვს, მაშინ სახის ნიღბები მისთვის სავარის დაცვას ვერ უზრუნველყოფს, რადგანაც სათანადოდ ვერ ფარავს სახეს.

კარგი პრაქტიკაა დამსაქმებლების მხრიდან დასაქმებულების ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობის შერჩევის პროცესში ჩართვა, რაც იმას უზრუნველყოფს, რომ მუშები მას გამოიყენებენ.

აუცილებელია, რომ მუშები, რომლებმაც უნდა გამოიყენონ ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობა, ასევე ინფორმირებულნი უნდა იყვნენ არსებული საფრთხეების შესახებ და უნდა იცოდნენ ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობის გამოყენება, მოვლა და შენახვა.

შრომის ინსპექტორებმა შეიძლება მუშებს ჰკითხონ რამდენად სჯერათ ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობის გამოყენების ეფექტურობის, რითაც დარწმუნდებიან, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან რისკის შესახებ. მათ ასევე უნდა შეამოწმონ რამდენად კარგად არის ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობა მოვლილი და თუკი არსებობს მათ შესანახად სათანადო სივრცე. ცუდად მოვლილი ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობა, მაგალითად ყურის ხმაურისაგან დამცავები (როგორც მოცემულია დიაგრამებზე 51 და 52) თუკი გახეულია ან სარქველები დაზიანებული აქვს, ვერ უზრუნველყოფენ სათანადო დაცვას. ამასთანავე, თუკი ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობა ინახება დაბინძურებულ გარემოში, ის შეიძლება დაავადების გადამტანიც გახდეს და გაზარდოს მუშების ჯანმრთელობისადმი რისკი.

დიაგრამა 51 და 52. ყურების ხმაურისაგან დამცავი გახეული და დაზიანებული სარქველებით



რაც უფრო დიდი ხნის განმავლობაში არიან მუშები ხმაურში და რაც უფრო მაღალია ხმაურის დონე, მით მეტია შანსი, რომ მუშები ხმაურისაგან გამორჩეული სმენის დაქვეითების მსხვერპლი გახდებიან. თუკი ისინი მუშაობენ ისეთ გარემოში ან იყენებენ ისეთ ხელსაწყოებს, რის გამოც მათ უხდებათ ერთმანეთთან ხმაამალა ლაპარაკი ან ყვირილი იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ადამიანი მხოლოდ ორი მეტრის მოშორებითაა, ხმაურის მაღალი დონე გამოიწვევს მათი სმენის დაქვეითებას. სამშენებლო ობიექტებზე ხმაურს, ძირითადად, იწვევს ტექნიკის მუშაობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხდება ნაგებობის დანგრევა. ეს ტექნიკა შეიძლება იყოს კომპრესორები, ბეტონშემრევი და კარტრიჯებიანი ხელსაწყოები, როგორცაა ლურსმნის პნევმატური ჩაქუჩი.

როდესაც შრომის ინსპექტორები ამ პირობებს აღმოაჩენენ, ისინი უნდა გაერკვნენ, თუ რა ტიპის კონტროლის მექანიზმებია ადგილზე მუშების მიმართ საფრთხის შესამცირებლად.

მაგალითად, შრომის ინსპექტორებმა უნდა იკითხონ კარგად უვლიან თუარა ყველა ხელსაწყო. კარგად მოვლილი ხელსაწყოები, როგორც წესი, ნაკლებ ხმაურს წარმოშობს. მათ შეიძლება დასვან რიგი შეკითხვებისა. შეიძლება თუარა სამუშაოს სხვაგვარად შესრულება, პოტენციურად ასევე სხვა ხელსაწყოების გამოყენებით? ხელსაწყოების შექმნისას მშენებლობაზე პასუხისმგებელმა პირებმა თუ განიხილეს ნაკლებად ხმაურიანი ხელსაწყოების შექმნის შესაძლებლობა, თუ ჩათვალეს ხმაურის წყაროს გაკონტროლება გამონაბოლქვის სისტემაზე მაყუჩების დამონტაჟებით ანდა გამონაბოლქვის სისტემის სამუშაო ტერიტორიისგან მოშორებით მიმართვით? შეიძლება სამუშაოს ისე ორგანიზება, რომ მასში ჩართული მუშების რაოდენობა შემცირდეს და, შესაბამისად, ნაკლები ადამიანი იყოს ხმაურში?

თუკი შეუძლებელია ხმაურის აღმოფხვრა, მაშინ შრომის ინსპექტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ ყველა მუშას აქვს ხმაურისაგან დამცავი აღჭურვილობა, ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად. შრომის ინსპექტორები ასევე უნდა დარწმუნდნენ, რომ მუშები ინფორმირებულნი არიან იმ საფრთხეების შესახებ, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ხმაურმა და მათ მიიღეს შესაბამის ტრენინგი ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობის გამოყენების შესახებ.

მუშები მშენებლობაზე ხშირად იყენებენ ხელის ელექტრო მოწყობილობებს და მათი ვიბრაცია შეიძლება გახდეს ხელის ვიბრაციის სინდრომის გამომწვევის მიზეზი. იგი გავლენას ახდენს ადამიანის თითებზე, ხელსა და მხარზე და გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება მუდმივი დაზიანების მიზეზადაც იქცეს. ამ დაავადების წარმოშობის ალბათობა პირდაპირაა დაკავშირებული ასეთი ხელსაწყოებისაგან წარმოშობილ ვიბრაციასთან. რაც უფრო მეტად იყენებენ მუშები ისეთ ხელსაწყოებს, რომლებიც ვიბრირებენ, მით მეტია ხელის ვიბრაციის სინდრომის განვითარების შანსი.

სამშენებლო სექტორში ყველაზე ტიპური ხელსაწყოები, რომლებიც მაღალი ვიბრაციით ხასიათდებიან არის პერფორატორები; ბეტონის ვიბრატორები; ხიმინჯების საბურთი მანქანები; მედაპირის მოსახვენი მანქანები; მექანიკური საჭრეთელები; ლურსმნის პნევმატური ჩაქუჩები; მექანიკური წნეხები; კუთხისახეები და მათი სხვადასხვა ტიპის ქვები.

როდესაც შრომის ინსპექტორები გაარკვევენ, თუ რა ხელსაწყოებს იყენებენ მუშები მშენებლობაზე, ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ არსებობს რისკების მართვის შესაბამისი მექანიზმები. ეროვნული კანონმდებლობა შეიძლება მოითხოვდეს ამ რისკების შეფასებასაც.

შრომის ინსპექტორებმა შემდეგი კითხვები უნდა დასვან: განიხილეს თუ - არა მშენებლობაზე პასუხისმგებელმა პირებმა სხვა ხელსაწყოების გამოყენების შესაძლებლობა, რომლებიც მუშებს ვიბრაციის საფრთხის წინაშე არ დააყენებს? ისინი, ვინც იყენებენ აღნიშნულ ხელსაწყოებს, უვლიან თუ - არა მათ კარგად? იცვლება თუ - არა საჭრელი პირები დაბლაგვების შემთხვევაში? ხელსაწყოების შეკეთება და მოვლა განაპირობებს მათ სწორ ფუნქციონირებას, ბასრი პირები და საჭრელები განაპირობებს სამუშაოს სწრაფად შესრულებას და, შესაბამისად, მუშებს ნაკლებად მოუწევთ ვიბრაციასთან შეხება.

მუშებს სიცვიში უნდა ეკეთათ ხელთათმანები, უნდა იკეთებდნენ თითებზე მასაჟს, ჰქონდეთ ცხელი სასმელი და საჭმელი, რაც უზრუნველყოფს თითებში სისხლის კარგ მიმოქცევას, რაც დაეხმარება მათ დაავადებების რისკის შემცირებაში. სიგარეტის მოწვევაზე უარის თქმა ასევე რეკომენდებულია, რადგან მოწვევა ავიწროებს სისხლძარღვებს.

ინსპექტორებმა ასევე უნდა გაარკვიონ კონტროლის რა მექანიზმები არსებობს გადახურების თავიდან ასაცილებლად - მდგომარეობა, როდესაც ორგანიზმი გადახურდება და კარგავს მარილებსა და წყალს, რაც იწვევს ჯანმრთელობის პრობლემას და შეიძლება სითბური დარტყმაც გამოიწვიოს; სითბური დარტყმა არის მდგომარეობა, როდესაც ორგანიზმის ტემპერატურა 40 გრადუს ცელსიუსზე მაღალია, რაც გავლენას ახდენს ტვინზე, გულზე, ფილტვებზე, თირკმელებსა და ღვიძლზე და შეიძლება სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დააყენოს. სათანადო კონტროლის მექანიზმები შეიძლება იყოს: გარე სამუშაოების აკრძალვა ტემპერატურისა და ტენიანობის გარკვეულ დონეზე მაღლა ასვლის შემთხვევაში დღის კონკრეტულ მონაკვეთებში (ეს შეიძლება ეროვნული კანონმდებლობით განისაზღვრებოდეს); ჩრდილში საჭირო რაოდენობის კეთილმოწყობის ობიექტების არსებობა, მათ შორის კონდენციერბაც; რეგულარული დასვენება; ხელმისაწვდომი უნდა იყოს დიდი რაოდენობით სასმელი წყალი.

შრომის ინსპექტორებმა უნდა გაარკვიონ არსებობს თუარა მუშაობით გამოწვეული სტრესის რისკის კონტროლის მექანიზმები. კონტროლის ეს მექანიზმები შეიძლება იყოს: სამუშაო დროის ორგანიზება და ცვლებში მუშაობა; დიდი რაოდენობით ზეგანაკვეთური სამუშაო საათებისა და სამუშაოს მოცულობის თავიდან აცილება; სამუშაოს დასრულების რეალისტური ვადების დანესება.

3.4 საკითხები, რომლებზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება სამუშაო პირობების ინსპექტირებისას

ბევრ ქვეყანაში შრომითი უფლებების დარღვევები ყველაზე ხშირად სამშენებლო ობიექტებზე გვხვდება. მათი ინსპექტირების მნიშვნელობა ორმხრივია: ისინი უნდა ფოკუსირდებოდნენ სამუშაო პირობების მონიტორინგზე, მათ შორის ხელფასების, სამუშაო საათებისა და ბავშვთა შრომის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის მონიტორინგზე და მეორე მხრივ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ არასათანადო სამუშაო პირობები გავლენას ახდენს სანარმოო უსაფრთხოებაზე და ჯანმრთელობაზე და შეიძლება გამოიწვიოს სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევები და ხელი შეუწყოს დაავადებების გავრცელებას.

არადეკლარირებული და არარეგულარული მუშები საშიშ სამუშაოებზე უფრო ხშირად ხდებიან უბედური შემთხვევების მსხვერპლები. ისინი უფრო მეტად თანხმდებიან საშიშ სამუშაოს სამსახურის შენარჩუნების მიზნით და მათ შედარებით ნაკლებად აქვთ ინფორმაცია იმ საფრთხეების შესახებ, რომელთა წინაშეც დგანან და კონტროლის არსებული მექანიზმების შესახებ, რადგანაც დამსაქმებლები მათ შეიძლება განიხილავენ, როგორც უმნიშვნელო სამუშაო ძალას. მიგრანტ მუშებს, განსაკუთრებით არარეგულარულ მუშებს, შეიძლება კომუნიკაციის პრობლემაც ჰქონდეთ და ვერ იგებდნენ მათთვის მიცემული ინსტრუქციების ზუსტ შინაარსს, ან არ შეეძლოთ უსაფრთხოების ზომების შესახებ ინფორმაციის წაკითხვა. ზედმეტი და არარეგულარული სამუშაო საათები, განსაკუთრებით ღამე, თავის გავლენას ახდენს მუშების ჯანმრთელობაზე დაღლილობის, მათ წინაშე არსებული რისკების მიმართ ყურადღების შემცირების გზით. ურთერთდამოკიდებულება სამუშაოს სოციალურ პირობებსა და სანარმოო უსაფრთხოებასა და ჯანდაცვას შორის ამტკიცებს იმას, რომ თუკი შესაძლებელია, შრომის ინსპექტორატმა უნდა მიიღოს ინტეგრირებული ან სისტემური მიდგომა სამუშაო პირობების მიმართ და სამშენებლო ობიექტებზე გაგზავნოს მულტიდისციპლინარული ჯგუფები. თუკი ეს შეუძლებელია, მან როგორც მინიმუმ უნდა აღჭურვოს ინსპექტორები საბაზისო ცოდნით, რათა შეძლონ სპეციალისტებს მიანოღონ ინფორმაცია იმ საკითხების შესახებ, რომლებიც ვიზიტისას გამოავლინეს და რომელიც შეიძლება საჭიროებდეს დამატებით გამოძიებას.

საკითხები, რომელთა შემოწმებაც მოხდება ვიზიტისას, დამოკიდებულია ვიზიტის ძირითად მიზანზე. პირველ რიგში უნდა გაირკვეს შრომითი ურთიერთობების ხასიათი და დადგინდეს ვინ ვისთვის ასრულებს სამუშაოს. ეს აუცილებელია, რადგან ურთიერთობის ტიპი მუშასა და დამსაქმებელს შორის ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით განსხვავებულ ვალდებულებებს უწესებს დამსაქმებელს, დასაქმებულს ან ორივეს ერთად. მას შემდეგ, რაც დადგინდება ურთიერთობის ტიპი, შრომის ინსპექტორებს შეუძლიათ დაადგინონ თუ რა მოეთხოვება თითოეულ მათგანს კანონმდებლობის მიხედვით. უმეტეს შემთხვევაში დასაადგენია შრომითი ურთიერთობის არსებობა. ეს უნდა მოხდეს, როდესაც დასაქმებულები არასწორად არიან დეკლარირებული როგორც პირები, რომლებიც თვითონ არიან ვალდებულნი არსებული კანონმდებლობის დაცვაზე, რათა თავიდან აიცილონ მათთვის კანონით დაწესებული სოციალური შენატანების გადახდა და შრომითი კანონმდებლობის გამოყენება.

შრომითი პირობების დასაადგენად შრომის ინსპექტორებს მოუწევთ დისკუსიის გამართვა დამსაქმებლებთან, დასაქმებულებთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელსაც შეუძლია ინსპექციის მიზნებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება. მათ უნდა უზრუნველყონ დასაქმებულებთან გასაუბრება დამსაქმებლის ან მისი წარმომადგენლის დასწრების გარეშე, რათა თავიდან აიცილონ შესაძლო უარყოფითი რეაქცია დამსაქმებლის მხრიდან. ეს კი საშუალებას მისცემს დასაქმებულებს თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი. დასაქმებულების განცხადებები უნდა გადაიხმოდეს არსებული დოკუმენტებით ან სხვა ინფორმაციით.

შრომის ინსპექტორები ასევე უნდა შეეცადონ, რომ საკმარის რაოდენობა დასაქმებულებს გაესაუბრონ, რათა დამსაქმებელმა ვერ გაარკვიოს თუ რომელმა თანამშრომელმა მიანოდა კონკრეტული ინფორმაცია შრომის ინსპექტორს და ამით თავიდან აიცილონ შესაძლო გართულებები.

3.4.1 დამსაქმებლის ან დამსაქმებლების იდენტიფიცირება

დამსაქმებლებსა და მუშებს შორის ურთიერთობის დადგენა შრომის ინსპექტორებისთვის ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხია, რომელიც ინსპექტირებისას უნდა გაარკვიონ. ხშირ შემთხვევაში თვითონ მუშებმა არ იციან, რომელი კომპანიისთვის მუშაობენ, განსაკუთრებით თუკი ისინი სამშენებლო ობიექტზე მოკლე ვადით რჩებიან და მესამე პირების მიერ არიან დაქირავებულნი. შრომითი ურთიერთობები ხშირად შენიღბულია და არ ჩანს ვინ არის დამსაქმებელი. ეს ინფორმაცია ინსპექტირების დაწყებამდე უნდა შეგროვდეს, თუკი ეს შესაძლებელია, სოციალური უსაფრთხოების ან სხვა ტიპის მონაცემების შემონგების საშუალებით.

ვიზიტის დაწყებისას შრომის ინსპექტორებმა უნდა მოითხოვონ სამშენებლო ობიექტზე არსებული მუშების სამსახურში გამოცხადების ყოველდღიური ჩანაწერი და დაადასტურონ მენეჯმენტთან რომელი მუშა მუშაობს რომელ ქვეკონტრაქტორთან; ასევე უნდა დაადგინონ საკონტრაქტო ურთიერთობების ტიპი, ასევე ცალკეული მუშის მიერ სამსახურის დაწყების დღე, პროფესია და სოციალური დაცვის სტატუსი. ეს ინფორმაცია უნდა გადამოწმდეს მუშებთან. არადეკლარირებული სამუშაოების აღმოჩენის მიზნით განხორციელებული ვიზიტის დროს უნდა შემოწმდეს ობიექტზე შესასვლელი და გამოსასვლელი.

ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია არა მხოლოდ არადეკლარირებული შრომის აღმოჩენად, არამედ იმის დასადგენადც არსებობს თუ - არა ერთობლივი პასუხისმგებლობა კონტრაქტორებსა და ქვეკონტრაქტორებს შორის, რომ დაიცვან ეროვნული კანონმდებლობა, მათ შორის სანარმოო უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის მარეგულირებელი წესები.

3.4.2 შრომითი ურთიერთობები

ინსპექტირებისას მნიშვნელოვანია დადგინდეს შრომით ურთიერთობებში ვინ არის 'მუშა', ვინ - 'დამსაქმებელი' და ვინ - 'დამოუკიდებელი მუშა'. ყველა სახელმწიფოს განსხვავებული კანონმდებლობა აქვს შრომითი ურთიერთობების დასრეგულირებლად. ამის მიუხედავად, შრომითი ურთიერთობების არსებობა უნდა დადგინდეს რეალური ფაქტების არსებობის გზით, სამუშაოების შესრულების ფაქტებითა და მუშებისათვის გადახდილი ხელფასებით, იმის მიუხედავად თუ როგორ არის ეს ურთიერთობა ხელშეკრულებაში გაფორმებული, რადგან შეიძლება ეს ურთიერთობა ზეპირად იყოს შეთანხმებული.

შრომის ინსპექტორები, როგორც წესი, დაიწყებენ ეკონომიკური სუბორდინაციის ან დაქვემდებარების ნიშნების ძიებას, რომელიც განსაზღვრულია ეროვნული კანონმდებლობით. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 2006 წლის რეკომენდაცია # 198³⁰ იძლევა ინდიკატორებს, რაც შეიძლება შრომის ინსპექტორებისთვის სახელმძღვანელოდ გამოდგეს, იმის მიუხედავად, რომ ეს ინდიკატორები კავშირში უნდა იყოს ეროვნულ სამართლებრივ სისტემასთან.³¹

³⁰ ხელმისაწვდომია:

http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:R198

³¹ შრომითი ურთიერთობების დასადგენად ჩატარებული შრომის ინსპექტირების ეროვნული პრაქტიკის შესახებ იხ: ზიგნაში და სხვ. შრომის ინსპექტირება და შრომითი ურთიერთობები, სამუშაო დოკუმენტი #28, LAB/ADMIN (წინევა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2013). ხელმისაწვდომია: http://www.ilo.org/labadmin/info/pubs/WCMS_217603/lang-en/index.htm



ეს ინდიკატორები შეიძლება იყოს:

(ა) ფაქტი, რომ სამუშაო:

- ხორციელდება წესების შესაბამისად და სხვა მხარის კონტროლის ქვეშ;
- მოიცავს მუშების ინტეგრაციას ორგანიზაციაში;
- მთლიანად ან უმეტესწილად სრულდება სხვა ადამიანის სასარგებლოდ;
- უნდა სრულდებოდეს პირადად მუშის მიერ;
- სრულდება კონკრეტულ სამუშაო საათებში ან სამუშაო ადგილას, რომელიც დაკონკრეტებულია ან შეთანხმებულია სამუშაოს დამკვეთის მიერ;
- გააჩნია კონკრეტული ვადა და ხანგრძლივობა;
- მოითხოვს მუშის მხრიდან თავისუფალ დროს;
- მოიცავს ხელსაწყობის, მასალებისა და მექანიზმების მიწოდებას სამუშაოს დამკვეთის მხრიდან;

(ბ) მუშისათვის პერიოდული ანაზღაურება:

- ფაქტი, რომ ასეთი ანაზღაურება წარმოადგენს მუშის შემოსავლის ერთადერთ ან მთავარ წყაროს;
- ანაზღაურება ხდება ნატურით, როგორცაა საკვები, საცხოვრებელი ან ტრანსპორტი;
- ისეთი უფლებების აღიარება, როგორცაა ყოველკვირეული დასვენება ან ყოველწლიური შვებულება;
- სამუშაოს შესრულების მიზნით მუშის მიერ განხორციელებული მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება სამუშაოს დამკვეთის მხრიდან;
- მუშისთვის ფინანსური რისკის არარსებობა.

შრომითი ურთიერთობების დასადგენი პროცედურები შეიძლება შედგებოდეს შემდეგისაგან:

- მუშების გადათვლა პირველადი ვიზუალური დათვალიერებისას, იმის გასაგებად თუ რამდენი ადამიანია საშუალოდ წარმოდგენილი სამუშაო ადგილზე;
- დაცვის თანამშრომლისთვის ტერიტორიაზე შესვლის აღრიცხვის ფურცლის ჩვენების თხოვნა;
- ინდივიდუალური ტაბელის შემოწმება (თუკი ასეთი არსებობს), რათა შემოწმდეს სამშენებლო ობიექტზე რეალურად არსებული პირების რაოდენობა და მათი სამუშაო გრაფიკი;
- ყველა მუშის პირადობის დამადასტურებელი საბუთის შემოწმება და დოკუმენტირება;
- ყველა მუშასთან გასაუბრება შემდეგი ინფორმაციის მოპოვების მიზნით (უნდა შედარდეს დამსაქმებლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან):



- მათი დამსაქმებელი (შრომის ინსპექტორი იკითხავს ვინ უხდის მათ ხელფასს, ვინ იძლევა დავალებებს; ამ კითხვებზე პასუხი ავლენს თუ ვინ არის ნამდვილი დამსაქმებელი, ან პირი, რომლისთვისაც კონკრეტული ზედამხედველი მუშაობს);
 - მათი ასაკი (აუცილებელია ბავშვთა შრომის გამოსავლენად);
 - შრომითი ურთიერთობის დანყების თარიღი (როდის დაიწყეს მოცემული დამსაქმებლისთვის მუშაობა);
 - მათი პროფესიული კატეგორია (სამუშაო ხორციელდება მუშის მიერ);
 - მათი ანაზღაურება და გადახდის ინტერვალები (შეგანაკვეთური საათები, დავსვენების პერიოდები, უქმე დღეები).
- მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის ჩანერა და დოკუმენტირება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ამბობენ, რომ თვითდასაქმებულები არიან, რათამოგვიანებით მოხდეს ამ ინფორმაციის შედარება რეალურ ფაქტებთან;
 - მას შემდეგ, რაც დადგინდება ყველა ხილული მუშა, უნდა მოიძებნოს მუშები, რომლებიც შეიძლება დამალული იყვნენ სხვადასხვა ადგილას, როგორცაა: გასახდელი ოთახები, სამზარეულო, ტუალეტები/აბაზანები, დასასვენებელი ოთახები, შიდა ეზოები, სამანქანო ოთახები, საწყობები და ა.შ. ამ პროცესში ყოველთვის თან უნდა ახლდეს შრომის ინსპექტორს ფირმის წარმომადგენელი. თუკი ამაში შრომის ინსპექტორს ხელს შეუშლიან, მაშინ მას შეუძლია მოიშველიოს ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც მას უფლებას აძლევს სამშენებლო ობიექტზე ძებნა განახორციელოს; თუკი ამ შემთხვევაშიც არ მიეცემა ძებნის ჩატარების საშუალება, შრომის ინსპექტორმა უნდა მიმართოს ინსპექტორატის პროცედურებს ამ საკითხებთან დაკავშირებით. შრომის ინსპექტორს შეუძლია გამოსცეს შეტყობინება ობსტრუქციის შესახებ და გამოიყენოს დამსაქმებლის მიმართ ან სთხოვოს პოლიციას დახმარება.

მას შემდეგ, რაც შრომის ინსპექტორი აღმოაჩინს ყველა მუშას სამშენებლო ობიექტზე და შეაგროვებს ინფორმაციას მათგან, საჭიროა ამ ინფორმაციის გადამოწმება არსებულ დოკუმენტებთან, როგორცაა ინდივიდუალური კონტრაქტები, გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, სოციალური უზრუნველყოფის დეკლარაციები, დამღვევა და ა.შ. (ეს გადამოწმება შეიძლება მოხდეს მოგვიანებით, ინსპექტირების დასასრულისკენ, ან ინსპექტორის ოფისშიც), რათა შრომის ინსპექტორი დარწმუნდეს, რომ ყველა საკონტრაქტო ვალდებულება სრულდება.

3.4.3 შრომითი ხელშეკრულების ტიპი და შინაარსი

შრომითი ხელშეკრულება უნდა შეესაბამებოდეს იმ სავალდებულო წესებს, რომელსაც ადგენს კონტრაქტის ხელმოწერისთვის არსებული ეროვნული კანონმდებლობა, ან სხვა ნორმატიული აქტები (იმპერატიული ნორმები).

უმეტეს სამართლებრივ სისტემაში არსებობს წესები, რომლებიც ეხმარებიან დამსაქმებლებს, განსაზღვრონ რა ტიპის შრომის კონტრაქტი უნდა გაფორმდეს: დროებითი, მოკლევადიანი თუ სხვა. შრომის ინსპექტორი გადამოწმებს შეესაბამება



თუარა არსებული კონტრაქტები ეროვნულ კანონმდებლობას მათი ხასიათის, ხანგრძლივობის, განახლების და მინიმალური წერილობითი შინაარსის მხრივ.

ისეც და ისეც, კანონმდებლობიდან გამომდინარე, შრომის კონტრაქტში უნდა შედიოდეს შემდეგი საკითხები:

- დასაქმებულის სრული მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია;
- დამსაქმებლის სრული მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია;
- სტრუქტურული დანაყოფი (თუკი ასეთი არსებობს);
- კონტრაქტის ხელმოწერისა და სამუშაოს დაწყების ზუსტი თარიღი;
- თანამდებობის დასახელება და ფუნქცია (პროფესიული კატეგორია);
- მოვალეობების აღწერა;
- ხელფასი და მისი დაანგარიშების წესი;
- დამატებითი გადახდები და ნებისმიერი სუბსიდიები, რომელიც
- უნდა გადაიხადონ წინასწარ დადგენილი წესით;
- შრომითი კონტრაქტის მოქმედების ვადა (თუკი საჭიროა);
- გამოსაცდელი ვადის შემთხვევაში, მისი ხანგრძლივობა და გამოსაცდელი ვადის პირობები;
- სამუშაო საათები;
- შვებულების ტიპი (მინიმალური, დამატებითი, გახანგრძლივებული) და ხანგრძლივობა;
- პირის სახელი, გვარი და თანამდებობა, რომელიც ხელს აწერს სამართლებრივ აქტს

3.4.4 დასაქმებულების წარმომადგენლობითი უფლებები

არ არსებობს ერთიანი რეცეპტი სხვადასხვა ქვეყნის შრომის ინსპექციების მიერ გაერთიანების უფლების დასაცავად. მისი როლი იცვლება ეროვნულ და რეგიონულ დონეზე არსებული ცვლადების შესაბამისად, რომლებიც გავლენას ახდენენ არა მხოლოდ შრომის ინსპექციის სისტემის სტრუქტურასა და ფუნქციებზე, არამედ ასევე გაერთიანების თავისუფლების და კოლექტიური მოლაპარაკებების სამართლებრივ ჩარჩოზე.

მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ შრომის ინსპექციის სამსახური, მისი ფუნქციისა და ძალაუფლების არსიდან გამომდინარე, მონოდებულია აქტიური როლი შეასრულოს ამ სფეროში - სამუშაო ადგილზე განახორციელოს საბაზისო ღონისძიებები და ინსპექტირება. ეს მოიცავს:

- დასაქმებულთა წარმომადგენლების არსებობისა და ფუნქციური როლის (დისკრიმინაციისაგან თავისუფალი) დადგენას;
 - ორმხრივი კომიტეტების არსებობისა და ფუნქციური როლის (დისკრიმინაციისაგან თავისუფალი) დადგენას;
 - დასაქმებულებისთვის გაერთიანების თავისუფლების უფლების განხორციელების შესაძლებლობის დადგენას.
- დასაქმებულთა წარმომადგენლებისათვის (და დამსაქმებლისთვის) საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ტექნიკური რჩევის განევა, ასევე სამუშაო ადგილზე იმ ტექნიკური ასპექტების შესახებ რჩევის მონოდებას, რომლებიც შეიძლება სადაო იყოს;
- შრომის ინსპექტორს ვიზიტის მთლიან პერიოდში ან მხოლოდ მცირე დროით უნდა თან ახლდეს დამსაქმებლისა და დასაქმებულების წარმომადგენლები;
- დასაქმებულების წარმომადგენელთა მიერ მიწოდებული კომენტარების გათვალისწინება და მათი შემდგომი ინფორმირება ინსპექტირების შედეგების შესახებ;
- კომპანიის შესაბამისი პირებისთვის ინფორმაციის სასწრაფოდ მიწოდება თუკი მოხდება ისეთი ფაქტების აღმოჩენა, რომლებიც ეწინააღმდეგება პროფკავშირების საქმიანობას.

3.4.5 ანაზღაურება (ხელფასები და ჯამაგირი)

სამშენებლო ობიექტებზე ინსპექტირების მნიშვნელოვანი მიზანი არის არსებული სახელფასო წესებისა და მასთან დაკავშირებული კოლექტიური მოლაპარაკებების შეთანხმებების შესრულება. შრომის ინსპექტორები ამოწმებენ ემთხვევა თუარა ინდივიდუალურ შრომითხელშეკრულებაში მითითებული და კანონმდებლობით მოთხოვნილ პირობებს რეალურად გადახდილი თანხის ოდენობა, პერიოდულობა და გადახდის საშუალებები:

- ინსპექტორები შეადარებენ დასაქმებულების სახელფასო ბარათებს და მათ სამუშაო ტაბელს, რათა დაარწმუნდნენ, რომ ისინი იღებენ შესაბამის საათობრივ ანაზღაურებას და რომ თანხის განაკვეთი მითითებულია დასაქმებულის კონტრაქტში, კანონში ანდა კოლექტიური მოლაპარაკების შეთანხმებაში.
- შრომის ინსპექტორები ასევე შეამოწმებენ, ხომ არ არსებობს დასაქმებულთა ანაზღაურებათა შორის დისკრიმინაციული პრაქტიკა. ისინი შეეცდებიან აღმოაჩინონ ქალთა და კაცთა ანაზღაურებას შორის დისკრიმინაციული პრაქტიკა, რათა დაადგინონ, რომ ისინი იღებენ ერთსა და იმავე თანხას, ერთსა და იმავე სამუშაოში, ან რამე სხვა დისკრიმინაციულ მოპყრობას, რომელიც კანონმდებლობაშია მითითებული, როგორცაა ეროვნება, რასა, კანის ფერი, რელიგია, პოლიტიკური მოსაზრება ან სოციალური



წარმომავლობა. შრომის ინსპექტორები გააანალიზებენ, გათვალისწინებულია თუარა განსხვავებული ანაზღაურება დასაქმებულთა განსხვავებული კატეგორიებისთვის, მაგალითად შეგირდებისთვის.

- შრომის ინსპექტორები ხშირად ამონებენ იმას, თუ იყვნენ დასაქმებულები წინასწარ გაფრთხილებულნი იმ პირობების შესახებ, რომელთა მიხედვითაც მოხდებოდა მათი შრომის ანაზღაურება, იცოდნენ თუარა ანაზღაურების განაკვეთის, მისი დაანგარიშების მეთოდისა და გადახდის დროების, ადგილის და გამოქვეითების პირობების შესახებ. ისინი ასევე შეაფასებენ, რამდენად სამართლიანად ხდება ანაზღაურების გადახდა და ხომ არ აღემატება გადახდილი თანხები კანონით დადგენილ ზღვარს და კანონის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს.
- მნიშვნელოვანია, რომ შრომის ინსპექტორებმა ასევე შეამოწმონ რამდენად სწორად ხდება ეროვნული კანონმდებლობის მიერ დადგენილი ზღვრების დაცვა ანაზღაურებაზე გამოქვეითვის შემთხვევაში (მაგალითად: საშემოსავლო გადასახადი ან სოციალური გადასახადი) ხელფასის პროპორციულად, იმის გათვალისწინებით, რომ ამის დასადგენად ზოგჯერ საჭირო შეიძლება იყოს მთლიანი ხელფასის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმება, მაგალითად, საჩივრების ან გამოძიების შედეგად მიღებული ინფორმაციის გამო.

3.4.6 შეტყობინება ხელფასების შესახებ

ხელფასის ყველა გადახდაზე დასაქმებულებმა უნდა მიიღონ ინფორმაცია გადახდის კონკრეტული პერიოდის შესახებ და დამსაქმებლებმა ასევე უნდა შეინახონ მონაცემები, რომელიც შეიცავს სავალდებულო ინფორმაციას ყველა დასაქმებულის შესახებ. ეს კი, როგორც წესი, გულისხმობს სახელფასო ბარათის მიწოდებას დასაქმებულისთვის და დამსაქმებლის მხრიდან ამის შესახებ ინფორმაციის შენახვას.

იმის მიუხედავად, რომ ეს ყველა ქვეყანაში შეიძლება განსხვავდებოდეს, სახელფასო ბარათი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მოცემული პერიოდისთვის გადახდილი ანაზღაურების სრულ რაოდენობას;
- ხელფასის გადახდის საფუძველს;
- გადახდის თარიღს და იმ პერიოდს, რომლისთვისაც ხდება გადახდა;
- ხელფასზე დანამატები ან დაქვითვები;
- ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება;
- მოცემულ პერიოდში ნამუშევარი საათების რაოდენობა;
- გადახდის მეთოდი (ნაღდი ანაზღაურება, ჩეკები, საბანკო გადარიცხვა).



შრომის ინსპექტორები ამ ინფორმაციას გამოიყენებენ იმის დასადგენად, რამდენად ხდება მინიმალური ანამლაურების გადახდა კონტრაქტის პირობების, ეროვნული კანონმდებლობის და კოლექტიური მოლაპარაკებების შეთანხმებების შესაბამისად.

3.4.7 სამუშაო საათები, დასვენების პერიოდები და ზეგანაკვეთური საათები

სამუშაო საათები დასაქმების კონტრაქტების ცენტრალური კომპონენტია და დეტალები წინასწარ სამუშაოს დაწყებამდე უნდა შეთანხმდეს. იმის დასადგენად, მიმდინარეობს თუ არა სამუშაო დადგენილ ჩარჩოებში, შრომის ინსპექტორები ყურადღებას მიაქცევენ შემდეგ საკითხებს:

სამუშაო საათების რაოდენობრივი ასპექტები:

- დღიური და ყოველკვირეული სამუშაო საათები;
- ზეგანაკვეთური საათები (და მისი ანამლაურება);
- დასვენების პერიოდები (ყოველდღიური შესვენება, ცვლებს შორის შუალედები, დასვენების ყოველკვირეული ან ყოველ ორ კვირაში ერთხელ არსებული პერიოდები, უქმე დღეები).

სამუშაო საათების ხარისხობრივი ასპექტები:

- სამუშაო საათების ორგანიზება:
 - ცვლებში მუშაობა;
 - ღამე მუშაობა;
 - მოქნილი სამუშაო საათები;
- არასრული სამუშაო განაკვეთი.

სამუშაო საათების ინსპექტირებისთვის შრომის ინსპექტორებს დასჭირდებათ სამუშაო განრიგების შემოწმება, ოპერაციების ქრონოგრამებთან მათი გადამოწმება, შესასრულებელი სამუშაოსთვის საჭირო მუშების რაოდენობის გარკვევა, სამშენებლო ობიექტზე შესვლა-გამოსვლის აღრიცხვის ჟურნალის ნახვა, დასაქმებულებთან ინტერვიუს ჩატარება.

განსაკუთრებული ზეგანაკვეთური სამუშაო საათების აღმოჩენის შემთხვევაში (კანონით დაშვებულ ნორმაზე მეტი, დასაქმებულების ანამლაურება არ ხდება, ან ზეგანაკვეთური სამუშაო არ არის დეკლარირებული), აუცილებელია ინსპექტირება განხორციელდეს სამუშაო საათების შემდეგ.

3.4.8 ახალგაზრდების ან ბავშვების დასაქმება

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მინიმალური ასაკის შესახებ 1973 წლის # 138 კონვენციის მიხედვით, მინიმალური ასაკი ნებისმიერი ტიპის სამუშაოზე დასაშვებად, თავისი ბუნების ან გარემოებების გამო, რომელშიც ის ხორციელდება და შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს



ახალგაზრდა ადამიანების ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებასა და მორალზე, არ შეიძლება იყოს 18 წელზე ნაკლები.³²

სხვა საერთაშორისო სტანდარტებიც ხაზს უსვამენ ამ საკითხს, სადაც საუბარია იმაზე, რომ ეფექტური ზომები უნდა განხორციელდეს ბავშვთა შრომის აკრძალვისა და ყველაზე უარესი ფორმების აღმოსაფხვრელად, მათ შორის '...სამუშაო, რომელიც, თავისი ხასიათითა და იმ გარემოებებით, რომელშიც ის ხორციელდება, სავარაუდოდ ავნებს ბავშვების ჯანმრთელობას, უსაფრთხოებასა და მორალს'.³³

სამშენებლო საქმე ხშირად ძალიან შრომატევადია. ძალიან ხშირად მუშები მძიმე სამუშაო პირობებში იმყოფებიან და მძიმე ფიზიკურ შრომას ეწევიან. ამ ტიპის შრომა ნამდვილად იქონიებს უარყოფით შედეგს ახალგაზრდა ადამიანებზე თავისი ბუნებიდან და იმ პირობებიდან გამომდინარე, რომელშიც ის ხორციელდება.

ბავშვთა შრომა არის ადამიანის ფუნდამენტური უფლების დარღვევა და დამტკიცებულია, რომ ის უარყოფითად მოქმედებს ბავშვების განვითარებაზე, პოტენციურად შეუძლია გამოიწვიოს ფიზიკური და ფსიქოლოგიური დარღვევა, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ვაგრძელდება. ბავშვთა შრომაზე თვალის დახუჭვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ამიტომაც ინსპექტორებისას ბავშვთა შრომის ნებისმიერ გამოვლინებაზე შესაბამისი რეაგირება უნდა მოხდეს:

- იმ შემთხვევაში, როდესაც ინსპექტორები ვარაუდობენ, რომ სამშენებლო ობიექტზე გამოიყენება ბავშვთა შრომა, ისინი აუცილებლად უნდა შევიდნენ ობიექტზე და მოიძიონ მტკიცებულებები. ეს სავარაუდოდ დაფარული იქნება, ბავშვები და ახალგაზრდები კი, სავარაუდოდ, დამალული;
- როდესაც შრომის ინსპექტორები ამონმბენ მინიმალურ სამუშაო ასაკს, მათ უნდა შეამოწმონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები. დასაქმებულების მხრიდან მაქსიმალური ინფორმაციის მისაღებად, მათ უნდა გამოიყენონ კონკრეტული კომუნიკაციის უნარები და დაარწმუნონ ბავშვები და ახალგაზრდები თანამშრომლობის აუცილებლობაში;
- როდესაც შრომის ინსპექტორები დაადგენენ ბავშვთა შრომის არსებობას ან მინიმალურ სამუშაო ასაკს მიღმა დასაქმებულებს, რომლებიც სახიფათო პირობებში მუშაობენ, მათ აუცილებლად უნდა შეწყვიტონ მუშაობა, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, საქმე უნდა გადაეცეს შესაბამის ინსტიტუტებს მათი სამუშაოზე შემდგომი დაბრუნების თავიდან ასაცილებლად.

³² ხელმისაწვდომია:

http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO:12100:P12100_INSTRUMENT_ID:312283:NO

³³ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1999 წლის კონვენცია ბავშვთა შრომის ყველაზე ცუდი ფორმების შესახებ (# 182), ხელმისაწვდომია:

http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO:12100:P12100_INSTRUMENT_ID:312327:NO

3.4.9 მიგრაცია და უსხოელთა დასაქმება

ბევრ ქვეყანაში სამშენებლო ინდუსტრიაში დასაქმებულთა დიდი ნაწილი მიგრანტ მუშებზე მოდის. ისინი უფრო მძიმე მდგომარეობაში შეიძლება იყვნენ, რადგან შეიძლება სხვა კულტურის მატარებელი იყვნენ, არ საუბრობდნენ ან ცუდად საუბრობდნენ ადგილობრივ ენაზე და მიჭაჭვლნი იყვნენ დამსაქმებელთან სავიზო მოთხოვნების გამო.

შრომის ინსპექტორები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ ამ მუშების განსაკუთრებული საფრთხეების შესახებ და უნდა მოახდინონ საკუთარი ინტერვენციების მათი საჭიროებებისადმი ადაპტირება. დიდი ზომის სამშენებლო ობიექტის ინსპექტირებისას შრომის ინსპექტორატმა უნდა უზრუნველყოს, რომ:

- შერჩეულ ინსპექტორებს შეეძლოთ მუშებთან მათთვის გასაგებ ენაზე საუბარი;
- სამშენებლო ობიექტზე გავრცელებული საინფორმაციო მასალა ითარგმნოს;
- შრომის ინსპექტორები იყვნენ ინფორმირებულნი მათ კულტურული თავისებურებების შესახებ და ამის გათვალისწინებით წარმართონ მათთან ინტერვიუ.

დასაქმებულთა სტატუსის კონტროლის მთავარი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს მათი უფლებების დაცვა და არაიმაში, რომ მოხდეს საიმვიგრაციო კანონმდებლობის აღსრულება. თუმცა, მათი სტატუსიდან გამომდინარე, როგორც სახელმწიფო მოხელეები, შრომის ინსპექტორები ვალდებული არიან საიმვიგრაციო სამსახურს მიაწოდონ ინფორმაცია დოკუმენტების არმქონე მუშების შესახებ.

იმის მიუხედავად, რომ იძულებითი შრომა³⁴ არსებობს მოქალაქეობისგან დამოუკიდებლად ნებისმიერქვეყანაში, შრომის ინსპექტორებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იძულებითი შრომისა და ადამიანებით ვაჭრობის³⁵ შესაძლო ნიშნებს.

³⁴ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1930 წლის იძულებითი შრომის კონვენციის (#29) 2 მუხლის მიხედვით: „...ტერმინი იძულებითი ან სავალდებულო შრომა ნიშნავს ყველა სამუშაოს ან მომსახურებას, რომელიც მიიღება ნებისმიერი ადამიანისაგან ჯარმის მუქარით და რომლის შესასრულებლადაც სხენეულ ადამიანს ნებაყოფლობით არ გამოუთქვამს სურვილი“, ხელმისაწვდომია: http://www.ilo.org/dyn/normlex/en/?p=1000:12100:0::NO::P12100_ILQ_CODE:C029

³⁵ ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) განმარტებულია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის-ნიშანდღე“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციასა და მსდამატებითი ოქმში „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასაცემის შესახებ“, როგორც „ადამიანის ყიდვანაგაყიდვა, აწმის მიმართ სხვაგვარონორკარგიების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თადლითობით, მოტყუებით, უმწეოდ მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ან დასარგებლის მიცემის ან მიღების გეგმიური თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე გავლენის მოსაღწევად, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადაძალა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, უფარება ან დამიღება ექსპლუატაციის მიზნით. ექსპლუატაცია მოიცავს, როგორც მინიმუმ, სექსუალური მომსახურების განწვეის იძულებას, შრომის ან მომსახურების განწვეის იძულებას, შონობის ან შონობის მსგავს მდგომარეობაში ჩაყენებას, მომსახურების იძულებას ან ორგანოების ამოღებას“ (მუხლი 3 ა).



ეს ნიშნები მოიცავს შემდეგს:

- ფიზიკური ძალადობა;
- გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა;
- მუქარა;
- სავალე კაბალა ან იძულების სხვა ფორმები;
- ხელფასების დაკავება ან არგადახდა;
- საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევა.

შრომის ინსპექტორები ასევე მოიძიებენ ინფორმაციას იძულებითი შრომის ბოლოდროინდელი შემთხვევების შესახებ.

გარდა იმისა, რომ შრომის ინსპექტორებმა უნდა მოახდინონ იძულებითი შრომის იდენტიფიცირება და ინფორმაციის გადაცემა შესაბამისი სამსახურებისთვის, მათ ასევე უნდა იცოდნენ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა უფლებების შესახებ. ეს მოიცავს მათ უფლებას მიიღონ ინფორმაცია სამართალდამცავებთან თანამშრომლობის შესაძლებლობების შესახებ; ქვეყანაში დარჩენის უფლების შესახებ, როგორც მინიმუმ მანამ, სანამ არ მოხდება დამნაშავეების დასჯა და კომპენსაციისა და შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების უფლების შესახებ.

3.4.10 სოციალური დაცვა

როგორც წესი, სოციალური დაცვის საკითხებში სახელმწიფოს ერთზე მეტი უწყებაა ჩართული. ინსპექტირების ფუნქციებს რაც შეეხება, არსებობს სოციალური დაცვის კანონმდებლობის შესრულების კონტროლის განხორციელების ორი ძირითადი მექანიზმი: შრომის ინსპექცია და თვით სოციალური დაცვის სისტემა. აუცილებელია ამ ორ მექანიზმს შორის თანამშრომლობის დამყარება.

სოციალური დაცვის კანონმდებლობის დაცვის შემოწმება ხდება ინსპექტირების ვიზიტებისა და დამსაქმებელთა დოკუმენტების აუდიტის საშუალებით და ორივე წარმოადგენს მნიშვნელოვან საშუალებას არადეკლარირებული მუშაობისა და სოციალური უზრუნველყოფის მხრივ არსებული თაღლითობის აღმოსაჩენად. ამ მხრივ შრომის ინსპექტორებს ორი მიმართულებით შეუძლიათ მუშაობა:

ა) შრომის ინსპექტირების ყველაზე გავრცელებული ფუნქცია მრავალ ქვეყანაში არის იმის კონტროლი, დარეგისტრირებულია თუ არა ყველა დასაქმებული სოციალური უზრუნველყოფის სამსახურებში, ასევე ხდება თუ არა სოციალური გადასახადის გადახდა დასაქმებულებისა და დამსაქმებლების მხრიდან, როდესაც ისინი შრომით ურთერთობაში იმყოფებიან. კონტროლის ეს მექანიზმი ძალიან ეფექტურია თაღლითობისა და არადეკლარირებული სამუშაოს აღმოსაჩენად.

ამ ფუნქციის შესრულებისას შრომის ინსპექტორებმა უნდა შეამოწმონ:

- კომპანიის რეგისტრაცია სოციალური უზრუნველყოფის ინსტიტუტებთან;
- კომპანიის მიერ დასაქმებულების რეგისტრაცია სოციალური უზრუნველყოფის ინსტიტუტებთან;

- თვითდასაქმებელი მუშების რეგისტრაცია სოციალური უზრუნველყოფის ინსტიტუტებთან;
- დასაქმებულების მიერ გადასახადის გადახდა;
- დამსაქმებლის ან თვითდასაქმებულის მიერ მთლიანი გადასახადის წილის გადახდა.

ბ) შრომის ინსპექტორების კიდევ ერთი ტიპური ფუნქცია მდგომარეობს მიღებული დამიანებების გამო კომპენსაციის გადახდის უზრუნველყოფაში. იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევების ან სანარმოო ტრავმების და დაავადებების გამოძიება, გამოძიების დასკვნები შეიძლება წარმოადგენდეს საფუძველს:

- გამოძიებული უბედური შემთხვევის ან დაავადების პასუხისმგებლობის დადგენისათვის.
- არსებული სტანდარტების დარღვევის მაღალი მაჩვენებლის მქონე კომპანიებში დამატებითი შენატანების შეთავაზებისათვის.

3.4.11 შრომითი ხელშეკრულების ტიპი და შინაარსი

სამუშაო ძალის კვალიფიკაცია და ტრენინგი წარმოადგენს საკვანძო ელემენტებს მოცემული სამუშაოს შესასრულებლად მუშის შესაბამისობის გასარკვევად. უნდა არსებობდეს პირდაპირი კავშირი მუშის კვალიფიკაციას, შრომით ხელშეკრულებაში არსებულ პროფესიულ კატეგორიასა და მუშის მიერ შესრულებულ სამუშაოს შორის. (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1975 წლის ადამიანური რესურსების განვითარების კონვენცია №142³⁶ მოითხოვს წვერი სახელმწიფოსაგან პროფესიული განათლების შესახებ პოლიტიკისა და პროგრამების განვითარებას, რომელიც საკმარისი იქნება დასაქმების არსებული საჭიროებებისთვის).

გარდა იმისა, რომ ბევრ სახელმწიფოში კანონითაა მოთხოვნილი, სამუშაო ძალისთვის სათანადო კვალიფიკაციის არსებობა და გადამზადების სისტემის არსებობა, ასევე ყველაზე ეფექტური გზა სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევების, დაავადებებისა და საფრთხის შემცველი სისტემების თავიდან ასაცილებლად. უფრო კონკრეტულად კი №155 კონვენცია ავალდებულებს დამსაქმებლებს უზრუნველყონ დასაქმებულებისა და მათ წარმომადგენლებისთვის სპეციალური კურსების გავლა სანარმოო უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შესახებ.

- შრომის ინსპექტორებმა უნდა შეამოწმონ არსებული სერტიფიკატები, თუკი სერტიფიცირება ოფიციალური მოთხოვნაა. მათ უნდა შეამოწმონ ასეთი დოკუმენტების მოქმედების ვადა და დარწმუნდნენ, რომ მათი მოქმედება ვრცელდება იმ საქმიანობაზე, რომელსაც ეწევა კონკრეტული დასაქმებული;

³⁶ ხელმისაწვდომია:

http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO:12100:P12100_INSTRUMENT_ID:312287:NO



- შრომის ინსპექტორები ასევე ამონმებენ სატრენინგო მასალებისა და პროცედურების შესაბამისობასა და ეფექტიანობას სამუშაო ადგილზე დასაქმებულების საქმიანობაზე დაკვირვებით. ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ დამსაქმებელს აქვს ნებისმიერი სატრენინგო პროგრამის ეფექტიანობის შემოწმების მექანიზმი;
- შრომის ინსპექტორები ასევე იმაშიც უნდა დარწმუნდნენ, რომ ზედამხედველებს ასევე აქვთ შესაბამისი კომპეტენციები (უნარები, კვალიფიკაცია და გამოცდილება) სამშენებლო ოპერაციების დაგეგმვისა და ორგანიზებისთვის.

თუკი ეროვნული კანონმდებლობა ითხოვს კონტრაქტორებისაგან კონკრეტული კომპეტენციების ქონას, მაშინ შრომის ინსპექტორები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ ამის შესახებ და უნდა შეამოწმონ სრულდება თუარა ეს მოთხოვნა, იმ შემთხვევაში, თუკი ეს მათ მანდატში შედის. ეს შეიძლება მოხდეს ყველა ლიცენზიისა და სერტიფიკატის შემოწმებით და იმის დადგენით, რომ მშენებლობაზე პასუხისმგებელ პირებს მოპოვებული აქვთ ამ დოკუმენტების ასლები.

3.4.12 თანაბარი შესაძლებლობები და მოპყრობა (დისკრიმინაციის აღმოფხვრა)

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1958 წლის №111 კონვენციის დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ და კონვენციის რეკომენდაციების მიხედვით (№111)³⁷ ყველა ადამიანი, დისკრიმინაციის გარეშე უნდა სარგებლობდეს თანაბარი შესაძლებლობებით და მოპყრობით:

- პროფესიული განათლებისა და დასაქმების სერვისების ხელმისაწვდომობის სფეროში;
- ინდივიდუალური შესაბამისობის მიხედვით და საკუთარი სურვილით პროფესიული გადამზადებისა და დასაქმებისადმი ხელმისაწვდომობის კუთხით;
- პირადი ხასიათის, გამოცდილების, შესაძლებლობისა და შრომისმოყვარეობის შესაბამისად დანიშნულებისას;
- დასაქმების სტაბილურობის შემთხვევაში;
- შესრულებული სამუშაოს შესაბამისი ანაზღაურების მისაღებად;
- სამუშაო პირობები, მათ შორის სამუშაო საათები, დასვენების პერიოდები, ანაზღაურებადი შვებულება, საწარმოო უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ზომების, სოციალური დაცვისა და კეთილდღეობის ზომებისადმი და სამსახურთან დაკავშირებული ბენეფიტებისადმი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

³⁷ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია დასაქმებასა და პროფესიაში დისკრიმინაციის შესახებ (# 111, 1958) და მისი რეკომენდაციები: http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C111&ad http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO:12100:P12100_INSTRUMENT_ID:312449:NO

შრომის ინსპექტორები ასევე ხშირად ვალდებული არიან აღასრულონ ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც კრძალავს პირდაპირ ან ირიბ დისკრიმინაციას რასის, სქესის, კანის ფერის, რელიგიის, პოლიტიკური მოსაზრების, ეროვნული და სოციალური წარმომავლობის ნიშნით დასაქმებისა და პროფესიის ყველა ასპექტში და მოიცავს ყველა დასაქმებულს.

თანაბარი შესაძლებლობებისა და მოპყრობის შესახებ კანონმდებლობის დაცვის ზედამხედველობისთვის, თუკი ეს შრომის ინსპექტორების ფუნქციამ შედის, შრომის ინსპექტორები განიხილავენ:

- რაოდენობრივ მონაცემებს (თანასწორობის არარსებობის მდგომარეობა); მნიშვნელოვანი დისბალანსი ან დისკრიმინაცია შეიძლება გამოჩნდეს მარტივი მათემატიკური ანალიზის შედეგად.
- ხარისხობრივ მონაცემებს (პროცედურები, ქმედებები, კრიტერიუმები, კომპანიის პრაქტიკა და დოკუმენტაცია); უთანასწორობა ან დისბალანსი ასახავს დამსაქმებლის მართვის სტილს:
 - დასაქმებისადმი ხელმისაწვდომობის მიმართ: სამსახურში აყვანის, კონტრაქტის გაფორმებისა და წინა კვალიფიკაციის ამბღლების პროცესში;
 - თანამდებობების კატეგორიების განსაზღვრისას: თანამდებობების შეფასების ფორმალური და არაფორმალური სისტემა და თითოეული პოსტისთვის ხელფასის დადგენა;
 - ანაზღაურებასთან მიმართებით: მთლიანი სახელფასო პოლიტიკა, რომელიც ხაზს გაუსვამს ისეთი ანაზღაურების პრაქტიკას, რომელიც არ არის საკანონმდებლო აქტით განსაზღვრული (ხელფასი, რომელიც არ არის კონტრაქტში განწერილი);
 - დაწინაურებასთან მიმართებით: დაწინაურების პროცედურები და დაწინაურების სხვა ტიპები, ასევე განგრძობითი განათლებისადმი ხელმისაწვდომობა;
 - დროებითი კონტრაქტების კოეფიციენტის მიმართ: სამუშაოზე აყვანის პრაქტიკა, რომელიც დაკავშირებულია თანამდებობის ფუნქციებთან და ტიპთან, ასევე ნახევარგანაკვეთიანი სამუშაოს კოეფიციენტი და კონტრაქტების ტიპები.
- მისაღები და მიუღებელი გამამართლებელი გარემოებები; შესაბამისობა, საჭიროება და პროპორციულობა არის ის ელემენტები, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, როდესაც ხდება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაანალიზება. 'მისაღები' ნიშნავს ისეთ პრაქტიკას, რომელიც შეესაბამება საწარმოში წარმოების ნათელ და გამართლებულ საჭიროებებს, რომლებიც სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებშია შემუშავებული. პრაქტიკა, რომელიც უბრალოდ არის მოხერხებული, პირობითი ან უკანონო, იქნება დისკრიმინაციული.



3.5 ინსპექტირების დასრულება

მას შემდეგ, რაც დასრულდება სამუშაო პირობების ინსპექტირება და დოკუმენტების შემოწმება, შრომის ინსპექტორმა უნდა მოიწვიოს შეხვედრა როგორც დამსაქმებელთა, ასევე დასაქმებულთა წარმომადგენლებთან და განიხილოს ის საკითხები, რომლებიც აღმოაჩინა ინსპექტირების შედეგად. მაშინ, როცა ბუნებრივია იმ საკითხების განხილვა, რომლებიც საჭიროებენ გამოსწორებას, რათა მოვიდნენ კანონთან შესაბამისობაში, კარგი იქნება შრომის ინსპექტორები თუ ასევე განიხილავენ იმ საკითხებს, რომლებიც გამოსწორებას არ საჭიროებს.

ბოლო შეხვედრა ღია დისკუსიისთვის შესაძლებლობას იძლევა და არ უნდა გადაიზარდოს კონფრონტაციაში. შრომის ინსპექტორმა უნდა დააბალანსოს თავისი ორი ფუნქცია, აღასრულოს კანონი და მიაწოდოს რჩევა და ინფორმაცია. შრომის ინსპექტორმა ცხადად უნდა მიუთითოს თუ რა უნდა გაკეთდეს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსასვლელად და რა დროში უნდა განხორციელდეს ეს ცვლილებები. შრომის ინსპექტორებმა შეიძლება ასევე გააფრთხილონ შეხვედრაზე დამსწრეები, რომ წინასწარ დათქმულ ვადაში კვლავ დაბრუნდებიან პროგრესის შესამოწმებლად. ინსპექტორი ასევე მიაწვდის ინფორმაციას, აღსრულების ღონისძიების შესახებ თუკი ეს შესაძლებელია, თუკი საჭირო არ იქნება დამატებითი გამოძიება ვიზიტის შემდეგ, მაგალითად შრომითი ხელშეკრულებებისა და გადახდების მონაცემების შეფასება, საბოლოო გადანაცვლების მიღებამდე. სამშენებლო ობიექტის დატოვებამდე უნდა გაირკვეს საკონტრაქტო ურთიერთობების კონტრაქტორებსა და ქვეკონტრაქტორებს შორის, რათაგაირკვეს პირდაპირი და ერთობლივი ვალდებულებები.

ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო იქნება გადაუდებელი ნაბიჯების გადადგმა, სხვა შემთხვევაში კი უფრო მეტი დრო იქნება საჭირო. შეხვედრაზე დამსწრეებს შრომის ინსპექტორებმა უნდა მიაწოდონ ინფორმაცია თუ რომელი შეთავაზებული ღონისძიება უზრუნველყოფს დამსაქმებლების ანდა დასაქმებულების მხრიდან ვალდებულებების შესრულებას. ეროვნული კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ ქმედებებს, რომლის განხორციელებაც შეუძლიათ შრომის ინსპექტორებს, ისევე როგორც შრომის ინსპექტორატი განსაზღვრავს მოსალოდნელ ქმედებებს. ეს საკითხები განხილულია 3.5.1. ნაწილში.

შრომის ინსპექტორებმა უნდა აჩვენონ კარგი ანალიზისა და კომუნიკაციის უნარები, როგორც ვიზიტის განმავლობაში, ასევე მის დასასრულს. ასევე მნიშვნელოვანია ძირითადი მიგნებების შეჯამების უნარიც. თუკი ეს სწორად გაკეთდება, ეს ხაზს გაუსვამს შესაძლო მაკორექტირებელი ქმედების მნიშვნელობას და დასაქმებულებისა და დასაქმებულების მხრიდან ასეთი ქმედების განხორციელების პასუხისმგებლობას.

საბოლოო შეხვედრის მიზანი არის, რომ შრომის ინსპექტორებმა:

- შეაჯამონ სამშენებლო ობიექტზე სამუშაო პირობების ზოგადი სტანდარტები, ხაზი გაუსვან დამაკმაყოფილებელ საკითხებს, მაგრამ ცალსახად მიუთითონ თუ რა არის გასაუმჯობესებელი კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსასვლელად;
- განიხილონ თუკი ინსპექტირებისას აღმოჩენილ იქნა კანონსა-წინააღმდეგო პირობები და ხაზი გაუსვან არსებულ დარღვევას და შესაძლო სამართლებრივ შედეგებს;

- შესთავაზონ სამუშაო პირობებისა და სამუშაო გარემოს გასაუმჯობესებლად პრიორიტეტები;
- აღნიშნონ დაუყონებლივ რისი გაკეთებაა აუცილებელი;
- მიანოდონ დამსაქმებლებს ინფორმაცია იმ დროის შესახებ, რომლის განმავლობაშიც უნდა გატარდეს დანარჩენი ცვლილებები;
- დამსწრეებს გააცნონ შრომის ინსპექტირების მიზანი, მათ შორის ის სერვისები, რომლებიც დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შეიძლება მიანოდონ;
- ინფორმაცია მიანოდონ აღსრულების საჭირო ღონისძიებების შესახებ.

3.5.1 საჭირო ზომების განსაზღვრა

ეროვნული კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ ნაბიჯებს, რომელთა გადადგმა შეუძლიათ შრომის ინსპექტორებს. მიუხედავად ამისა, მათ უნდა შეეძლოთ ნაბიჯების გადადგმა, რომელიც გამოასწორებს არსებულ პრობლემებს საწარმოში, ხელსაწყოებში, სამუშაოების მეთოდებში, რომელსაც შრომის ინსპექტორები განიხილავენ როგორც დასაქმებულების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისადმი საფრთხედ. ასევე შრომის ინსპექტორებს უნდა ჰქონდეთ სათანადო დისკრეცია, რომ გადაწყვიტონ, პირველად გასცენ გაფრთხილება ან რჩევა თუ პირდაპირ განახორციელონ აღსრულების ქმედებები იმ პირების მიმართ, რომლებიც არღვევენ კანონის მოთხოვნებს.³⁸

მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხები მნიშვნელოვანია, ინსპექტორატისთვის ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ინსპექტორების ქმედებები იყოს თანმიმდევრული და რისკის პროპორციული. ინსპექტორატმა შეიძლება საკუთარი აღსრულების პოლიტიკის³⁹ დოკუმენტირება მოახდინოს, ეს პოლიტიკა ან განცხადებები⁴⁰ შეიძლება იყოს როგორც საჯაროდ ხელმისაწვდომი, ასევე მხოლოდ ინსპექტორატის შიდა მოხმარებისთვის.

ქვემოთ მოყვანილია ის ზომები, რომელთა გატარება შრომის ინსპექტორებს შეუძლიათ:

- სიტყვიერი რჩევის მიცემა;
- წერილობითი რჩევის მიცემა;
- წერილობითი შეტყობინების გამოცემა, რომელშიც განწერილი იქნებოდა რა ზომები უნდა გატარდეს და რა ვადებში;

³⁸ კონვენცია # 81, მუხლები 13 და 17

³⁹ დამატებით ინფორმაცია ხელმისაწვდომია: რჩევები შრომის ინსპექტორებისთვის: აღსრულების პოლიტიკის მოდელი; სატრენინგო და სოპერაციო პრაქტიკული სახელმძღვანელო; ეთიკური ქცევის კოდექსი (ბუდაპეშტი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2016), ხელმისაწვდომია: http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_protect/---protrav/---safework/documents/instructionalmaterial/wcms_110153

⁴⁰ აღსრულების პოლიტიკის განცხადების მაგალითი ხელმისაწვდომია: <http://www.hse.gov.uk/pubns/hse41.pdf>



- შემაკავებელი/ამკრძალავი ორდერის გამოცემა, რომელიც მოითხოვს სამუშაოების დაუყოვნებლივ შეჩერებას, სადაც დასაქმებულების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისადმი გარდაუვალი საფრთხეა; ზოგიერთ ქვეყანაში ეს შეიძლება იყოს ბავშვების სამუშაოდან დაუყოვნებლივი გაყვანა, ან საქმიანობის შეჩერება დაუდევლარირებელი სამუშაოს აღმოჩენის შემთხვევაში;
- სანქციების დაწესება, როგორცაა ჯარიმები, ან საქმის სასამართლოსთვის გადაცემა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასადგენად;
- დამატებითი სანქციების დაწესება, როგორცაა საჯარო ტენდერებში მონაწილეობის მიღების უფლების ჩამორთმევა, ლიცენზიის ჩამორთმევა, შეღის ან სხვადასხვა ინსტიტუციის ვებგვერდების საშუალებით კანონის დამრღვევთა ვინაობის გასაჯაროება.

რისკის დონე მნიშვნელოვანია იმის განსასაზღვრად, თუ რა ტიპის ქმედებას განახორციელებს შრომის ინსპექტორები. ქვემოთ მოცემულია შესაძლო ვარიანტები:

1. თუკი რისკი მაღალია ან მიუღებელი, მაშინ კონტროლის/პრევენციის ზომები დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს და სამუშაოები უნდა შეჩერდეს კონტროლის მექანიზმების ამოქმედებამდე. შრომის ინსპექტორებმა შეიძლება გამოსცენ შემაკავებელი/ამკრძალავი ორდერი, და საქმის მდგომარეობის მიხედვით, როგორცაა წინა ჯერზე გაცემული რჩევის უგულებელყოფა, შეიძლება მოახდინონ სამართლებრივი პროცესის ინიცირება, როგორცაა სანქციების დაწესება.
2. თუკი მდგომარეობა საშუალო რისკის მატარებელია, მაგრამ საერთო ჯამში მაინც მიუღებელი და არ ითხოვს დაუყოვნებლივ ქმედებას, შრომის ინსპექტორს შეუძლია გამოსცეს ორდერი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ;
3. თუკი მდგომარეობა დაბალი რისკის მატარებელია და ზოგადად არსებული მდგომარეობა მისაღებია, ნებისმიერი ქმედება შეიძლება განხორციელდეს უფრო ხანგრძლივ ვადებში. ასეთ შემთხვევაში უპრიანი იქნება, თუკი შრომის ინსპექტორები ზეპირ ან წერილობით რჩევას გასცემენ.

3.6 ინსპექციის შესახებ ანგარიშის მომზადება

ინსპექტირება ვერ ჩაითვლება დასრულებულად, სანამ მასში მონაწილე პირები არ დაასრულებენ ინსპექტირების შესახებ ანგარიშის წერას. ყველა სახელმწიფოში განსახვებელი კანონმდებლობა და პროცედურებია, ამიტომ წინამდებარე გზამკვლევი ვერ შეძლებს იმ საკითხების ამომწურავი სიის ჩამოყალიბებას, რომლებიც ანგარიშში უნდა მოხვდეს. თუმცა ინსპექტირების შესახებ ანგარიში წარმოადგენს შიდა მოხმარების დოკუმენტს, რომელიც აღწერს როგორც უარყოფით, ასევე დადებით საკითხებს, რომლებიც ინსპექტირებისას გამოვლინდა. ის ასევე უნდა აღწერდეს იმ ქმედებებს, რომელთა განხორციელებას ითხოვენ ინსპექტორი/ინსპექტორატი დამსაქმებლებისა და დასაქმებულებისაგან.

ამ ინფორმაციის დოკუმენტირება წარმოადგენს სამართლებრივი პასუხის-მგებლობის მქონე პირთა მხირდან განხორციელებული გაუმჯობესების ანგარიშს; ასეთი ინფორმაცია განსაკუთრებით სასარგებლოა შრომის ინსპექტორებისთვის, როდესაც ისინი შემდგომ ვიზიტებს განახორციელებენ. ანგარიში შეიძლება როგორც ქაღალდზე, ასევე ელექტრონულადაც მომზადდეს, ინფორმაციის შენახვის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

ასეთი ანგარიშის ფორმატი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. ის შეიძლება წარმოადგენდეს:

- სტანდარტულ ფორმატს, რომელშიც ინსპექტორი იძლევა ინფორმაციას ფორმაში დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემით;
- თხრობით ფორმატს, სადაც შრომის ინსპექტორი წარმოადგენს ინფორმაციას სრული წინადადებებით და აბზაცებით, რომლებიც ქვეთავებად იქნება სტრუქტურირებული;
- სტანდარტული და თხრობითი ფორმების კომბინაციას; სხვა ფორმატებს.

ანგარიშის წერისას შრომის ინსპექტორებმა უნდა განასხვავონ 'ფაქტი' 'მოსაზრებისგან'. მაგალითად, შრომის ინსპექტორს შეიძლება გააჩნდეს 'მოსაზრება', რომ დამცავი ღერძი ხარაჩოებზე არ იყო დამაგრებული სათანადო სიმაღლეზე, მაგრამ მას რომ გაეზომა დამცავი ღერძის სიმაღლე, ექნებოდა ზუსტი ინფორმაცია და მოხდებოდა 'ფაქტის' კონსტატაცია, რომ დამცავი ღერძი არ იყო დამაგრებულ სათანადო სიმაღლეზე. ინსპექტორების შესახებ ანგარიშში მნიშვნელოვანია როგორც ფაქტი, ასევე მოსაზრება, მაგრამ ცხადი უნდა იყოს თუ კონკრეტული საკითხი არის მოსაზრება, თუ - ფაქტი.

ანგარიში ინსპექტირების შესახებ რაც შეიძლება მალე უნდა დაინეროს, სანამ შრომის ინსპექტორებს ყველა დაკვირვება კარგად ახსოვთ. ინსპექტირების დროს გადაღებული ფოტოები და აღებული ზომები დაეხმარება ინსპექტორებს იმის გასახსენებლად თუ რა ნახეს და შეიძლება მათი ანგარიშში ჩართვა.

ქვევით მოცემულია თუ რა ინფორმაცია შეიძლება ჩაინეროს ანგარიშში. სია არ არის ამომწურავი და ვიზიტის მიზნებიდან გამომდინარე, დამატებითი ინფორმაცია შეიძლება გახდეს საჭირო.

საწარმოს შესახებ გოგალი ინფორმაცია

- სახელი, სამართლებრივი სტატუსი (კომპანია, პარტნიორობა) და სხვა ერთეულებთან და კომპანიებთან კავშირი (მაგ: ფილიალი);
- ადგილმდებარეობა და მისამართი;
- საწარმოს ფორმა და აღწერა;
- საკონტაქტო პირი და საკონტაქტო დეტალები; ტელეფონის ნომერი, ფაქსი და ელ.ფოსტის მისამართი;



- დასაქმებულთა რაოდენობა (სქესის მიხედვით სეგრეგირებული ინფორმაცია, ახალგაზრდა დასაქმებულები, პროფესიული კატეგორიები);
- სპეციალური პროცესები (მაგ: ქიმიური ნივთიერებების გამოყენება)
- ან 'განსაკუთრებული პირობები' (მაღალი რისკი/საფრთხე); შესაბამისი კოლექტიური შეთანხმება.

სამუშაო პირობები

- სამუშაო საათები და ნამუშევარი ზეგანაკვეთური საათები (თუკი ასეთი არსებობს);
- მინიმალური ანაზღაურება და გადახდილი ბენეფიტები;
- ყოველკვირეული დასვენების პერიოდები და უქმე დღეები; დასაქმების მოთხოვნების სხვა სამართლებრივი პირობები; საწარმოო უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის მართვის სისტემა; სამუშაოსთან დაკავშირებული საფრთხეების სისტემები და
- რისკების კონტროლის ზომები;
- სამეურნეო საქმიანობა;
- სამედიცინო და კეთილმონყობის სერვისები.

საწარმოო ურთიერთობები

- პროფკავშირების არსებობა;
- არსებული კოლექტიური შეთანხმებები;
- დასაქმებულთა წარმომადგენლების რაოდენობა და ფუნქციები;
- აქტიური საკონსულტაციო კომიტეტის არსებობა, როგორცაა: სამუშაო საბჭო, დასაქმებულთა კომიტეტი, საწარმოო უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის კომიტეტი.

ინსპექტირების დეტალები

- ინსპექტირების თარიღი და დრო;
- ინსპექტირების ხასიათი (რეგულარული, განმეორებითი, საგამოძიებო);
- აღმოჩენილი დარღვევების ხასიათი;
- პრიორიტეტული სფეროები ყურადღების მისაქცევად;
- პრიორიტეტულ სფეროებში ინსპექტორების მიერ განხორციელებული ზომების დეტალები.

ნებისმიერი სხვა სასარგებლო ინფორმაცია ან მონაცემები.
ინსპექტორის სახელი და თანამდებობა.
ინსპექტორის ხელმოწერა და ანგარიშის მომზადების თარიღი.

იდეალურ შემთხვევაში, ანგარიში უნდა იძლეოდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ არის სამშენებლო ობიექტი ორგანიზებული, მათ შორის უნდა იძლეოდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ვინ არის მისი მფლობელი, ძირითადი კონტრაქტორები და ქვეკონტრაქტორები. ეს დაეხმარება სხვა ინსპექტორებს, რომლებიც შემდგომ ვიზიტებს განახორციელებენ, სამშენებლო ობიექტზე მოქმედი განსხვავებული საწარმოების როლებისა და პასუხისმგებლობების შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ეს ანგარიში შეიძლება სანქციების პროცესში იქნას გამოყენებული. ხშირ შემთხვევაში ეს სისხლის სამართლის კანონმდებლობით რეგულირდება. ამის გამო ინსპექტირების შესახებ ანგარიში საიდუმლო დოკუმენტების კატეგორიაში გადის.



დანართი 1: მშენებლობაზე უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის საკონტროლო კითხვარი

ამ კითხვარში მოცემულია ის საფრთხეები, რომლებიც გვხვდება სამშენებლო ობიექტებზე. მისი მიზანია კონტროლის იმ მექანიზმების წარმოჩენა, რომლებიც უნდა არსებობდეს იმ რისკების შესამცივრებლად, რომლებიც იქმნება სამშენებლო ობიექტზე არსებული საფრთხეებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის შეკითხვების ან კონტროლის ზომების ამომწურავი სია.

ტერიტორიაზე შესვლა

ყველას შეუძლია სამუშაო ადგილზე უსაფრთხოდ მისვლა?

მისასვლელი გზა თავისუფალია წინაღობებისგან და კარგადაა მონიშნული?

ორმოები კარგადაა მონიშნული და დაფარული გადავარდნის თავიდან ასაცილებლად?

დროებითი სტრუქტურები მყარია, ადექვატურად დამაგრებული დახომ არ არის მასზე ზედმეტი ტვირთი?

დარჩება მუდმივი სტრუქტურები მყარად სარემონტო და ნგრევითი სამუშაოების დროს?

სამშენებლო ტერიტორია მონესრიგებულია და მასალები უსაფრთხოდ შენახული?

განათება ადექვატურია, განსაკუთრებით იქ, სადაც სამუშაოები მიმდინარეობს სიბნელეში შენობაში ან მის გარეთ?

კეთილმოწყობა

ხელმისაწვდომია ტუალეტები, სუფთაა ისინი და სათანადოდ განათებული?

არის ხელსაბანები, ცივი და ცხელი წყალი, საპონი და პირსახოცები?

ხელსაბანები საკმარისად დიდი, რომ მოხერხდეს იდაყვებამდე ხელების დაბანა და სუფთაა ისინი?

არის ადგილი, სადაც შეიძლება ტანსაცმლის გამოცვლა, გაშრობა და შენახვა?

არის ადგილი, სადაც მუშებს შეუძლიათ დასხდნენ, მოამზადონ ცხელი სასმელი და საკვები?

არის სასმელი წყალი და ჭიქები ხელმისაწვდომი?

შეუძლია ყველას, ვისაც სჭირდება, გამოიყენოს მოსასვენებელი სივრცე ადვილად და უსაფრთხოდ?

არსებობს დასაძინებლად საცხოვრებელი, რომელიც სამუშაოსგან მოშორებით მდებარეობს?



ხარაჩოები

ხარაჩოები აღმართულია, გადაკეთებული ან დაშლილია კომპუტენტური მუშების მიერ?

ყველა ვერტიკალურ საყრდენს აქვს საყრდენი ფუძე (სადაც საჭიროა ხის ფიორფიტები)?

არის ყველა ვერტიკალური და განივი კოჭი და ლითონის ჩანგალი თავის ადგილზე?

ხარაჩოები მიმაგრებულია შენობაზე ან სტრუქტურაზე ისე, რომ არ დაინგრევა?

არის დამცავი ორმაგი ღერძები დაჰორიზონტალური ძირის შემკრავიან სხვა სათანადო დამცავი ყველა ნაპირზე დამაგრებული გადმოვარდნის თავიდან ასაცილებლად?

არის აგურის ბარიერიმონწყობილი, რომ ხარაჩოებიდან ნივთები არ გადმოვარდეს?

სამუშაო პლატფორმების მედაპირი სრულად არის დაფარული ისე, რომ მასზე მდგომი ადამიანი ფეხს არ წამოდეს ფიცარს?

არსებობს სათანადო ბარიერები ან გამაფრთხილებელი ნიშნები, რომ მუშებმა არ გამოიყენონ გაუმართავი ხარაჩოები, მაგალითად, იქ, სადაც არ არის სამუშაო პლატფორმის მოშადება დასრულებული?

ხარაჩოები საკმარისად მყარია იმისთვის, რომ გაუძღონ მასალების სიმძიმეს და მასზე მოთავსებული მასალები თანაბრადაა გადანაწილებული?

ხარაჩოებს კომპუტენტური პირები რეგულარულად ამოწმებენ, მაგალითად კვირაში ერთხელ თუკი ფლატფორმა ორ მეტრზე მაღლაა მოწყობილი ან საკმარისი ინტერვალებით, თუკი ის ორ მეტრზე დაბლაა მოწყობილი და ყოველთვის თუკი მოხდა მისი შეცვლა ან დაზიანება ან ყოველთვის ცუდი ამინდის შემდეგ?

ინახება და ინერება შემონების შედეგები?

კვრძო მფლობელობაში მყოფი ხარაჩოები შემოწმდა და გამოიყენება მოწოდებლის ინსტრუქციის შესაბამისად?

კოშკისებრი ხარაჩოების ბორობები ჩაიკვება და აუტრიგერები გამოიყენება ხარაჩოების ექსპლოატაციისას და ფლატფორმა ცარიელია გადაადგილებისას?

კიბეები

კიბეები კარგ მდგომარეობაშია?

კიბეები მიყრდნობილია მყარ მედაპირზე და არა მსხვრევედ ან არამყარ მასალებზე?

დამაგრებულია კიბეები, რომ არ გასრიალდეს?

კიბე სწორად არის დამაგრებული ოთხიდან ერთ კუთხეში?

· კიბე საკმარისად მაღლა ცდება კიბის ბაქანს (ხუთი საფეხური)? თუ არა, არსებობს სხვა ხელის ჩასაჭიდი?

· კიბეები ისეა დადგმული, რომ საჭირო არ არის გადახრა?



სამუშაოები სახურავზე

ნაპირები დაცულია, რომ ხელი შეუშალოს მუშების ან მასალების გადმოვარდნას?

ინდუსტრიული გადახურვის შემთხვევაში, არის ბაღეები ხელმისაწვდომი რომ მუშები არ გადმოვარდნენ სახურავის წინა ნაპირიდან და ნაწილობრივ დამაგრებული ფირფიტებიდან?

სადაც ბაღე გამოიყენება, მათი დამაგრება მოხდა კომპეტენტური პირის მიერ?

მოხდა მსხვრევალი ზედაპირების იდენტიფიცირება, როგორცაა ბოჭკოვანი ცემენტის ფირფიტები და სახურავის განათება?

მიღებულია ზომები, რომ მუშები არ გადმოვარდნენ მსხვრევალი ზედაპირებიდან სახურავზე მუშაობისას, მაგალითად ბარიერების აღმართვა, სახურავები ან სამუშაო პლატფორმები?

მუშები ხომ არ არიან სახურავზე მიმდინარე სამუშაოების ქვეშ? თუ ეს შეუძლებელია, მიღებულია თუარა დამატებითი ზომები, რომ მათ არ დაეცეთ სახურავიდან ჩამოვარდნილი ნარჩენები?

გალაღვივების ელემენტო მონჰობილობები

მონჰობილობა კომპეტენტურმა პირმა ააწყო?

ოპერატორები დატრენინგებული და კომპეტენტური არიან?

უსაფრთხო სამუშაო წონა გარკვევითაა მითითებული?

მონჰობილობას კომპეტენტური ადამიანი ამონებს?

სამუშაო პლატფორმა აღჭურვილია ადექვატური, უსაფრთხო დამცავი ღერძებით და ჰორიზონტალური ძირის შემკრავი ან სხვა ბარიერებით, რომლებიც თავიდან აარიდებს მასალების გადმოვარდნას?

გატარდა შესაბამისი ზომები, რომ თავიდან იქნას აცილებული, რომ მუშებს არ დაეცახთ;

- მოძრავი პლატფორმა,
- შენობის შვერილები;
- სიმაღლიდან გადმოვარდნილი მასალები?

ტრანსპორტის მოძრაობა, სატრანსპორტო საშუალებები და აგრეგატები

სატრანსპორტო საშუალებები და ფეხით მოსიარულეები ერთმანეთისგან დაშორიშორებული არიან? თუკი არა, მაშინ მშენებლობაზე უსუხისმგებელი პირები:

- აშორიშორებენ მათ, რამდენადაც შესაძლებელია, ბარიერების გამოყენებით?
- აცნობებენ მუშებს პრობლემის შესახებ და უზენებთან რა უნდა გაკეთდეს ამისთვის?
- აღმართავენ გამაფრთხილებელ ნიშნებს?



გამოიყენება ექსკავატორები ისრის გაშლის მინიმალური სიღლით?

ხდება თუ - არა მოძრაობის მიმართულების შეცვლა, მაგ; ცალმხრივი მოძრაობის გამოყენება, თუ არა, ხდება სათანადოდ მომზადებული მესიგნალების გამოყენება?

სატრანსპორტო საშუალებები და აგრეგატები სათანადოდ მოვლილია, მაგ: მანიშნებელი შექები, ხელის და ფეხის მუხრუჭი მუშა მდგომარეობაშია?

გაიარეს მძღოლებმა სათანადო ტრენინგი და არიან კომპეტენტურები იმ აგრეგატებისთვის, რომლებსაც მართავენ?

ტვირთი სათანადოდაა დამაგრებული?

მგზავრები მხოლოდ იმ სატრანსპორტო საშუალებებს გამოიყენებენ, რომლებიც ადამიანების გადაყვანისთვისაა განკუთვნილი?

რა ზომები არსებობს, რომ აგრეგატები და სატრანსპორტო საშუალებები არ გამოიყენონ საშიშ დაღმართზე?

ჯალამბარი

მოწყობილობა დამონტაჟდა კომპეტენტური პირის მიერ?

ოპერატორებმა გაიარეს ტრენინგი და კომპეტენტურები არიან?

მექსიმალური ტვირთამწეობა გარკვევითაა მითითებული?

ჯალამბარი შემოწმებულია კომპეტენტური პირის მიერ?

არსებობს შემოწმების ანგარიშების შესახებ ინფორმაცია?

საფუძველი სათანადოდაა შემოღობილი, რომ მეშებმა თავიდან აიცილოთ ჯალამბარის მოძრაე ნაწილთნ დაჯახება?

ლატფორმაზე გასასვლელი კარები დაკეტილია გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პლატფორმა გაჩერებულია კიბის ბაქსთან?

კონტროლის მექანიზმი ისეა მოწყობილი, რომ ჯალამბარი იშეიძლება იმართოს მხოლოდ ერთი ადგილიდან?

ამწეაბი

ამწე შეესაბამება სამუშაოების საჭიროებებს?

ლიფტი სათანადოდ იქნა დაგეგმილი კომპეტენტური პირის მიერ?

ამწე მყარ და გასწორებულ ზედაპირზეა? რიგელები სათანადოდ არის დამაგრებული?

ვისზე არის 'ამწის ზედახედევილი' პასუხისმგებელი, რომ ტვირთის აწევის ოპერაცია გააკონტროლოს?



ამნის მძლოლი და მესიგნალე დატრენინგებულია და კომპეტენტური?

ტვირთი მყარადაა დამაგრებული?

მესიგნალემ მიიღო შესაბამისი ტრენინგი სიგნალების გასაცემად და ტვირთის მყარად დასამაგრებლად?

შუეძლია მძლოლს დაინახოს ტვირთი, თუ მის დასახმარებლად მესიგნალე არსებობს?

ანუელი ტვირთის ქვეშეშეებისთვის მოძრაობა შებლუდულია?

ამნის შემონმების ანგარიშების ინფორმაცია ხელმისაწვდომია?

ბათხრამბი

არსებობს გათხრებისთვის ადექვატური საყრდენი თუ ის დახრილია უსაფრთხო კუთხით და დატკეპნილია?

არსებობს უსაფრთხო მეთოლი თხრილის გასამაგრებლად, ისე რომ მუშებს არ მოუწიოთ გაუმაგრებელ თხრილში მუშაობა?

არსებობს თხრილში უსაფრთხო ჩასასვლელი, როგორცაა საკმარისად გრძელი, მყარი კიბე?

არსებობს რამე ბარიერები ან სხვა დამცავი საშუალება, რომ თავიდან იქნას აცილებული ადამიანების ან ავტოტრანსპორტის თხრილში ჩაგარდნა?

გათხრებს შუეძლია მემობლად მდებარე სტრუქტურების ან სერვისების დაზიანება?

მასალები, ამოთხრილი გრუნტი და აგრეგატები თხრილის კიდისგან მოშორებითაა შენახული, რომ თავიდან იქნას გრუნტის რღვევა აცილებული?

გათხრებს რეგულარულად ამონმებს კომპეტენტური პირი?

ხელით საგუშაო

არსებობს ისეთი მძიმე მასალები, როგორცაა სახურავის საყრდენები, ბეტონის ფილები, ბორდირის ქვებიან ტომრებში მოთავსებული მასალები, რომელთა ხელით გადაადგილება პრობლემის გამომწვევია? თუკი ასეა, შუეძლიათ ადამიანებს, რომლებიც აკონტროლებენ სამუშაოს:

- აირჩიონ უფრო მსუბუქი მასალები;
- გამოიყენონ მაჭიდი, ჯალამბარი, ტელესკოპური მტვირთავები ან სხვა აგრეგატი, რათა მძიმე ტვირთის ხელით გადაადგილება მინიმუმამდე იქნას დაყვანილი?
- შუეკვეთონ მასალები, როგორცაა ცემენტი და სხვა მასალები 25 კილოიან ტომრებში?
- აიცილონ მძიმე სამშენებლო ბლოკების, რომლებიც 20 კგ-მე მეტს იწონის, განგრძობითი დანყობა ?



მუშებს ჩაუტარდათ ტრენინგი და მიიღეს ინსტრუქცია როგორ აწიონ მძიმე ტვირთი უსაფრთხოდ?

საშიში ნივთიერებები

მოხდა ყველა საშიში ნივთიერების და მასალის იდენტიფიცირება, როგორიცაა ასბესტი, ტყვია, გამსხნელები, საღებავები, ცემენტი და მტვერი?

საშიში ნივთიერებების განადგურება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ხდება?

არსებობს სათანადო ზომები, რათა შემციოდეს ან თავიდან იქნას აცილებული საშიშ ნივთიერებებთან შეხება:

- სამუშაოების სხვანაირად კეთებით, რისკის მთლიანად აღმოსაფხვრელად;
- ნაკლებად საშიში მასალის გამოყენების გზით;
- ისეთი ხელსაწყოების გამოყენებით, რომელიც მტვერს ისრუტავს?

იციან მუშებმა იმ საშიში ნივთიერებების შესახებ, რომლებთანაც უნევთ მუშაობა და რომელიც წარმოიქმნება სამშენებლო მოედანზე და რა უნდა გააკეთონ რისკის თავიდან ასაცილებლად?

არის პროცედურები ადგილზე, რათა თავიდან იქნას აცილებული სველ ცემენტთან შეხება (ამას შეუძლია დერმატიტისა და ცემენტისგან დამწვრობის გამოწვევა)?

• ჯანმრთელობის შემონახვა თუ ხდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, იმ მუშებისთვის, რომლებიც საშიშ ნივთიერებებთან მუშაობენ (მაგ: ტყვიასთან)?

ხმაური

ინფორმირებული არიან მუშები იმ რისკების შესახებ, რაც მათ ემუქრებათ ხმაურის გამო და რა უნდა გააკეთონ ამ რისკის თავიდან ასაცილებლად?

მოხდა ხმაურის იდენტიფიცირება და შეფასება?

შეიძლება ხმაურის შემცირება სხვა დანადგარის გამოყენებით ან მუშაობის სხვა მეთოდების გამოყენებით, მაგ: მლორლაგზე ან სხვა აგრეგატებზე ხმაურის დამუშობის დაყენება?

მუშები, რომლებიც არ არიან სამუშაოში ჩართულნი, მოშორებული არიან ხმაურის წყაროს?

ხმაურიან ადგილას მუშები ატარებენ ხმაურისგან დამცავ ალჭურვილობას?

ხმაურისგან დაცვის ზონა გარკვევითაა მითითებული?

• ჯანმრთელობის შემონახვა თუ ხდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, იმ მუშებისთვის, რომლებიც მალალ ხმაურში მუშაობენ?



ხელის ვიბრაცია

მუშებმა თუ მიიღეს ინფორმაცია და ტრენინგი ხელის ვიბრაციის სინდრომის შესახებ და იციან როგორ აიცილონ რისკი თავიდან?

მოახდინა თუარა რისკის იდენტიფიცირება და შეფასება იმ მუშებისთვის, რომლებიც ხანგრძლივად იყენებენ ბეტონის სამტვრევს, მოსახვევ აპარატებს, კუთხსახეებს ან პნევმატურ ჩაქურებს?

შემცირებულია თუარა ხელის ვიბრაციის სინდრომის გამომწვევის შესაძლებლობა უფრო ეფექტური სამუშაო მეთოდების და აგრეგატების გამოყენებით?

შემცირებული ვიბრაციის მქონე ხელსაწყოები თუ გამოიყენება, როცა ეს შესაძლებელია?

ვიბრაციის მქონე ხელსაწყოები თუ არის სათანადოდ მოვლილი?

ჯანმრთელობის შემონება თუ ხდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, იმ მუშებისთვის, რომლებიც შეიძლება ხელის ვიბრაციის სინდრომის მსხვერპლნი გახდნენ, განსაკუთრებით თუკი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობენ ისეთ აგრეგატებთან, რომლებიც ვიბრირებენ?

ელექტრო ენერჯია და სხვა სერვისები

სამუშაოების დაწყებამდე არის თუარა სამშენებლო მოედანზე ყველა საჭირო სერვისი მობილიზებული და არსებული სერვისები იდენტიფიცირებული (მაგ: ელექტრო სადენები ან გამსადენები), ასევე გადადგმულია ეფექტური ნაბიჯები მათგან გამომწვეული საფრთხის თავიდან ასაცილებლად?

ხელსაწყოებისთვის გამოიყენება დაბალი ვოლტაჟი, მაგ: ბატარეებზე მომუშავე ხელსაწყოები ან დაბალი ვოლტაჟის სისტემები?

როდესაც უნდა იქნას ქსელის ძაბვა გამოყენებული, ყველა ხელსაწყოს გააჩნია გამომრთველი (მაგ: ელექტრო დამცველები)?

მონდება ელექტრო დამცველები ყოველდღიურად და კარგადაა მოვლილი? სადენები დაცულია დაზიანებისაგან?

გამოიყენება სათანადო სისტემასთან დამაკავშირებლები და საშტეფსელე როზეტები?

ხელსაწყოები ვიზუალურად მონდება ყოველ დღე იმ პირების მიერ, რომლებიც მათ იყენებენ და ასევე მონდება კომპეტენტური პირების მიერ?

იქ, სადაც სიმაღლეზე არის ელექტრო სადენები, გამორთულია ელექტრო ენერჯია ან მიღებულია სხვა სახის დამცავი ზომები, როგორცაა 'სამიზნეები' ან მაგნიტური მარკერები?

მოხდა დაფარული ელექტრო სადენების და სხვა სერვისების ადგილმდებარეობის დადგენა (მაგ: ლოკატორებით ან რუქებით) და მონიშვნა და თქვენ თუ გაატარეთ უსაფრთხო სამუშაოებისთვის ზომები?



ხელსაწყობები და ელემენტო მონყობილობები

სამუშაოების სანარმოებლად გამოიყენება სათანადო ხელსაწყობები ან მონყობილობები?

ყველა სპიში ნაწილი დაკულია, მაგ: კბილანები, ჭაჭვური ამძრავი, ძრავის ლილვები?

დამცავი მონყობილობები გამართულია და მუშა მდგომარეობაშია დამაგრებული?

ხელსაწყობები და მონყობილებები კარგადაა მოვლილი და უსაფრთხოების ყველა საშუალება გამართულად მუშობს?

ყველა ოპერატორმა მიიღო ტრენინგი და კომპეტენტურია?

ხანძრები და საგანგებო მდგომარეობა გოგადი

არსებობს საგანგებო მდგომარეობების მართვის პროცედურები, როგორცაა ხანძრის დროს შენობის ევაკუაცია ან დახურული სივრციდან გამოყვანა?

სამშენებლო ობიექტზე მყოფმა მუშებმა იციან ამ პროცედურების შესახებ?

შიდიღება სიგნალის ჩართვა და თუ მუშაობს ის?

შიდიღება გადაუდებელი დახმარების სამსახურებთან დაკავშირება სამშენებლო ობიექტიდან?

არის საევაკუაციო გზები და თავისუფალია ისინი?

არის ადექატური პირველადი დახმარების განწევის საშუალება?

ხანძარი

სამშენებლო ობიექტზე აალებადი მასალები, სითხეები და აირები მინიმუმამდე თუ არის დაყვანილი?

ისინი სათანადოდაა შენახული?

აალებადი სითხეებისთვის სათანადო კონტეინერები გამოიყენება?

აალებადი აირის ცილინდრები სამუშაო ცვლის შემდეგ ბრუნდება ისევ განიაგებულ საცავში?

მონვეა და აალების გამომწვევი სხვა ქმედება აკრძალულია იქ, სადაც აირები ან აალებადი სითხეები ინახება და გამოიყენება?

აირის ცილინდრები და მასთან დაკავშირებული მილები და ხელსაწყობები კარგადაა მოვლილი და კარგ მდგომარეობაშია?

როდესაც არ ხდება აირის ცილინდრების გამოყენება, საკეტები ბოლომდე დაკეტილია?



აალებადი და ადვილად აალებადი ნარჩენებს რეგულარული გატანა და სათანადო კონტეინერებში გატანა ხდება?

არის ადეკვატური ცეცხლსაქრობები ხელმისაწვდომი?

საზოგადოების დაცვა

სამშენებლო მოედანი არის საზოგადოებისგან დობით გამოყოფილი?

საგზაო სამუშაოები ბარიერთაა გამოყოფილი და სათანადოდ განათებული, ასევე უსაფრთხო ალტერნატიული გზა ხელმისაწვდომია?

ხალხი დაცულია მასალების გადმოვარდნისგან?

უსაფრთხო გზა თუ არის ხელმისაწვდომი საგზაო სამუშაოების დროს ან ტროტუარები თუ არის დაცული ხარაჩოებით იმ პირთათვის, რომლებიც გამოიყენებენ მშპმ ეტლებს, საბავშვო ეტლებს ან შეზღუდული მხედველობისმქონე ადამიანებისთვის;

როდესაც სამუშაოები წყდება:

- საზღვარი დაცულია და დაუზიანებელია?
- ყველა კიბე მოშორებულია და შენახული ისე, რომ არ მოხდეს მათი გამოყენება?
- ყველა თხრილი და ღიობი შემოღობილი და დაფარულია?
- ყველა აგრეგატი უძრავია, ისე რომ არ მოხდეს უნებართვო გამოყენება?
- აგურები და სხვა მასალები უსაფრთხოდაა შენახული?
- აალებადი ან საშიში ნივთიერებები ჩაკეტილია უსაფრთხო საცავში?

დანართი 2:

სამუშაოს სხვა პირობების საკონტროლო კითხვარი

1- დამსაქმებლ(ებ)ის იდენტიფიცირება

- დამსაქმებლის/კომპანიის, ფირმის სახელის შემოწმება;
- კონტრაქტორების და ქვეკონტრაქტორების შემოწმება.

2- შრომითი ურთიერთობები

- დასაქმებულთა რაოდენობის შემოწმება;
- სახელების, პირადობის დამადასტურებელი მოწმობების შემოწმება;
- შრომითიხელშეკრულებების შემოწმება.

3- დასაქმებულთა წარმომადგენლობის უფლებები

- დასაქმებულთა წარმომადგენლების შემოწმება;
- ბიპარტიული კომიტეტის შემოწმება.

4- ანაზღაურება და ხელფასები

უნდა შემოწმდეს, რომ დასაქმებულებისადმი გადახდილი ხელფასი სწორია, ასევე უნდა შემოწმდეს:

- მინიმალური ხელფასი;
- თანასწორობა ანაზღაურებაში (დისკრიმინაციის არარსებობა):
 - დისკრიმინაციული მიზეზით რამე განსხვავების არსებობა: ასაკი, სქესი, რელიგია, ეროვნება . . . ('თანაბარი ანაზღაურება თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის').
- ანაზღაურების პირობები:
 - შრომით ხელშეკრულებებში განსაზღვრა;
 - ინფორმაცია დასაქმებულებისთვის: ანაზღაურების ტარიფი, კალკულაციის მეთოდი, ანაზღაურების გადახდის პერიოდები, გადახდის ადგილი, დაქვითვების პირობები;



- გადახდა:
 - მხოლოდ ლეგალური ტენდერით (ვეესელების, ვაუჩერების ან კუპონების აკრძალვა) ან ნატურით გადახდა (სამართლიანი და დასაბუთებული);
 - პირდაპირ დასაქმებულისთვის;
 - სწორად და დროულად (გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი).
- დაქვითვები:
 - კანონით დაწესებული ლიმიტების შესტი დაცვა:
 - სამემოსავლო გადასახადი;
 - სოციალური გადასახადი.
 - დაქვითვები უნდა აისახებოდეს სახელფასო ბარათზე.
 - შეტყობინება ხელფასის შესახებ:
 - სახელფასო ბარათი
 - მიწოდება დასაქმებულს;
 - მონაცემებს ინახავს დამსაქმებელი.
 - სახელფასო ბარათში მოცემულია სრული ინფორმაცია, როგორცაა:
 - გადახდის პერიოდისთვის მთლიანი გადახდილი ხელფასი;
 - გადახდის საფუძველი;
 - გადახდის თარიღი და პერიოდი, რომლისთვისაც ხდება გადახდა;
 - დარიცხვები და გამოქვითვები;
 - ნამუშევარი ზეგანაკვეთური საათები;
 - გადახდის პერიოდში ნამუშევარი მთლიანი საათების რაოდენობა;
 - გადახდის მეთოდი (ნაღდი ანგარიშსწორება, ჩეკები, საბანკო გადარიცხვა).

5- სამუშაო საათები, დასვენების პერიოდები და ზეგანაკვეთური საათები

სამუშაო დრო არის შრომითი ხელშეკრულების ცენტრალური ელემენტი და დეტალები სამუშაოს დაწყებამდე უნდა შეთანხმდეს.

სამუშაო დროის რეგულირების ასპექტები, რომლებიც უნდა შემოწმდეს:

- სამუშაო საათები:
 - ყოველდღიური;
 - ყოველკვირეული.
- ზეგანაკვეთური საათები.
- დასვენების პერიოდები:
 - ყოველდღიური დასვენება;
 - ცვლებს შორის დასვენება;
 - დასვენების ყოველკვირეული პერიოდები ან ყოველ ორ კვირაში ერთხელ პერიოდები.
- შვებულება.
 - ბარისხობრივი ასპექტები:
- სამუშაო დროის ორგანიზება:
 - მუშაობა ცვლებში;
 - ღამე მუშაობა;
 - მოქნილი სამუშაო გრაფიკი.
- არასრულ განაკვეთზე მუშაობა.

6- ბავშვთა შრომა

სამუშაოს დასაწყებად კანონიერი ასაკის შემოწმება.
 ბავშვებისთვის სახიფათო სამუშაო:

- მიწის ქვეშ, წყალქვეშ, დახურულ სივრცეში, სადაც მომწყვდევის საფრთხეა, მუშაობა;
- ხარაჩოები, კიბეები, სამუშაო პლატფორმები, კიბეები, რომლებიც შეიძლება არ იყოს უსაფრთხო ან სტაბილური;
- საშიშ სიმაღლეზე მუშაობა, მაგ: სახურავზე;
- თხრილებში, ორმოებში მუშაობა, რომლებიც შეიძლება ჩაყარდეს.

7- მიგრაცია და უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმება

რა ასპექტები უნდა შემოწმდეს:

- იმათი ქვეყანაში ყოფნის სამართლებრივი სტატუსი.



იმ შემთხვევაში, როდესაც მიგრანტი მუშები არარეგულარულ მდგომარეობაში იმყოფებიან (მუშაობის ნებართვის გარეშე):

- გასატარებელი მომები და ანგარიშები სხვა ინსტიტუციებისადმი და უწყებებისადმი;
- ინფორმაცია და რჩევა უცხოელი მუშებისათვის:
- უფლებებსა და მოვალეობებზე;
- სოციალური დაცვის კუთხით ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე;
- შესაძლო კომპენსაციებზე;
- მუშის მიერ გადასადგმელ ნაბიჯებზე, არსებულ არჩევანზე და ქმედებებზე;
- ინსტიტუციების შესახებ, რომლებსაც შეუძლია მუშების დახმარება და მხარდაჭერა;

სისხლის სამართლის ან სასამართლო გამოძიების პროცედურების შესახებ კონკრეტული ინფორმაციაზე.

8 – სოციალური გადასახადი

უნდა შემოწმდეს:

- კომპანიის რეგისტრაცია სოციალური დაცვის სამსახურებში;
- დასაქმებულების რეგისტრაცია დამსაქმებლის მიერ სოციალური დაცვის ინსტიტუტებში;
- თვითდასაქმებული მუშების რეგისტრაცია სოციალური დაცვის ინსტიტუტებში;
- დასაქმებულების ხელფასებზე დაქვითვები;
- დამსაქმებლის მიერ მთლიანი გადასახადები დასაქმებულების სახელით, ან თვითდასაქმებულის მიერ გადახდილი გადასახადი.

9– კვალიფიკაცია და ტრენინგი

უნდა შემოწმდეს:

- დასაქმებულებისა და კონტრაქტორების ცოდნა და უნარები;
- საჭირო სერტიფიკატების მოქმედების ვადა;
- ინდივიდების სამუშაო პროცესში დაკვირვების შედეგად მათ მიერ გავლილი ტრენინგების ეფექტურობა;
- სუპერვაიზორების უნარები, კვალიფიკაცია და გამოცდილება, დაგეგმონ და ორგანიზება გაუწიონ სამშენებლო ოპერაციებს;



- ყველა მუშა საკმარისად არის დატრენინგებული;
- არსებობს კონტრაქტორების შერჩევის კომპეტენციების მოთხოვნები; სადაც შესაძლებელია, ლიცენზირებული კონტრაქტორების გამოყენება;
- ყველა საჭირო ლიცენზია და სერტიფიკატი შემოწმებულია და ინახება.

10- თანაბარი შესაძლებლობა და მოკცრობა (დისკრიმინაციის არღაშვება)

უნდა შემოწმდეს:

- მუშები დასაქმდნენ და დაწინაურდნენ მათი უნარებისა და კვალიფიკაციის გამო;
- სანარმოს აქვს თანაბარი შესაძლებლობების პოლიტიკა, რომელიც, როგორც მინიმუმ, მოიცავს სამსახურში აყვანას, დაწინაურებას, სამუშაოს გადანიწილებას და თანამშრომლების სამუშაოდან დათხოვნას;
- ხსენებული პოლიტიკა ცნობილია და ხორციელდება;
- მუშები თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის იღებენ თანაბარ ანაზღაურებას. დასაქმებულები ზოგიერთ საქმეს უფრო ძვირად არ აფასებენ (მაგ: 'კაცების საქმე; უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე 'ქალების საქმე');
- სამუშაო ადაპტირებულია დასაქმებულების უნარებისთვის. სამუშაო ადაპტირებულია შშმ პირებისთვის ან ხანშიშესული მუშებისთვის, რაც მათ საშუალებას მისცემს მუშაობა გააგრძელონ ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს რისკი მათთვის და გარშემომყოფთათვის.



სამშენებლო სექტორის დიდი როლი მიუძღვის მრავალი ქვეყნის სოციოეკონომიკურ განვითარებაში, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, თუ რამდენი ადამიანი მასში დასაქმებული. თუმცა შრომითი ურთიერთობები - სამართლებრივი ვაჭმირი დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის - სამშენებლო სფეროში ხშირად არ არის გარკვეული, რაც რეგულარულად იმაში აისახება, რომ დასაქმებულებს უარს ეუბნებიან სხვადასხვა უფლებებით სარგებლობაში. ამასთანავე, ისინი მრავალი საფრთხის წინაშე დგანან. შესაბამისად, სამუშაო პირობები მრავალ სამშენებლო ობიექტზე არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, რადგანაც დასაქმებულებს არ აქვთ გარანტირებული სამართლიანი, მიუკერძოებელი, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო.

შრომის ინსპექტორების მიერ განხორციელებული ინსპექტირება მნიშვნელოვან როლს თამაშობს კანონმდებლობის აღსრულებაში და ყველა სექტორში დასაქმებულთათვის ღირსეული სამუშაო გარემოს უზრუნველყოფაში, მათ შორის მშენებლობაშიც. წინამდებარე გზამკვლევის მიზანია, დაეხმაროს შრომის ინსპექტორებს საკუთარი ფუნქციის განხორციელებაში პრაქტიკული ინფორმაციის მიწოდების გზით, მკითხველისთვის ადვილად გასაგები ფორმატით, სამშენებლო საქმიანობის ინსპექტირების განხორციელების რეკომენდირებული მეთოდოლოგიით. ეს მეთოდოლოგია მოიცავს როგორც ინსპექტირების დაგეგმვას, ასევე ინსპექტირების შედეგების შესახებ ანგარიშის მომზადებას და ტექნიკური ინფორმაციის მიწოდებას დამსაქმებლებისა და დასაქმებულებისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს 'ღირსეული სამუშაო'.

წინამდებარე გზამკვლევაში დეტალურადაა აღწერილი ის სამუშაო პირობები, რომლებიც ინსპექტირებმა უნდა განიხილონ, ასევე ის საფრთხეები, რომელთა წინაშეც დასაქმებულები დგანან. აქ ასევე დოკუმენტირებულია საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების პრინციპები, რომლებიც, განხორციელების შემთხვევაში, შეამცირებენ სანარმოო ტრავმებისა და დაავადებების გავრცელების სიხშირეს.



შრომის ადმინისტრაციის, შრომის ინსპექციისა და სანარმოო უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სამმართველო (LABADMIN / OSH)
შრომის საერთაშორისო ოფისი
4 მორილონის ქუჩა, CH-1211 ვენევა 22, შვეიცარია
ტელ.: +41 22 799 6715
ფაქსი: +41 22 799 6878
Email: labadmin-osh@ilo.org
ვებგვერდი: www.ilo.org/labadmin-osh